



საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის შესრულების 6 თვის  
ანგარიში

თბილისი

2013

**თავი I**  
**2013 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6**  
**თვის მაჩვენებლები**

*ათას ლარებში*

დასახელება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
შემოსავლები	3,151,068.5	3,159,243.5	100.3%
გადასახადები	2,977,017.1	2,981,522.1	100.2%
გრანტები	60,354.4	60,824.5	100.8%
სხვა შემოსავლები	113,697.0	116,897.0	102.8%
ხარჯები	2,957,463.1	2,809,894.2	95.0%
შრომის ანაზღაურება	560,059.7	549,433.4	98.1%
საქონელი და მომსახურება	325,687.9	294,749.0	90.5%
პროცენტი	121,000.7	119,744.9	99.0%
სუბსიდიები	105,250.2	106,472.9	101.2%
გრანტები	422,682.3	369,418.0	87.4%
სოციალური უზრუნველყოფა	929,503.1	923,179.0	99.3%
სხვა ხარჯები	493,279.2	446,897.0	90.6%
საოპერაციო სალდო	193,605.4	349,349.3	180.4%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	175,291.8	155,763.0	88.9%
ზრდა	188,091.8	169,318.1	90.0%
კლება	12,800.0	13,555.2	105.9%
მთლიანი სალდო	18,313.6	193,586.3	1057.1%
ფინანსური აქტივების ცვლილება	-58,780.5	139,656.1	-237.6%
ზრდა	106,541.5	171,355.3	160.8%
ვალუტა და დეპოზიტები		42,462.6	
სესხები	57,851.3	80,470.2	139.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	48,690.2	48,422.4	99.5%
კლება	165,322.0	31,699.2	19.2%
ვალუტა და დეპოზიტები	145,322.0	10,886.1	
სესხები	20,000.0	20,802.4	104.0%
აქციები და სხვა კაპიტალი			
სხვა დებიტორული დავალიანებები		10.7	
ვალდებულებების ცვლილება	-77,094.2	-53,930.2	70.0%
ზრდა	214,482.4	233,548.3	108.9%
საგარეო	165,482.4	183,377.2	110.8%
სესხები	165,482.4	183,377.2	110.8%
საშინაო	49,000.0	50,171.1	102.4%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	49,000.0	50,171.1	102.4%

დასახელება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
კლება	291,576.6	287,478.5	98.6%
საგარეო	248,307.0	245,627.1	98.9%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	106,824.6	106,824.6	100.0%
სესხები	128,207.8	126,127.4	98.4%
სხვა კრედიტორული დავალიანებები	13,274.6	12,675.1	95.5%
საშინაო	43,269.5	41,851.5	96.7%
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	21,000.0	21,000.0	100.0%
სესხები	8,050.2	8,050.2	100.0%
სხვა კრედიტორული დავალიანებები	14,219.3	12,801.3	90.0%
ბალანსი	0.0	0.0	

**შენიშვნა:** ვალუტა და დეპოზიტების კლებაში გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება და სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

ათას ლარებში

დასახელება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის საკასო შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	3,398,350.9	3,438,046.2	101.2%
შემოსავლები	3,151,068.5	3,159,243.5	100.3%
არაფინანსური აქტივების კლება	12,800.0	13,555.2	105.9%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	20,000.0	31,699.2	158.5%
ვალდებულებების ზრდა	214,482.4	233,548.3	108.9%
გადასახდელები	3,543,672.9	3,395,583.6	95.8%
ხარჯები	2,957,463.1	2,809,894.2	95.0%
არაფინანსური აქტივების ზრდა	188,091.8	169,318.1	90.0%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	106,541.5	128,892.7	121.0%
ვალდებულებების კლება	291,576.6	287,478.5	98.6%
ნაშთის ცვლილება	-145,322.0	42,462.6	-29.2%

**შენიშვნა:** ფინანსური აქტივების კლებაში (ნაშთის გამოკლებით) გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება და სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

## თავი II

### 2013 წლის იანვარ-ივნისის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

#### ეკონომიკური ზრდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2013 წლის იანვარ-ივნისში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 1.8% შეადგინა. მათ შორის, პირველ კვარტალში 2.4%, ხოლო მეორე კვარტალში 1.3%. მეორე კვარტლის დეტალური მონაცემების გამოქვეყნებამდე გამოყენებულია პირველი კვარტლის მონაცემები.

2013 წლის პირველ კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით რეალური მშპ 2.4%-ით გაიზარდა და ნომინალურ გამოხატულებაში 3.2 მილიარდი ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მშპ-ის ზრდაში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის და დამამუშავებელი მრეწველობის დარგებმა. ამ დარგებმა განაპირობეს მშპ-ის 1.9%-ით ზრდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო ზრდის 78%-ს შეადგენს.

2013 წლის პირველ კვარტალში, 2012 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობის ყველაზე მეტი ზრდა დაფიქსირდა კავშირგაბმულობის (7.9%), ვაჭრობის (6.8%), სოფლის მეურნეობის (6.7%), საფინანსო საქმიანობის (6.5%) და სამთომომპოვებელი მრეწველობის (5.9%) დარგებში.

#### ფასები და გაცვლითი კურსი

2013 წლის ივნისში წინა 2012 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასები 0.3%-ით გაიზარდა. 2012 წლის შესაბამის პერიოდში სამომხმარებლო ფასები 1.3%-ით შემცირდა.

იანვარ-ივნისის ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ორმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა. სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა ფასების საერთო დონე 0.5%-ით გაზარდა, ხოლო ტრანსპორტმა ფასების საერთო დონე 0.4%-ით შეამცირა.

2013 წლის იანვარ-ივნისში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა. 2013 წლის ივნისში 2012 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.2%-ით გამყარდა და 1.656 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე.

#### მონეტარული მაჩვენებლები

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2013 წლის ივნისში 2012 წლის დეკემბერთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 5.7%-ით გაიზარდა და 8 354.7 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 6.9%-ით გაიზარდა და 4 349.7 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2013 წლის იანვარ-ივნისში დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 8.1%-ით, მათ შორის ეროვნულ ვალუტაში 13.6%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში 4.4%-ით.

2013 წლის ივნისში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, დოლარიზაციის კოეფიციენტი 2.0%-ული პუნქტით შემცირდა და 58.3%-ს გაუტოლდა.

## საგარეო სექტორი

2013 წლის იანვარ-ივნისის განმავლობაში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3%-ით შემცირდა. აქედან, საქონლის ექსპორტი 9%-ით გაიზარდა, ხოლო საქონლის იმპორტი კი 7%-ით შემცირდა.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2013 წლის 6 თვის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 14.7%-ს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი (12.9%), უკრაინა (7.2%) და ა.შ.

ექსპორტში 26.9%-ით პირველ ადგილზე აზერბაიჯანია, მეორეზე სომხეთი 11.4%, მესამეზე აშშ 6.9%, მეოთხე პოზიციაზე იმყოფება თურქეთი 6.6% და ა.შ.

იმპორტში პირველი ადგილი 17.6%-ით თურქეთს უჭირავს. შემდეგ მოდიან ჩინეთი (8.2%), აზერბაიჯანი (7.9%), უკრაინა (7.8%), და ა.შ.

რაც შეეხება ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურას, ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შეინიშნება. საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 25.7%-ით მსუბუქი ავტომობილებია, შემდეგ პოზიციებზე იმყოფებიან ფეროშენადნობები (10.5%), აზოტოვანი სასუქები (4.4%), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (4.0%) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში კი პირველ ადგილზე 11.2%-ით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (9.8%), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (4.2%), სამკურნალო საშუალებები (3.8%) და ა.შ.

### ინფორმაცია საქართველოს 2013 წლის ნაერთი ბიუჯეტის იანვარ-ივნისის საშემოსავლო ნაწილის შესრულების შესახებ

საქართველოს 2013 წლის იანვარ-ივნისის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 437.9 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 43.3%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 450.7 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4%.

**გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 174.2 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 43.5%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 180.4 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.2%.

**გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 60.4 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 29.8%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 60.9 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.8%.

**სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 203.4 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 45.2%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 209.4 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.0%.

**არაფინანსური აქტივების** რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 42.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (40.8 მლნ ლარი) 104.7%-ია.

**ფინანსური აქტივების** შემცირებიდან (ვალუტა და დეპოზიტების გარეშე) მობილიზებულ იქნა 21.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20.0 მლნ ლარი) 107.4%-ია.

**საქართველოს 2013 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების  
იანვარ-ივნისის შესრულების მაჩვენებლები**

*ათასი ლარი*

დასახელება	ნაერთი ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>შემოსავლები</b>	<b>3,437,895.1</b>	<b>3,450,667.1</b>	<b>12,772.0</b>	<b>100.4</b>
<b>გადასახადები</b>	<b>3,174,155.7</b>	<b>3,180,394.0</b>	<b>6,238.3</b>	<b>100.2</b>
საშემოსავლო გადასახადი	899,999.1	901,555.2	1,556.1	100.2
მოგების გადასახადი	428,431.8	429,204.9	773.1	100.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,343,670.0	1,345,060.9	1,390.9	100.1
აქციზი	313,508.7	314,347.9	839.2	100.3
იმპორტის გადასახადი	41,193.0	41,299.1	106.1	100.3
ქონების გადასახადი	134,200.0	135,643.3	1,443.3	101.1
სხვა გადასახადი	13,153.1	13,282.7	129.6	101.0
<b>გრანტები</b>	<b>60,354.4</b>	<b>60,856.3</b>	<b>501.9</b>	<b>100.8</b>
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>203,385.0</b>	<b>209,416.7</b>	<b>6,031.7</b>	<b>103.0</b>

**ინფორმაცია საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
იანვარ-ივნისის საშემოსავლო ნაწილის შესრულების შესახებ**

საქართველოს 2013 წლის იანვარ-ივნისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 151.1 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 42.5%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 3 159.2 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.3%.

**საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსავლების  
იანვარ-ივნისის შესრულების მაჩვენებლები**

*ათასი ლარი*

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>შემოსავლები</b>	<b>3,151,068.5</b>	<b>3,159,243.5</b>	<b>8,175.0</b>	<b>100.3</b>
გადასახადები	2,977,017.1	2,981,522.1	4,505.0	100.2
გრანტები	60,354.4	60,824.5	470.1	100.8
სხვა შემოსავლები	113,697.0	116,897.0	3,200.0	102.8

**გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 977.0 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 43.0%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 2 981.5 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.2%.

სახელმწიფო ბიუჯეტში სახეების მიხედვით ცალკეული გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 838.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (837.1 მლნ ლარი) 100.2%-ია.

- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 429.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (428.4 მლნ ლარი) 100.2%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 1 345.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 343.7 მლნ ლარი) 100.1%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 314.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (313.5 მლნ ლარი) 100.3%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 41.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (41.2 მლნ ლარი) 100.3%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 13.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (13.2 მლნ ლარი) 100.9%-ია.

**საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების  
იანვარ-ივნისის შესრულების მაჩვენებლები**

*ათასი ლარი*

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>გადასახადები</b>	<b>2,977,017.1</b>	<b>2,981,522.1</b>	<b>4,505.0</b>	<b>100.2</b>
საშემოსავლო გადასახადი	837,060.5	838,338.7	1,278.2	100.2
მოგების გადასახადი	428,431.8	429,204.9	773.1	100.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,343,670.0	1,345,060.9	1,390.9	100.1
აქციზი	313,508.7	314,347.9	839.2	100.3
იმპორტის გადასახადი	41,193.0	41,299.1	106.1	100.3
სხვა გადასახადი	13,153.1	13,270.4	117.3	100.9

**გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 60.4 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 29.8%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 60.8 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 100.8%, მათ შორის ხარჯზე მიბმული გრანტები 31 292.4 ათასი ლარი და ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები 29 062.0 ათასი ლარი.

*ათასი ლარი*

დასახელება	იანვარი - ივნისი
<b>გრანტები</b>	<b>60,824.5</b>
EC	30,118.6
WB	102.6
CNF	487.9
IFAD	48.0
KfW	4,149.3
MCC	986.9
USAID	24,931.2

**სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 113.7 მლნ ლარის ოდენობით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 37.9%. მობილიზებულ იქნა 116.9 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102.8%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 22.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (21.1 მლნ ლარი) 103.9%-ია. აქედან,
  - **პროცენტები** - 6.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6.3 მლნ ლარი) 104.4%-ს შეადგენს
  - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 10.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (10.0 მლნ ლარი) 101.9%-ია.
  - **რენტის** სახით მობილიზებულია 5.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (4.8 მლნ ლარი) 107.6%-ია.
  
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 30.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (29.4 მლნ ლარი) 102.5%-ია. აქედან,
  - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების** სახით - 29.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (28.5 მლნ ლარი) 102.1%-ია. მათ შორის:
    - სალიცენზიო მოსაკრებელი - 0.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.3 მლნ ლარი) 106.6%-ია;
    - სანებართვო მოსაკრებელი - 20.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20.0 მლნ ლარი) 101.7%-ია.
    - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 0.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.5 მლნ ლარი) 116.4 %-ია;
    - სახელმწიფო ბაჟი - 6.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6.4 მლნ ლარი) 100.2%-ია;
    - საკონსულო მოსაკრებელი - 0.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.8 მლნ ლარი) 104.5%-ია;
    - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 0.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.4 მლნ ლარი) 122.6%-ია.
    - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით - მობილიზებულია 0.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.2 მლნ ლარი) 114.2%-ია.
  - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 1.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.9 მლნ ლარი) 114.3%-ია. მათ შორის:
    - საქონლის რეალიზაციიდან - 0.4 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.4 მლნ ლარი) 105.0%-ია;
    - მომსახურების გაწევიდან - 0.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (0.5 მლნ ლარი) 106.5%-ია;
  
- **სანქციების (ჯარიმები და საურაგები)** სახით მობილიზებულია 37.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (37.2 მლნ ლარი) 101.1%-ია.
  
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 27.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26.0 მლნ ლარი) 104.8%-ია.

**საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა შემოსავლების  
იანვარ-ივნისის შესრულების მაჩვენებლები**

*ათასი ლარი*

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>113,697.0</b>	<b>116,897.0</b>	<b>3,200.0</b>	<b>102.8</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	21,130.0	21,962.7	832.7	103.9



დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>პროცენტები</b>	<b>6,300.0</b>	<b>6,576.9</b>	<b>276.9</b>	<b>104.4</b>
<b>ღვიდენდები</b>	<b>10,040.0</b>	<b>10,231.1</b>	<b>191.1</b>	<b>101.9</b>
სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული ღვიდენდები	10,040.0	10,231.1	191.1	101.9
<b>რენტა</b>	<b>4,790.0</b>	<b>5,154.6</b>	<b>364.6</b>	<b>107.6</b>
<b>საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია</b>	<b>29,367.0</b>	<b>30,094.4</b>	<b>727.4</b>	<b>102.5</b>
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>28,487.0</b>	<b>29,088.4</b>	<b>601.4</b>	<b>102.1</b>
სალიცენზიო მოსაკრებლები	275.0	293.1	18.1	106.6
სანებართვო მოსაკრებლები	20,000.0	20,345.6	345.6	101.7
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	479.0	557.5	78.5	116.4
სახელმწიფო ბაჟი	6,390.0	6,402.7	12.7	100.2
საკონსულო მოსაკრებელი	760.0	794.1	34.1	104.5
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	354.0	433.9	79.9	122.6
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	229.0	261.5	31.9	114.2
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>880.0</b>	<b>1,006.0</b>	<b>126.0</b>	<b>114.3</b>
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	350.0	367.5	17.5	105.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	530.0	564.4	34.4	106.5
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		74.1	74.1	
<b>სანქციები (ჯარიმები და საურაგები)</b>	<b>37,200.0</b>	<b>37,597.6</b>	<b>397.6</b>	<b>101.1</b>
<b>ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა</b>		<b>0.3</b>	<b>0.3</b>	
<b>შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები</b>	<b>26,000.0</b>	<b>27,242.0</b>	<b>1,242.0</b>	<b>104.8</b>

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 13.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (12.8 მლნ ლარი) 105.9%-ია, ხოლო წლიურ საპროგნოზო მაჩვენებელთან (100.0 მლნ ლარი) 13.6%.

ფინანსური აქტივების შემცირებიდან (ვალუტა და დეპოზიტების გარეშე) მობილიზებულ იქნა 20.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (20.0 მლნ ლარი) 104.1%-ია.

გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხულია 10 886.1 ათასი ლარი, საიდანაც 10 704.5 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებას, ხოლო 181.6 ათასი ლარი – გაურკვეველ თანხებს, რომლებიც დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებისამებრ.


### თაზო III

## სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8 748 500.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3 543 672.9 ათასი ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის 40,5%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 3 395 583.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.8%-ია.

საქართველოს 2012-2013 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების  
6 თვის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 7 248 474.4 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 957 463.1 ათასი ლარი, რაც წლიური შესაბამისი მაჩვენებლის 40.8%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 809 894.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.0%-ია.

### სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 720 918.3 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 188 091.8 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის 26.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 169 318.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.0%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა


„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 229 725.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 106 541.5 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის 46.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 128 892.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 121.0%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 549 382.3 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 291 576.6 ათასი ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის 53.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 287 478.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.6%-ია.

2013 წლის 6 თვის ასიგნებების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. აპრილში განხორციელდა საპენსიო ასაკის საფუძველზე დანიშნული პენსიის ზრდა, კერძოდ ყველა ასაკით პენსიონერისა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პენსიის ოდენობა განისაზღვრა 125 ლარის ოდენობით, საპენსიო განაკვეთების ზრდა შეეხო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და სხვა მიზნობრივ ჯგუფებს. ასევე, განხორციელდა სამხედრო, შინაგან საქმეთა

ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მოსამსახურეთა კომპენსაციის გადაანგარიშება. სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 530.8 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლატაკი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ასევე ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა. სულ ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული იქნა 190.3 მლნ ლარი.

- ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების, დევნილი მოსახლეობის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების, ასევე 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მიმართა 124.6 მლნ ლარი.

- მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა“, რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, ამბულატორიული მომსახურების მოხმარების გაზრდა ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით, ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. სულ ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული იქნა 7.4 მლნ ლარი.

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- „იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის ღონისძიებების“ ფარგლებში, დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაციაზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაციაზე დასავლეთ საქართველოში და ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერაზე დახარჯული იქნა 16.7 მლნ ლარი. აღნიშნული თანხა ძირითადად მიმართული იქნა, საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (არსებულ უბნებში) შენობების, წყალმომარაგების სისტემის, საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის, სანიაღვრე არხების, სასმელი წყლის შიდაკომუნიკაციური ქსელების, გზებისა და შიდა ქუჩების, რეაბილიტაციაზე და ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობაზე.

- განხორციელდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებში გადამოწმდა 89 ობიექტი და

აღწერილ იქნა 1150 ოჯახი. საანგარიშო პერიოდში დევნილთა ოჯახებს საკუთრებაში გადაეცა 271 ბინა. ასევე, შეძენილ იქნა სოფლად ინდივიდუალური სახლები 10 დევნილი ოჯახისათვის;

- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით მიმდინარეობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია და 197 დევნილი ოჯახი გადაყვანილ იქნა თბილისში, ხაშურში, გორში და თეთრიწყაროში; რეაბილიტაცია ჩატარდა 1 ობიექტს ქ. ქუთაისში, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 3 ობიექტზე ქ. თბილისში.

- ფინანსური დახმარება გაეწია 750-მდე დევნილს, ასევე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N49-ში მდებარე კომპაქტურად განსახლების ობიექტის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებულ 26 ოჯახს და სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან 71 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით;

- „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩართული იყო 154 ინგლისური ენის და 10 ჩინური ენის მოხალისე მასწავლებელი, რომლებიც გადნაწილდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში.

- მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გრძელდებოდა ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში მანდატურების განთავსება. საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის მანდატურის ინსტიტუტის არეალმა მოიცვა 408 სკოლა და 3 პროფესიული სასწავლებელი. ამ მიზნით სულ მიიმართა 4.4 მლნ. ლარი;

- დაიწყო საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის სასკოლო სახელმძღვანელოების და სამუშაო რვეულების მოწოდება. ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიიმართა 7,3 მლნ ლარი.

- „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო იმ 335 საჯარო სკოლის მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ იმ დასახლებულ პუნქტში, (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია. ამ მიზნით სულ მიიმართა 1.9 მლნ. ლარი;

- პროგრამის „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ ფარგლებში დასრულდა 13 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია, 17 საჯარო სკოლის გაზიფიცირების სამუშაოები, ერთი საჯარო სკოლის ეზოს ტერიტორიის განათების, საკანალიზაციო სისტემის და საცხოვრებელი კორპუსის სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია, 2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 2 საჯარო სკოლის ტოპო-გეოდეზიური და გეოლოგიური კვლევა, ერთი საჯარო სკოლის საქვების მშენებლობა და ერთი მშენებარე საჯარო სკოლის წყალმომარაგების სამუშაოები, აგრეთვე დასრულდა მიმდინარე წლის მომხდარი სტიქიისგან დაზიანებული 24 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე, MCC-ის პროექტის ფარგლებში, დასრულდა 42 საჯარო სკოლის შესწავლა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, როგორც ტექნიკური, ისე ვიზუალური მასალების სახით.

- „სპორტსმენათა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაეცა 490 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დამხმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 247-ზე მეტმა ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 63 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 78 სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 45 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 103 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში და მოიპოვეს 232 მედალი (74 ოქრო, 61 ვერცხლი და 97 ბრინჯაო);

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ჯადმიანი, ზაქანი, ხადი და კაიშაური) მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2012 წლის დეკემბერში

და 2013 წლის იანვარ-მაისში მოხმარებული 6.3 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ღირებულება 2.7 მლნ ლარის ოდენობით.

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის (KfW, EIB, EBRD) პროექტის სამუშაოები, რომელზეც მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 64.2 მლნ ლარი.

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (მათ შორის, მიწის რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკის) შესაძენად, მექანიზატორების გადამზადებისათვის და სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში ვალდებულებების დაფარვისათვის მიიმართა 86.0 მლნ ლარი.

- სადემონსტრაციო ნაკვეთებზე მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების მოყვანისათვის, სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად, მექანიზაციის სერვისცენტრების მშენებლობისათვის, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოს ფუნქციონირებისათვის, საჩითილე მეურნეობის განვითარებისათვის, სათესლე ხორბლის გადამამუშავებელი საწარმოს რეაბილიტაციისათვის, ხილის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობისათვის, სანერგე მეურნეობების განვითარებისა და სათესლე ხორბლის საცდელი მეურნეობის მოწყობისათვის მიიმართა 12.4 მლნ ლარი.

- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენისათვის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯებისათვის მიიმართა 41.3 მლნ ლარი.

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯული იქნა 154.5 მლნ ლარი. მათ შორის:

- ✓ გზების პერიოდული შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 22.9 მლნ ლარი.

- ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 17.8 მლნ ლარი.

- ✓ ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობაზე - 84,3 მლნ ლარი.

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 20.5 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 4,9 მლნ ლარი.

- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 5,2 მლნ ლარი.

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 21,2 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერაზე - 6,1 მლნ ლარი.

- ✓ წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე - 10.0 მლნ ლარი.

- ✓ ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 5,1 მლნ ლარი.

- ჩატარდა საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები მშვიდ, ღია და გამჭვირვალე გარემოში, არჩევნებზე მიიმართა 1.6 მლნ ლარამდე;

- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2013 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 15 მარტს გამოშვებული 520 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 480 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 6 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის წლიური 8.5 პროცენტი სარგებლის გადახდით. ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2013 წლის 15 მარტს განხორციელდა 2009 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 8 000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2013 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2010 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 13 000.0 ათასი ლარის ოდენობით.


- საქართველომ მთლიანად დაფარა 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციის დარჩენილი ძირითადი თანხა 106.8 მლნ ლარის ოდენობით;

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 792 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 498.0 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 560 059.7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 549 433.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.1%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 19.6%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 16.2%-ს შეადგენს.

2012-2013 წლების 6 თვის საქონელი და მომსახურების  
მუხლის ფაქტიური შესრულება



„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 325 687.9 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 294 749.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.5%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.5%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 8.7 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 33 783.3 ათასი ლარი;
- მივლინებები - 33 269.4 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 64 353.1 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 7 123.6 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 24 992.9 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 10 957.9 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 10 391.9 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 32 044.3 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 2 565.0 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 75 267.5 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 121 000.7 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 119 744.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.0%-ს შეადგენს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 4.3%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 68 860.0 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 50 697.1 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 105 250.2 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 106 472.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 101.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.8%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობისა და სამეცნიერო კვლევების პროგრამები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 5 642.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.9%-ს შეადგენს;
- ✓ სახელოვნებო განათლებისა და ხელოვნების განვითარების ღონისძიებები - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 23 172.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.1%-ს შეადგენს;
- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 18 488.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.5%-ს შეადგენს;
- ✓ სასულიერო განათლება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 6 209.8 ათასი ლარი;
- ✓ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე ჯამურად მიიმართა 6 065.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;



- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - ჯამურად მიიმართა 8 100.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 369 418.0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (422 682.3 ათასი ლარი) 87.4%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 13.1%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 923 179.0 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (929 503.1 ათასი ლარი) 99.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 32.9%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 530 801.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური დახმარებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 190 292.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიის (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრები და რუსთაველის პრემიის ლაურეატები, დევნილი მოსახლეობა, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები ასევე, 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვები, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალები და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცები (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) ჯანმრთელობის დაზღვევა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 124 636.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0 %-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სამედიცინო მომსახურების პროგრამები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 57 236.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.4%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 7 369.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;


„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 493 279.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 446 897.0 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 90.6%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 15.9%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 13.2%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 10 594.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 51.2%-ს შეადგენს;

- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 241 716.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.1%-ს შეადგენს;
- ✓ სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის განახლება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 86 000.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სასოფლო - სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 9 820.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს.


2013 წლის 6 თვის ხარჯების სტრუქტურა  
(საკასო შესრულება)



## სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური

### აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

2012-2013 წლების 6 თვის ფაქტიური შესრულება  
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:


- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 645 428.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (714 290.4 ათასი ლარი) 90.4%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 21.7%-ს შეადგენს. მათ შორის:
  - ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 132 745.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (145 342.0 ათასი ლარი) 91.3%-ია;
  - ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 8 392.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 722.8 ათასი ლარი) 78.3%-ია;
  - ✓ ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 10 326.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 753.6 ათასი ლარი) 96.0%-ია;
  - ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 119 557.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (120 775.3 ათასი ლარი) 99.0%-ია;
  - ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ (ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების ტრანსფერები) შეადგინა 362 449.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (413 725.9 ათასი ლარი) 87.6%;
  - ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 11 956.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 970.8 ათასი ლარი) 92.2%-ია.

- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 261 705.5 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 256 227.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.9%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 8.6%. მათ შორის:
  - ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 241 071.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (244 187.0 ათასი ლარი) 98.7%;
  - ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 125.2 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (500.0 ათასი ლარი) 25.0%-ია;
  - ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 15 031.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 018.5 ათასი ლარი) 88.3%-ს შეადგენს.
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 381 051.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 353 772.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 11.9%. მათ შორის:
  - ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 252 856.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (274 454.9 ათასი ლარი) 92.1%;
  - ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 37 795.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (41 341.2 ათასი ლარი) 91.4%-ს შეადგენს;
  - ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 51 438.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (53 082.8 ათასი ლარი) 96.9%-ს შეადგენს;
  - ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 11 683.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 172.9 ათასი ლარი) 96.0%-ს შეადგენს.
- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 330 732.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 320 504.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10.8%. მათ შორის:
  - ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 6 793.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (7 721.9 ათასი ლარი) 88.0%;
  - ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 120 843.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (123 686.4 ათასი ლარი) 97.7%-ს შეადგენს;
  - ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 14 003.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 079.1 ათასი ლარი) 99.5%-ს შეადგენს;
  - ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 388.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (445.9 ათასი ლარი) 87.1%;
  - ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 150 611.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (156 999.2 ათასი ლარი) 95.9%;
  - ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 21 798.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (21 466.6 ათასი ლარი) 101.5%;
  - ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 208.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (215.0 ათასი ლარი) 97.2%-ს შეადგენს;
  - ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 5 857.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 118.0 ათასი ლარი) 95.7%-ს შეადგენს.
- გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 8 831.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 7 569.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 85.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.3%. მათ შორის:
  - ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 2 257.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 469.9 ათასი ლარი) 91.4%-ს შეადგენს;

- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 5 312.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 361.5 ათასი ლარი) 83.5%-ს შეადგენს.
- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 18 624.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 17 720.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.6%. მათ შორის:
  - ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 1 656.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 554.1 ათასი ლარი) 106.6%-ს შეადგენს;
  - ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 16 064.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 070.0 ათასი ლარი) 94.1%-ს შეადგენს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 209 588.3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 208 678.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 7.0%. მათ შორის:
  - ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 8 427.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8 620.5 ათასი ლარი) 97.8%;
  - ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 19 032.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (19 093.4 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს;
  - ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 35 313.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (35 472.2 ათასი ლარი) 99.6%;
  - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 12 383.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 446.4 ათასი ლარი) 99.5%-ს შეადგენს;
  - ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 133 522.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (133 955.8 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს.
- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 71 924.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 67 595.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2.3%. მათ შორის:
  - ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 21 116.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (23 126.8 ათასი ლარი) 91.3%;
  - ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 30 221.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 132.1 ათასი ლარი) 94.1 %-ს შეადგენს;
  - ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 13 788.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (14 138.6 ათასი ლარი) 97.5%-ს შეადგენს;
  - ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 387.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (409.8 ათასი ლარი) 94.6%-ს შეადგენს;
  - ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2 082.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2 117.0 ათასი ლარი) 98.4%-ს შეადგენს.
- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 364 614.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 326 121.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 10.9%. მათ შორის:
  - ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 266 296.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (279 594.8 ათასი ლარი) 95.2%-ს შეადგენს;
  - ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 1 974.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 937.5 ათასი ლარი) 50.1%;

- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 20 913.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (40 368.6 ათასი ლარი) 51.8%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 8 434.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 065.6 ათასი ლარი) 93.0%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 28 501.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (31 648.3 ათასი ლარი) 90.1%-ს შეადგენს.

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 784 192.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 775 594.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 26.0%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 701.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (758.5 ათასი ლარი) 92.5%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 530 928.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (531 621.7 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 201 724.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (204 924.4 ათასი ლარი) 98.4%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 3 141.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 245.2 ათასი ლარი) 96.8%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 22 243.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (26 003.2 ათასი ლარი) 85.5%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 16 854.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 639.0 ათასი ლარი) 95.6%-ს შეადგენს.

## საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

2013 წლის 6 თვის განმავლობაში საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 19 586.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 10 658.5 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	გამოყოფილი თანხა	საკასო შესრულება	გადახრა
<b>საქართველოს მთავრობის კანცელარია</b>		<b>1,215,510.0</b>	<b>641,830.4</b>	<b>573,679.6</b>
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N33 07.02.13.	საქართველოს დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულებამდე საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით	57,640.0	55,597.8	2,042.2
საქართველოს მთავრობის განკარგულება N145 07.02.13.	ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით აუცილებელი მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად	1,157,870.0	586,232.6	571,637.4
<b>საერთო სასამართლოები</b>		<b>3,550,000.0</b>	<b>3,220,000.0</b>	<b>330,000.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N194 21.02.13.	საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი სასამართლო დარბაზების ვიდეოჩამწერი სისტემით აღჭურვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად	3,550,000.0	3,220,000.0	330,000.0
<b>ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b>		<b>1,067,308.1</b>	<b>455,048.7</b>	<b>612,259.4</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N172 15.02.13.	ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, სათანადო ღონისძიებების მაღალ დონეზე მომზადებისათვის აუცილებელი მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად	305,308.1	303,679.9	1,628.2
საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N90 26.04.13.	მიმდინარე წლის 2-8 ივნისს ნატოს კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით - სსიპ საინფორმაციო ცენტრს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ	20,000.0	19,999.6	0.4
საქართველოს მთავრობის განკარგულება N480 22.05.13.	მიმდინარე წლის ივნისში საქართველოში დაგეგმილი ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს (NAC)-ის ვიზიტთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით	565,000.0	131,369.2	433,630.8
საქართველოს მთავრობის განკარგულება N603 21.06.13.	ქ. ბათუმში მ.წ. 11-12 ივლისს საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა, ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპული პარტნიორები ვილნიუსის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტისაკენ“ და მისი ევროპელი მეზობლები“ ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით	177,000.0	0.0	177,000.0
<b>დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b>		<b>232,300.0</b>	<b>122,233.0</b>	<b>110,067.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N435 17.05.13.	ქართული დიასპორის დღეების აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით	232,300.0	122,233.0	110,067.0

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	გამოყოფილი თანხა	საკასო შესრულება	გადახრა
<b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</b>		<b>650,000.0</b>	<b>650,000.0</b>	<b>0.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N508 30.05.13.	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას - შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით	650,000.0	650,000.0	0.0
<b>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</b>		<b>573,974.3</b>	<b>573,968.5</b>	<b>5.8</b>
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	8,037.9	2,547.0	4,878.7	2,439.6	215.0	107.4	2,944.2	0.0
ახალციხის მუნიციპალიტეტი	4,569.4	1,909.2	3,613.1	1,806.6	205.0	102.6	751.3	0.0
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	2,885.4	1,129.8	2,093.5	1,047.0	165.0	82.8	626.9	0.0
<b>მცხეთა-მთიანეთის მხარე</b>	<b>13,917.8</b>	<b>4,632.5</b>	<b>6,594.4</b>	<b>3,297.0</b>	<b>705.0</b>	<b>352.8</b>	<b>6,618.5</b>	<b>982.7</b>
ახალგორის მუნიციპალიტეტი	1,940.9	966.6	1,843.4	921.6	90.0	45.0	7.5	0.0
დუშეთის მუნიციპალიტეტი	3,650.9	1,220.0	2,094.3	1,047.0	105.0	52.8	1,451.6	120.2
თიანეთის მუნიციპალიტეტი	2,967.0	1,205.3	1,988.4	994.2	130.0	64.8	848.6	146.3
მცხეთის მუნიციპალიტეტი	4,055.1	866.3	0.0	0.0	300.0	150.0	3,755.1	716.3
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	1,304.0	374.4	668.2	334.2	80.0	40.2	555.8	0.0
<b>რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარე</b>	<b>17,371.2</b>	<b>5,615.3</b>	<b>9,830.1</b>	<b>4,915.2</b>	<b>465.0</b>	<b>232.2</b>	<b>7,076.1</b>	<b>467.9</b>
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	5,079.0	1,289.4	2,441.9	1,221.0	115.0	57.6	2,522.2	10.8
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	3,363.6	1,087.0	1,968.2	984.0	100.0	49.8	1,295.4	53.2
ონის მუნიციპალიტეტი	2,475.3	1,102.2	2,062.3	1,031.4	100.0	49.8	313.1	21.0
ცაგერის მუნიციპალიტეტი	6,453.2	2,136.7	3,357.7	1,678.8	150.0	75.0	2,945.5	382.9
<b>ჯამი</b>	<b>940,791.1</b>	<b>362,449.6</b>	<b>750,296.1</b>	<b>339,597.2</b>	<b>10,943.0</b>	<b>5,473.8</b>	<b>179,552.0</b>	<b>17,378.6</b>

## თავი IV

### საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2013 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა 193 586.3 ათასი ლარის ოდენობით.

#### საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 139 656.1 ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 171 355.3 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების ზრდა	ათას ლარებში	
	6 თვის გეგმა	6 თვის საკასო შესრულება
	106,541.5	171,355.3
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	42,462.6*
სესხები	57,851.3	80,470.2
აქციები და სხვა კაპიტალი	48,690.2	48,422.4

\*42 462.6 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 332 390.2 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2013 წლის 30 ივნისისთვის განისაზღვრა 374 852.8 ათასი ლარით. ამასთან, „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის მიზნით ზოგიერთი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 მაისის N1032 განკარგულების შესაბამისად ხაზინის ერთიანი ანგარიშის სადეპოზიტო და სავალუტო ანგარიშის სადეპოზიტო ქვეანგარიშებზე განთავსებულია 341 538.5 ათასი ლარი და 8 853.6 ათასი აშშ დოლარი.

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 31 669.2 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლება	ათას ლარებში	
	6 თვის გეგმა	6 თვის საკასო შესრულება
	165,322.0	31,699.2
ვალუტა და დეპოზიტები	145,322.0	10,886.1*
სესხები	20,000.0	20,802.4
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	10.7

\*10 886.1 ათასი ლარი წარმოადგენს წინა წლების გამოუყენებელი სახსრების დაბრუნებას და ხაზინის ანგარიშებზე აღრიცხულ სხვა თანხებს.

## საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა (-53 930.2) ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 233 548.3 ათასი ლარი, მათ შორის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებულმა საინვესტიციო, შეღავათიანმა კრედიტებმა შეადგინა 183 377.2 ათასი ლარი.

ათას ლარებში	
დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
IFAD	1,916.3
WB	36,435.1
EBRD	8,195.6
ADB	16,173.7
EIB	72,204.5
საფრანგეთი	3,753.3
იაპონია	39,753.9
გერმანია	4,944.6
<b>სულ კრედიტები</b>	<b>183,377.2</b>

2013 წლის ექვსი თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 15 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია 185 000.0 ათასის ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 37.8% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 29.7% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 21.6% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, ხოლო 10.8% შეადგინა 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციებმა. ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებულმა თანხამ 182 758.1 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 1 506.4 ათასი ლარი იყო ნომინალზე ზევით გადახდილი დამატებითი თანხა. ამავე პერიოდში დაფარულ იქნა 135 000.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები, მათ შორის ძირითადად თანხამ შეადგინა 131 080.6 ათასი ლარი. 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით წმინდა ვალდებულების ზრდამ 50 171.1 ათასი ლარი შეადგინა.

ათას ლარებში		
ვალდებულებების ზრდა	6 თვის გეგმა	6 თვის საკასო შესრულება
		214,482.4
საგარეო	165,482.4	183,377.2
სესხები	165,482.4	183,377.2
საშინაო	49,000.0	50,171.1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	49,000.0	50,171.1

3. ვალდებულებების კლება 287 478.5 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა, მათ შორის საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სავალუტო ფონდის ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხის ძირითადი

თანხის დაფარვა 84.5 მლნ ლარის ოდენობით და 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციის დარჩენილი თანხის დაფარვა 106.8 მლნ ლარის ოდენობით.

ვალდებულებების კლავა	ათას ლარებში	
	6 თვის გეგმა	6 თვის საკასო შესრულება
	291,576.6	287,478.5
საგარეო	248,307.0	245,627.1
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	106,824.6	106,824.6
სესხები	128,207.8	126,127.4
სხვა კრედიტორული დავალიანებები	13,274.6	12,675.1
საშინაო	43,269.5	41,851.5
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	21,000.0	21,000.0
სესხები	8,050.2	8,050.2
სხვა კრედიტორული დავალიანებები	14,219.3	12,801.3

### საქართველოს სახელმწიფო ვალი

2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 8 746.5 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო საშინაო ვალის მთლიანი მოცულობა შეადგენს 1 931.2 მლნ ლარს, მათ შორის ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეზ-ისთვის“) – 480.9 მლნ ლარი; სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) - 141.0 მლნ ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 110.0 მლნ ლარი; ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 527.0 მლნ ლარი; სხვა სავალო ვალდებულებები (ისტორიული ვალი) - 672.3 მლნ ლარი;
- ✓ სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 6 815. 3 მლნ ლარი.

მლნ ლარი

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით
<b>სულ სახელმწიფო საგარეო ვალი</b>	<b>6,815.3</b>
<b>მრავალმხრივი კრედიტორები</b>	<b>4,398.2</b>
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,102.9
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	591.8
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	41.3
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	536.5
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	166.1

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	704.4
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	255.3
<b>ორმხრივი კრედიტორები</b>	<b>1,227.9</b>
ავსტრია	14.1
აზერბაიჯანი	20.8
თურქმენეთი	0.3
თურქეთი	39.8
ირანი	16.3
რუსეთი	170.8
სომხეთი	24.6
უზბეკეთი	0.5
უკრაინა	0.5
ყაზახეთი	45.9
ჩინეთი	7.3
გერმანია	544.3
იაპონია	163.0
კუვეიტი	36.7
ნიდერლანდები	4.7
ამერიკა	53.0
საფრანგეთი	85.3
<b>ფასიანი ქალაქები</b>	<b>825.5</b>
ევროობლიგაცია	825.5
<b>გარანტირებული კრედიტები</b>	<b>4.9</b>
გერმანია	4.9
<b>საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი</b>	<b>358.8</b>
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	358.8



## თავი V

# საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების და პროგრამების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

### 1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

#### 1.1. სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

#### 1.1.1. საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 01)

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით.
- სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფილი იქნა იანვარში 682.8 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 683.0 ათასზე მეტი პირი, მარტში - 684.2 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 684,8 ათასზე მეტი პირი, მაისში - 685,0 ათასზე მეტი პირი, ივნისში - 685,8 ათასზე მეტი პირი, ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა იანვარში 17.5 ათასამდე პირზე, თებერვალში - 17.4 ათასამდე პირზე, მარტში - 17.3 ათასზე მეტ პირზე, აპრილში - 17,3 ათასზე მეტ პირზე, მაისში - 17.7 ათასზე მეტ პირზე, ივნისში - 17. 8 ათასზე მეტ პირზე.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 530.8 მლნ ლარი.

#### 1.1.2. სოციალური დახმარებები (პროგრამული კოდი 35 02 02)

- საანგარიშო პერიოდში საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 506.3 ათასამდე ოჯახი, თებერვალში - 435.8 ათასამდე ოჯახი, მარტში - 395.4 ათასამდე ოჯახი, აპრილში - 394,1 ათასამდე ოჯახი, მაისში - 413,2 ათასამდე ოჯახი და ივნისში -435,4 ათასზე მეტი ოჯახი;
- დაფინანსდა 9.3 ათასამდე ე.წ. ახალი დევნილების ოჯახის საარსებო შემწეობა;
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება გაეწია იანვარში 657 პირს, თებერვალში - 697 პირს, მარტში - 835 პირს, აპრილში - 689 პირს, მაისში - 678 პირს, ხოლო ივნისში - 691 პირს;
- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობით იანვარში უზრუნველყოფილ იქნა 227.5 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 231.9 ათასზე მეტი პირი, მარტში - 234.2 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 233.3 ათასზე მეტი პირი, მაისში - 231.8 ათასზე მეტი პირი, ხოლო ივნისში - 229.6 ათასზე მეტი პირი;
- რენტეგრაციის შემწეობა გაიცა იანვარში 248 ბავშვზე, თებერვალში - 251 ბავშვზე, მარტში - 252 ბავშვზე, აპრილში - 243 ბავშვზე, მაისში - 244 ბავშვზე და ივნისში - 242 ბავშვზე;
- სოციალური პაკეტი იანვარში გაიცა 144.2 ათასზე მეტ პირზე, თებერვალში - 144.1 ათასზე მეტ პირზე, მარტში - 144.3 ათასზე მეტ პირზე, აპრილში - 144.1 ათასზე მეტ პირზე, მაისში - 144.6 ათასზე მეტ პირზე და ივნისში - 144.5 ათასზე მეტ პირზე;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა რაოდენობამ მიმდინარე წლის იანვარში შეადგინა 60.6 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 60.2 ათასზე მეტი პირი, მარტში - 59.8 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 59.4 ათასზე მეტმა პირმა, მაისში - 59.0 ათასზე მეტმა პირმა და ივნისში - 58.7 ათასზე მეტმა პირმა;
- საქართველოს მთავრობის ინიციატივით 1 მარტიდან განისაზღვრა იმ პირთა კატეგორია რომელსაც უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით, აუნზღაურდებათ პროფესიული დაავადება ან

დამსაქმებლის ბრალეულობით შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანი. შრომითი მოვალეობის შეასრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით აპრილის თვეში დახმარება მიიღო 173-მა პირმა, მაისში - 173-მა პირმა, ხოლო ივნისში - 537-მა პირმა.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 190.3 მლნ ლარი.

### 1.1.3. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია:

- „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში – 70 ბენეფიციარს, თებერვალში – 77 ბენეფიციარს, მარტში – 83 ბენეფიციარს, აპრილში - 88 ბენეფიციარს, მაისში -143 ბენეფიციარს და ივნისში -147 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში – 138 ბენეფიციარს, თებერვალში – 151 ბენეფიციარს, მარტში - 154 ბენეფიციარს, აპრილში - 252 ბენეფიციარს, მაისში - 305 ბენეფიციარს და ივნისში - 369 ბენეფიციარს;
- „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში – 1 036 ბენეფიციარს, თებერვალში – 1 150 ბენეფიციარს, მარტში – 1 144 ბენეფიციარს, აპრილში - 1 033 ბენეფიციარს, მაისში - 1 127 ბენეფიციარს და ივნისში - 1 161 ბენეფიციარს;
- „მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების კვებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში – 203 ბენეფიციარს, თებერვალში – 255 ბენეფიციარს, მარტში – 236 ბენეფიციარს, აპრილში - 235 ბენეფიციარს, მაისში - 348 ბენეფიციარს და ივნისში - 411 ბენეფიციარს;
- „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში – 85 ბენეფიციარს, თებერვალში – 84 ბენეფიციარს, მარტში – 85 ბენეფიციარს, აპრილში - 83 ბენეფიციარს, მაისში - 89 ბენეფიციარს და ივნისში - 96 ბენეფიციარს;
- „მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში – 1 010 ბენეფიციარს, თებერვალში – 1 007 ბენეფიციარს, მარტში – 1 015 ბენეფიციარს, აპრილში - 213 ბენეფიციარს, მაისში - 1 063 ბენეფიციარს და ივნისში - 1 055 ბენეფიციარს;
- „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში – 316 ბენეფიციარს, თებერვალში – 317 ბენეფიციარს, მარტში – 314 ბენეფიციარს, აპრილში - 311 ბენეფიციარს, მაისში - 322 ბენეფიციარს და ივნისში - 229 ბენეფიციარს;
- „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარში - 13 ბენეფიციარს, თებერვალში - 10 ბენეფიციარს, მარტში - 11 ბენეფიციარს, აპრილში - 11 ბენეფიციარს, მაისში - 49 ბენეფიციარს და ივნისში - 36 ბენეფიციარს;
- „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფილ იქნა იანვარში – 102 ბენეფიციარი, თებერვალში - 3 ბენეფიციარი; სმენის აპარატებით უზრუნველყოფილ იქნა: იანვარში - 30 ბენეფიციარი, თებერვალში - 8 ბენეფიციარი; სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფილ იქნა 31 ბენეფიციარი; „კოხლევარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში ოპერაცია ჩაუტარდა იანვარში 8 ბენეფიციარს, თებერვალში - 5 ბენეფიციარს, მარტში - 8 ბენეფიციარს, აპრილში-3 ბენეფიციარს, მაისში - 3 ბენეფიციარს და ივნისში - 3 ბენეფიციარს; ლოგოპედის მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 70-მდე ბენეფიციარს.

### 1.2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

### 1.2.1. ჯანმრთელობის დაზღვევა (პროგრამული კოდი 35 03 01)

- განხორციელდა სამიზნე ჯგუფების მათ შორის, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების, დევნილი მოსახლეობის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების. ასევე, 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა.
- პროგრამის ფარგლებში იანვარში დაფინანსებული იქნა 1 634.7 ათასზე მეტი ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია, თებერვალში – 1 650.1 ათასზე მეტი, მარტში - 1 663.6 ათასზე მეტი, აპრილში - 1 656.0 ათასზე მეტი, მაისში - 1 655.2 ათასზე მეტი, ხოლო ივნისში - 1 403.6 ათასამდე ბენეფიციარის სადაზღვევო პრემია.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 124.6 მლნ ლარი.

### 1.2.2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

#### 1.2.2.1. დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

- „კიბოს სკრინინგის“ ფარგლებში დაფიქსირდა ძუძუს კიბოს სკრინინგის 9.7 ათასამდე შემთხვევა; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის 13.0 ათასზე მეტი შემთხვევა; კოლორექტალური კიბოს სკრინინგის - 3.0 ათასზე მეტი შემთხვევა; პროსტატის კიბოს სკრინინგის - 2.9 ათასამდე, ხოლო კოლონოსკოპიური სკრინინგის - 84 შემთხვევა;
- „0-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების შეფერხების სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში კონსულტირებულ იქნა 0-6 წლამდე ასაკის 1.4 ათასზე მეტ ბავშვზე გაწეულ იქნა 6.2 ათასზე მეტი კონსულტაცია;
- „ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში კონსულტაცია გაეწია 385 ბავშვს;
- „ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ რეგისტრირებული იყო 755 პაციენტი, მათგან 754-ს ჩაუტარდა ეპილეფსიის პირველადი სკრინინგი, 740-ს ეპილეფტოლოგის კონსულტაცია, 512-ს ელექტროენცეფალოგრაფიული კვლევა და შეფასება, 511-ს - ნეიროფსიქოლოგიური სკრინინგ-შეფასება.

#### 1.2.2.2. იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

- საანგარიშო პერიოდში სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მიღებული მედიკამენტების, შპრიცების, ვაქცინებისა და შრატების გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.
- ანტირაბიული დახმარება გაეწია 4.0 ათასზე მეტ პაციენტს (2013 წლის 28 თებერვლიდან აღნიშნული მომსახურება გათვალისწინებულია „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამაში);
- მიმდინარეობდა წითელას მასობრივი გავრცელების პრევენციის ღონისძიებები.

### 1.2.2.3. ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ვირუსულ ჰეპატიტებზე გამოკვლეულ იქნა 630-მდე პირი.
- ნაწლავთა ჯგუფის ინფექციებზე გამოკვლეულ იქნა 209 ნიმუში.
- სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე გამოკვლეულ იქნა 546 პირი;
- პროგრამის ფარგლებში გაისინჯა მალარიაზე საექვო 19 ავადმყოფის სისხლი. ჩატარდა სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად - 72 კვლევა.

### 1.2.2.4. უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

- პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 24.9 ათასზე მეტი დონორული სისხლის სკრინინგული გამოკვლევა.

### 1.2.2.5. პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

- პროგრამის ფარგლებში რიგ საწარმოებში ჩატარდა ჰიგიენური პირობების, კლინიკური პრობლემებისა და ტოქსიკოლოგიური გარემოს კვლევა და შეფასება.

### 1.2.2.6 ინფექციური დაავადებების მართვა (35 03 02 06)

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 800-ზე მეტი ინფექციური და პარაზიტული დაავადების შემთხვევა.

### 1.2.2.7 ტუბერკულოზის მართვა (35 03 02 07)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 37.0 ათასზე მეტი ამბულატორიული ვიზიტი;
- სტაციონარული მომსახურება გაეწია 1.4 ათასზე მეტ პირს და ჯამურად 61.4 ათას საწოლ-დღეზე მეტი აღირიცხა;
- ჩატარდა 128 ქირურგიული ოპერაცია.

### 1.2.2.8 აივ-ინფექცია/შიდსი (35 03 02 08)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების 8.4 ათასზე მეტი შემთხვევა. ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 1.8 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო სტაციონარულით - 202-მა პირმა.
- აივ-ინფექცია/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთა ნებაყოფლობითი ტესტირების კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა 6 911 სისხლის ნიმუშის სკრინინგული კვლევა.

### 1.2.2.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (35 03 02 09)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ანტენატალური მეთვალყურეობით გათვალისწინებული 84.0 ათასზე მეტი ვიზიტი; ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილლანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 25.5 ათასზე მეტი ახალშობილი, მათ შორის განხორციელდა მეორადი სკრინინგიც და ამბულატორიული მეთვალყურეობაც.
- გენეტიკური პათოლოგიების გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 1.5 ათასზე მეტი ნიმუშის გამოკვლევა, მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის 990 შემთხვევა.

- ჩატარდა 10.3 ათასზე მეტი პირველადი სმენის სკრინინგი. სმენის მეორადი სკრინინგი და ტიმპანომეტრია ჩატარდა 350 ახალშობილს, კომპიუტერული აუდიომეტრია - 5 ახალშობილს.

#### **1.2.2.10 ნარკომანია (35 03 02 10)**

- ჩამანაცვლებელი ნარკოტიკითა და სამედიცინო მეთვალყურეობით უზრუნველყოფილ იქნა 1.7 ათასამდე ბენეფიციარი, ხოლო სტაციონარული დეტოქსიკაციითა და რეაბილიტაციით ისარგებლა 148 პაციენტმა.

#### **1.2.3. მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)**

##### **1.2.3.1. ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)**

- ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 162-მა ბავშვმა, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში განხორციელდა 866 ვიზიტი, ხოლო ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში - 95.6 ათასზე მეტი ვიზიტი.
- ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურებით (როგორც მწვავე, ისე ქრონიკული) 3.0 ათასზე მეტმა პირმა ისარგებლა, მათ შორის, დაფიქსირდა ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების 9.8 ათასზე მეტი შემთხვევა, ხოლო ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება გაეწია 171 ბენეფიციარს.
- ფსიქოზური რეგისტრის აშლილობების მქონე პაციენტთა ურგენტული სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 5 გადაუდებელი შემთხვევა.

##### **1.2.3.2. დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)**

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურებით სარგებლობს საშუალოდ 671 დიაბეტით დაავადებული ბავშვი, ხოლო სპეციალიზირებული ამბულატორიული დახმარებით ისარგებლა 1.4 ათასზე მეტმა პაციენტმა.

##### **1.2.3.3. ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება (35 03 03 03)**

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 340 შემთხვევა და პროგრამით ისარგებლა 94-მა ბენეფიციარმა.

##### **1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (35 03 03 04)**

- პროგრამის ფარგლებში ჰემო და პერიტონეული დიალიზით მკურნალობის პროგრამაში ჩართული იყო 1.8 ათასზე მეტი პაციენტი;
- დაფიქსირდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 18 შემთხვევა.
- განხორციელდა ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა.

##### **1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (35 03 03 05)**

- ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 113.4 ათასზე მეტი ვიზიტი.
- ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 238 შემთხვევა (1. 3 ათასზე მეტი საწოლ-დღე).

### **1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 03 06)**

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურების 200-ზე მეტი, იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურების 520-ზე მეტი (119 პაციენტი) და ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის - 2.6 ათასზე მეტი შემთხვევა.

### **1.2.3.7. სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (35 03 03 07)**

- პროგრამის ფარგლებში რეფერალური დახმარება გაეწია 4.4 ათასზე მეტ პაციენტს, ხოლო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების პროგრამა მოემსახურა 451.6 ათასზე მეტ გამოძახებას.

### **1.2.3.8. სოფლის ექიმი (35 03 03 08)**

- სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა). ასევე გათვალისწინებულია სპეციალური მალაქითიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის.
- პროგრამის ფარგლებში კონტრაქტით აყვანილია 2.7 ათასამდე ექიმი და ექთანნი.
- სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 5.3 მლნ ლარზე მეტი;

### **1.2.3.9 რეფერალური მომსახურება (35 03 03 09)**

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების 5.0 ათასზე მეტი შემთხვევა.

### **1.2.3.10 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (35 03 03 10)**

- პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულიად გამოკვლეულ იქნა 9.3 ათასზე მეტი წვევამდელი. ჩატარდა 1.0 ათასზე მეტი დამატებითი სტაციონარული გამოკვლევა.

### **1.2.5. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (35 03 05)**

2013 წლის 28 თებერვლიდან დაიწყო „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილ იქნა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფა პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე; ამბულატორიული მომსახურებაზე და გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე (450-ზე მეტი ნოზოლოგიური ჯგუფის ფარგლებში).

- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გეგმიურ ამბულატორიული მომსახურებაზე დარეგისტრირდა 1 374.0 ათასზე მეტი პირი;
- გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების ფარგლებში, დარეგისტრირებულია 62.9 ათასზე მეტი შემთხვევა.

### **1.3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)**

**პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“;
- ✓ სსიპ - „ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;
- ✓ სსიპ - „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“;
- ✓ სსიპ - „სამედიცინო მედიაციის სამსახური“
- ✓ სსიპ - „ნარკომანიით დაავადებულ პირთა რეაბილიტაციის ცენტრი“.

### 1.3.1. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 35 01 01)

- მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია, აგრეთვე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებები;
- განხორციელდა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიმდინარე საქმიანობის მართებულობის, რესურსების ეფექტიანად და ეკონომიურად გამოყენების, მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა და რისკების ანალიზი;
- მიმდინარეობდა თანამედროვე სააინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, პროგრამული უზრუნველყოფა და დანერგვა. ასევე, ჯანმრთელობის მართვის საინფორმაციო სისტემების სრულყოფა და კოორდინაცია.

### 1.3.2. სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 02)

- მიმდინარეობდა სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი;
- შემოწმდა 130-ზე მეტ სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი, სალიცენზიო პირობების დაცვის მდგომარეობა 4 სამედიცინო დაწესებულებაში, სანებართვო პირობები - 16, ხოლო ტექნიკური რეგლამენტი - 30-მდე სამედიცინო დაწესებულებაში. პროფესიული განვითარების საბჭომ განიხილა 124 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.
- გაიცა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია 11 დაწესებულებაზე, 38 ნებართვა ავტორიზებულ აფთიაქზე და ფარმაცევტულ წარმოებაზე, ასევე 61 ნებართვა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტ-ექსპორტზე;
- მომზადდა და გაიცა 75 წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების იმპორტსა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ექსპორტზე.;
- კონტროლის ღონისძიებების შედეგად ჩამორთმეული იქნა 23.8 ათას ერთეულზე მეტი (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა) აღრიცხვის დადგენილი წესის დარღვევით არსებული და საქართველოს ბაზარზე დაშვების უფლების არმქონე 35.7 ათას ერთეულზე მეტი ფარმაცევტული პროდუქტი.
- მიმდინარეობდა საექიმო სპეცილობის მამიებელთა სააპელაციო განცხადებების განხილვა.
- აკრედიტაციის პროცესში დადგინდა აკრედიტირებული დაწესებულებებისა და სასწავლებლების ჩამონათვალი, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა. შესწავლილ იქნა 183 დაწესებულება.

### 1.3.3. დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 35 01 03)

- მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;
- უზრუნველყოფილია ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა;
- განხორციელდა ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა, ლაბორატორიების ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დეზინფექციის ეფექტიანობისა და სტერილობის განსაზღვრა;
- მიმდინარეობდა იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და მისი განხორციელების ზედამხედველობა.

#### **1.3.4. სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 04)**

- მიმდინარეობდა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება, შესაბამისი საინფორმაციო ბაზების შემუშავება და მართვა;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოციალური დახმარების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული) დახმარების მიმღებ ბენეფიციართა დადგენა, აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;
- შეიქმნა ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკი;
- განხორციელდა მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა და მათი განხორციელების მონიტორინგი.

#### **1.3.5. სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 05)**

- ტრეფიკინგის მსხვერპლებს გაეწიათ სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება;
- განხორციელდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებით და სხვა სერვისებით მომსახურება, თავშესაფრების მომსახურებით ისარგებლა ოჯახში ძალადობის 23-მა სრულწლოვანმა და 39-მა არასრულწლოვანმა;
- განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ხანდაზმულთათვის და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების ინსტიტუციონალური პატრონაჟი – მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, დღის და სადღეღამისო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები.
- შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნა ბავშვთა სახლებში, ხანდაზმულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატებში, ჩვილ ბავშვთა სახლში, ბავშვთა კრიზისულ ცენტრებში განთავსებული 615 ბენეფიციარი.

#### **1.3.6 სამედიცინო მედიაციის პროგრამა (35 01 06)**

- მიმდინარეობდა სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში დაზღვევის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი, დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით არსებული 91 სარჩელის განხილვა.
- მოსახლეობისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული სადაზღვევო პირობების სრულყოფილ მიწოდებაზე მუდმივი ზედამხედველობისას, სახელმწიფო სადაზღვევო და ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში, სამსახურში დაფიქსირდა 8.6 ათასზე მეტი მომართვა. რიგი მომართვების



შემთხვევაში იდენტიფიცირდა დარღვევა და დამრღვევ მხარეს გაეწია რეკომენდაცია დარღვევის გამოსწორების თაობაზე.

#### 1.4. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- განხორციელდა ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვისათვის საჭირო ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შექმნა, შესაბამისი ტექნიკის, პროგრამული ლიცენზიების, სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის და საჭირო მომსახურებების შესყიდვის ღონისძიებების კომპონენტის ფარგლებში, კომპანია EMC-თან გაფორმებული მრავალწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე, მიმდინარეობდა საინფორმაციო სისტემის დანერგვისათვის საჭირო მომსახურებები (პროგრამების ინსტალირება, ტექნიკური დავალებების ასახვა შესაბამის საინფორმაციო სისტემებში, შესაბამისი ტრენინგები და ა.შ.).

#### 1.5. ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში (პროგრამული კოდი 27 04)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აპარატის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახური

- განხორციელდა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურების მომარაგება მედიკამენტებით, სახარჯი მასალებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით. სასჯელაღსრულების სისტემის სამედიცინო დაწესებულებებში, ამბულატორიულ პირობებში კონსულტაცია გაიწია და მკურნალობა ჩატარდა 143 ათასზე მეტ შემთხვევაში, ხოლო სტაციონარული მკურნალობა - 1012 შემთხვევაში; გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში კვალიფიციური გამოკვლევები და მკურნალობა ჩატარებულ იქნა - 2997-ჯერ; პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურის ექიმ-სპეციალისტების მიერ ჩატარებულ იქნა - 17769 კონსულტაცია; სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირებულია 76%-ით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით;
- აშენდა №14 დაწესებულების პირველადი ჯანდაცვის პუნქტი; №15 დაწესებულებაში მიმდინარეობდა პირველადი ჯანდაცვის პუნქტის რეაბილიტაცია.

#### 1.6. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი

- მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა და პენსიონერთა და მათი ოჯახის წევრთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; ასევე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა მათი ამბულატორიული, სტაციონალური მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; მიღებულ იქნა მონაწილეობა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში;

მიმდინარეობდა პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი და მკურნალობის ხარისხის და ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და გატარება.

## 1.7. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

- ექიმებთან მიღება გაიარა 39 448 პაციენტმა, სტომატოლოგიური მკურნალობა ჩატარდა 3 669 პაციენტს, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 2 263 გამოკვლევა, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 3 565 გამოკვლევა, ფიზიოთერაპიულ კაბინეტში ჩატარებულ იქნა 7 004 პროცედურა, რენტგენოლოგიურ კაბინეტში მიღებულ იქნა 8 991 პაციენტი, ლაბორატორიული ანალიზი – 17 235, საინექციო კაბინეტში ჩატარდა 1 127 პროცედურა, მასაჟის კაბინეტში მიღებულ იქნა 2 674 პაციენტი, სულ კომისია გაიარა 2 339 პირმა. სტაციონალური სამედიცინო მკურნალობა გაიარა 552 პაციენტმა.

## 2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

### 2.1. შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება (პროგრამული კოდი 29 01)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი
- ✓ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი

- მართვისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით თავდაცვის სისტემაში განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია;
- რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის განვითარების მიზნით შესწავლილ იქნა არსებული რეზერვის სისტემის ნაკლოვანებები და მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობდა რეზერვის ახალი სტრუქტურის შემუშავება;
- მომზადდა GPX სიმულატორის ოპერატორების ორი ჯგუფი;
- შეიარაღებული ძალებისათვის თანამედროვე სტანდარტების ინფრასტრუქტურის აღდგენა-მშენებლობის კუთხით მიმდინარეობდა ყაზარმებისა და სასადილოების სარემონტო სამუშაოები;
- ლოჯისტიკური სისტემის ოპტიმიზაციისთვის მიმდინარეობდა ლოჯისტიკურ მონაცემთა ინტეგრირებული ბაზის პარამეტრების შემუშავება;
- მიმდინარეობდა დოქტრინული ბაზის განვითარება, კერძოდ ითარგმნა 35 სახელმძღვანელო და დაიბეჭდა 7925 ტირაჟით;
- სიმულაციის სისტემების ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ეროვნულ სასწავლო ცენტრში „კრწანისში“ განახლდა JCATS სიმულაციური საშუალებების პროგრამები; ასევე სიმულაციური საშუალებებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად გარემონტდა შენობა.

### 2.2. საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაერთიანება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი და სხვა სამსახურების მიერ გამოვლენილი დანაშაულისა თუ სამართალდარღვევების ცენტრალიზებული აღრიცხვა, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი;
- სისტემატიურად გაიცემოდა სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაცია სხვადასხვა სამსახურებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული მოთხოვნების შესაბამისად. მიმდინარეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის, როგორცაა მაგალითად ოჯახურ კონფლიქტებთან და ძალადობებთან, საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევებთან დაკავშირებით ინფორმაციის დაგროვება და ანალიზი. სტატისტიკისა და კრიმინალური სოციოლოგიის განყოფილებაში, 2013 წლის 6 თვეში აღირიცხა 587 328 სამართალდარღვევის ფაქტი, შემოწმებულ იქნა მოთხოვნა 64 720 პირზე, გაიცა ცნობა ნასამართლეობაზე – 28 771, ნასამართლეობაზე შემოწმდა 6 220 პიროვნება, ოპერატიული შემოწმება გაიარა 36 780 პირმა, განხორციელდა 85 978 იურუდიული პირის იდენტიფიცირება, ინფორმაციულ ბაზასთან მიმართებაში ჩატარებულია 4 500-მდე სხვადასხვა ოპერაცია, ასევე სისტემატიურად ხორციელდებოდა მონაცემთა ბაზაში არსებული შეცდომების აღმოჩენა და სათანადო დანაყოფებისათვის გადაგზავნა შემდგომი რეაგირების მიზნით;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურებრივ რესურსებზე წვდომის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით ერთჯერადი პაროლის გენერაციის მოწყობილობები გაცემულია უფლებამოსილ თანამშრომლებზე – 10 345 ერთეული;
- საანგარიშო პერიოდში საზღვრის უკანონო გადაკვეთაზე დაკავებულია 15 პირი; სასაზღვრო რეჟიმის დარღვევაზე დაკავებულია 10 პირი; დაფიქსირდა საჰაერო სივრცის დარღვევის 3 ფაქტი.
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მიერ საქართველოს საზღვაო სივრცეში დაფიქსირდა 49 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა: სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის ოდენობამ დაახლოებით შეადგინა 438.2 ათასი ლარი;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მესაზღვრეთა პროფესიული გადამზადების კურსები, სწავლება გაიარა სასაზღვრო პოლიციის 39 მოსამსახურემ; საქართველოს ფარგლებს გარეთ მომზადება-გადამზადება გაიარა 50 მოსამსახურემ. ვიზიტებში, კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მონაწილეობა მიიღო სასაზღვრო პოლიციის 104 თანამშრომელმა. ინგლისური ენის შემსწავლელ კურსს გადის სანაპირო დაცვის 66 მოსამსახურე.
- სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელთან ერთად საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხებთან დაკავშირებით მასალების მოძიებაზე, მომზადებაზე და შემდგომ მათ ანალიზზე;
- აზერბაიჯანულ მხარესთან, ასევე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სადელიმიტაციო ექსპერტთა ჯგუფების ხელმძღვანელთან ერთად ჩატარდა საქართველო აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის ერთობლივი აზომვები სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) N9 სასაზღვრო სექტორის (ვახტანგისი) დასაცავ მონაკვეთზე და საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის აზომვები სასაზღვრო პოლიციის N3 სამმართველოს (წითელი ხიდი) N6 სასაზღვრო სექტორის (სადახლო) დასაცავ მონაკვეთზე;
- სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში სსიპ „112“-ს დაემატა კიდევ ერთი სერვერი, რომელიც ზარების შემოდინების დროს ხარვეზის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. აღნიშნული ემსახურება საქართველოს მასშტაბით საგანგებო სიტუაციების არსებობის შემთხვევაში, შემოსულ ზარებზე სწრაფ რეაგირებას და პიკის საათებში დამატებითი ოპერატორების მობილიზებას, ასევე ზარის ინიციატორისათვის დროული დახმარების აღმოჩენას.
- დაკავებულთა ინფორმირებისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით, საქართველოს მასშტაბით ყველა დროებით მოთავსების იზოლატორში თვალსაჩინო ადგილას (საკნებთან და საგამოძიებო ოთახებთან) განთავსებულია ბრალდებულის სახით დაკავებულთა და ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა პროცესუალური უფლებების ნუსხა 5 ენაზე (ქართული, რუსული, ინგლისური, აზერბაიჯანული, სომხური).

- განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ვარშავაში, სადაც გაზიარებულ იქნა პოლონეთის გამოცდილება არალეგალური მიგრაციის, რეადმისიისა და დაბრუნების საკითხებზე.
- არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებში მონაწილეობის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაცია „PH-International“-თან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ახორციელებდა პროექტს „სამართლებრივი განათლების პროგრამას“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში უზნის ინსპექტორები და მასწავლებლები მე-7 და მე-9 კლასის მოსწავლეებს განსაზღვრული გრაფიკით უტარებდნენ გაკვეთილებს, რომლის დროსაც მოსწავლეები იღებდნენ ინფორმაციას არასრულწლოვანებისა და დანაშაულის შესახებ, აღდგენით მართლმსაჯულებაზე, მოზარდთა ფსიქო-სოციალური პორტრეტზე, ძალადობის სახეობებზე და სხვა მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 2800-მდე გაკვეთილი საქართველოს 46 სკოლაში: თბილისში, თელავში, ყვარელში, გორში, ახალციხესა და სამტრედიაში.
- პოლიციელთა სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვანი და ეფექტიანი შესრულების მიზნით, შსს-ს მიერ შემუშავდა საპატრულო პოლიციის, მესაზღვრე-კონტროლიორის, სასაზღვრო პოლიციისა და დროებითი მოთავსების იზოლატორთა თანამშრომლების ქცევის ინსტრუქციები.
- დაიწყო და მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელი რიგი ადმინისტრაციული შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ასევე, საანგარიშო პერიოდში დაიწყო სოფელ ეწერში, დაბა გუდაურში და სოფელ გორისაში პოლიციის განყოფილებების ახალი შენობების მშენებლობა.
- საანგარიშო პერიოდში სამინისტროს მიერ გამოცხადდა კონკურსები პოლიციის ახალი შენობის საუკეთესო ესკიზური პროექტების, საუკეთესო არქიტექტურულ - გეგმარებითი სტრუქტურის და შენობების გარე სახის კონცეპტუალური ესკიზური პროექტების გამოვლენის მიზნით. ზემოაღნიშნულ კონკურსებში გამარჯვებული პირები დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით.
- განხორციელდა პატრულ ინსპექტორების აღჭურვილობის განახლება. კერძოდ: შეძენილ იქნა ელექტრო შოკები და სამკერდე ვიდეო კამერები. ასევე შეძენილ იქნა საპატრულო მანქანებისთვის დღისა და ღამის ხედვის რეჟიმის მქონე ვიდეოკამერები. აგრეთვე განხორციელდა შს მოსამსახურეების უნიფორმის განახლება.

### 2.3. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (პროგრამული კოდი 27 02)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი;
- ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური.

- გაგრძელდა მუშაობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემაში მყოფ პატიმართა და თავისუფლება აღკვეთილთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესების, მათი კვებითი უზრუნველყოფის, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცულობის გაუმჯობესების და მოქალაქეთა მომსახურების სრულყოფისათვის;
- პრობაციონერთა რესოციალიზაციის, საზოგადოებაში რეინტეგრაციის და სისტემის სრულყოფის მიზნით მიმდინარეობდა მსჯავრდებულთა დასაქმება, მათი ჩართვა სხვადასხვა სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებში;
- გაგრძელდა მუშაობა უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის, ხარისხის გაუმჯობესებისა და სერვისის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. ამ მიზნით სამსახურის ადვოკატებს ჩაუტარდათ სწავლება. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა გასვლითი კონსულტაციები. საანგარიშო პერიოდში იურიდიული დახმარების ბიუროებმა წარმოებაში მიიღეს 5778 სისხლის სამართლის საქმე, რაც 68%-ით მეტია 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე. გაწეულ იქნა 9734 კონსულტაცია, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 18%-ით აღემატება.

### 2.3.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 01)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით გაგრძელდა 2012 წლის ზაფხულში დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში;
- თავისუფლება აღკვეთილ პირთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით სარემონტო სამუშაოები დასრულდა სამ სხვადასხვა დაწესებულებაში. ანალოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა ხუთ დაწესებულებაში, ხოლო ერთი დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე კი მიმდინარეობდა ციხის ერთერთი ახალი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები;
- მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დასრულდა N5 და N6 დაწესებულებების მახლობლად არსებული საზოგადოებრივი მისაღების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- პენიტენციურ სისტემაში ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განახლდა რბილი ინვენტარი თავისუფლება აღკვეთილ პირთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეებისათვის;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდის მიზნით განახლდა რიგი საგანმანათლებლო, პროფესიული და სახელობო სასწავლო პროგრამები, სადაც ჩაერთო 311 თავისუფლება აღკვეთილი;
- საზოგადოებრივი მისაღების შენობებში მომსახურება გაეწია 191 663 ადამიანს.

### 2.3.2. პრობაციის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 02)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

- სააგენტოს ხელშეწყობით დასაქმდა 20 პირობით მსჯავრდებული;
- ფსიქოსარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 256-მა პრობაციონერმა;
- პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამები გაიარა 251-მა პრობაციონერმა;
- საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში ჩაერთო 646 პრობაციონერი;
- ვიდეო-კამერის სერვისი ამოქმედდა ქალაქ თელავში და №9 შერეული ტიპის დაწესებულებაში;
- მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობის საფუძველზე 416 პრობაციონერს მოეხსნა პირობითი მსჯავრი, ხოლო 368 პირს აღუდგა ჩამორთმეული უფლებები;
- პროგრამის ფარგლებში აღსრულდა ამნისტირებულთა საქმეები. ამინისტრა შეეხო სულ 29 018 პირობით მსჯავრდებულს, აქედან: მსჯავრი მოეხსნა - 17 787 პირს, სასჯელი გაუნახვერდა - 2 793 პირს, სასჯელი შეუმცირდა - 8 438 პირს.

### 2.3.3. უფასო იურიდიული დახმარება (პროგრამული კოდი 27 02 03)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

- ეთნიკური უმცირესობებისათვის უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, მარნეულში გაიხსნა

იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრი. ცენტრში სამართლებრივი კონსულტაციის მიღება შესაძლებელია ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე;

- UNDP-ის მხარდაჭერით, იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ოფისების წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგი სისხლის სამართლის საქმეთა მენეჯმენტის ელექტრონულ პროგრამაში. პროგრამა დაინსტალირდა ყველა ოფისში და მუშაობს პილოტურ რეჟიმში;
- ამერიკის იურისტთა ასოციაციის ორგანიზებით, იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის, გორისა და თელავის ბიუროს ადვოკატებს ჩაუტარდათ სწავლება სასამართლო ექსპერტიზის, ნაფიცი მსაჯულებისა და იურიდიული დოკუმენტების შედგენის, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და განგრძობადი იურიდიული განათლების საკითხებზე. სემინარებს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული იურისტებიც დაესწრნენ;
- დანაშაულის პრევენციის მიზნით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე უფროსკლასელი მოსწავლეებისათვის ჩატარდა 40-მდე სემინარი თბილისის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელოსა და აჭარის სხვადასხვა საჯარო სკოლებში. 7 ვიზიტი შედგა იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში, მათ შორის, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ფრეხეთში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში თელიანსა და მეტეხში, ქ. ფოთში ახალი რაიონის დევნილთა დასახლებაში, ასევე - ქ. აბაშაში. რამდენიმე გასვლითი კონსულტაცია განხორციელდა მარნეულის, გარდაბნის, წალკის, კასპის, ყვარლისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სოფლებში;
- მოსახლეობის სამართლებრივ პრობლემებზე ერთობლივი მუშაობის მიზნით ზესტაფონსა და ახალციხეში გაიმართა იურიდიული დახმარების ბიუროებისა და ადგილობრივი მუნიციპალური გამგეობის წარმომადგენელთა სამუშაო შეხვედრები. ქუთაისსა და მცხეთაში კი იურიდიული დახმარების ბიუროებმა, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ადამიანის უფლებათა სფეროს აქტუალურ საკითხებზე დისკუსიები მოაწვეეს. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისათვის მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები მარნეულისა და ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრები:
  - ✓ იურიდიული დახმარების ადმინისტრირების საკითხებზე, ბიუროს უფროსების მონაწილეობით;
  - ✓ იურიდიული დახმარების სამსახურის ახალ სამართლებრივ სტატუსზე, სისხლის სამართლის რეფორმაში ჩართული ორგანიზაციების მონაწილეობით;
  - ✓ უფასო სამართლებრივი დახმარების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, საქართველოს, უკრაინის, მოლდოვის, ლიტვისა და ბულგარეთის იურიდიული დახმარების სამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით;

უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის პირობებზე, ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პროგრამაში მონაწილე სოციალური მუშაკებისათვის.

## 2.4. თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 29 04)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ და მასში შემავალი სსიპ-ები

- განხორციელდა ჩამოწერილი მცურავი საშუალებების რეალიზაცია, უვარგისი და ჩამოწერილი საბრძოლო მასალების (ავია ბომბები, რაკეტები, საარტილერიო ჭურვები) შემდგომი უტილიზაციისთვის საცდელი ეგზემპლარების დაშლა და განადგურება, აღნიშნული პროცესების ტექნოლოგიების გაწერა;
- ჩატარდა უტილიზაციისა და დემილიტარიზაციის საწარმოებში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ასამაღლებელი ღონისძიებები და მომზადდა სასაწყობო მეურნეობა;
- განხორციელდა სამხედრო დანიშნულების კვლევითი სამუშაოების ირგვლივ არსებული ნორმატიული და ლიტერატურული მასალების მოძიება და ანალიზი; დამუშავდა კონკრეტული კვლევითი სამუშაოების მეთოდოლოგიები; ჩატარდა ექსპერიმენტული სამუშაოები.

## 2.5. გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს პროკურატურა

- განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ფარგლებში სულ განრიდებულ იქნა 24 არასრულწლოვანი და 279 სრულწლოვანი პირი. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ საქართველოს მასშტაბით მომსახურება გაეწია 3 616 პირს;
- საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში 18 რაიონული პროკურატურის ორგანიზებით განხორციელდა 36 საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 6 კულტურული, 18 სპორტული ღონისძიება და 8 სოციალური აქცია.

## 2.6. ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

- გაიმართა კონფერენციები თემაზე: „საგადასახადო თაღლითობა და ფულის გათეთრება – საკანონმდებლო რეგულაციები და დადებითი პრაქტიკა“, სადაც მონაწილეობა მიიღეს, როგორც ევროპული პოლიციის და ინტერპოლის, ასევე მსოფლიოს სხვა წამყვანი ქვეყნების დელეგაციათა წარმომადგენლებმა;
- საგამოძიებო სამსახურის მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში იკლო ეკონომიკურ დანაშაულთა რიცხვმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად გამოვლენილი იქნა შედარებით ნაკლები სამართალდარღვევები, ასევე შემცირდა იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართ გამოყენებულ იქნა აღკვეთის ღონისძიება;
- საგამოძიებო სამსახური ნაწილობრივ გადავიდა მართვის თანამედროვე პრინციპებზე, რამაც ხელი შეუწყო სამსახურის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აამალა გამოძიების ხარისხი.

## 2.7. ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების ღონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)

### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

- უზრუნველყოფილ იქნა დიპლომატიური მისიებისა და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტებისა და ეროვნული საგანძურის ობიექტების დაცვა.

## 2.8. პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 27 01)

### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს აპარატი

- საერთაშორისო სტანდარტების პენიტენციული სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ხორციელდებოდა პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია;
- მიმდინარეობდა ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან;

- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გრძელდებოდა სამედიცინო საქმიანობის ორგანიზება, რეგულირება და კონტროლი;
- მიმდინარეობდა სამინისტროს ახალი ოფისისათვის გამოყოფილი შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

## 2.11. დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (26 08)

### პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის და ინოვაციური პროგრამების ცენტრი

- არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამას დაემატა 33 ქალაქი: ხაშური, ქარელი, დუშეთი, ახალგორი, თიანეთი, ყაზბეგი, მარნეული, თეთრიწყარო, წალკა, გურჯაანი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, სიღნაღი, დედოფლისწყარო, საგარეჯო, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ფოთი, ხობი, სენაკი, აბაშა, მარტვილი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, საჩხერე, ჭიათურა, ზესტაფონი, ხარაგაული და თერჯოლა. ამჟამად პროგრამა მოქმედებს სულ 48 ქალაქში;
- განრიდებულ იქნა 107 არასრულწლოვანი, რომელთაც განმეორებით დანაშაული არ ჩაუდენიათ. ისინი წარმატებით ასრულებენ ხელშეკრულების პირობებს;
- „PH International“-ის დახმარებითა და „UNICEF“-ის მონაწილეობით ჩატარდა არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილეთა (პროკურორები, სოციალური მუშაკები/პრობაციის ოფიცრები და მედიატორები) ტრენინგები;
- „ამნისტიის შესახებ“ კანონის ამოქმედების შემდეგ რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში სოციალური სამუშაოების ეფექტურად წარმართვისთვის შემუშავებულ იქნა ყველა საჭირო სახელმძღვანელო თუ ინსტრუმენტი, რომლებიც აუცილებელია ყოფილი მსჯავრდებულების საჭიროების გამოკვეთისთვის, შემთხვევის მართვის ეფექტურად წარმართვისა და რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმის სწორად შესადგენად. ამავე პროგრამის ფარგლებში ცენტრის სოციალურმა მუშაკებმა გაიარეს პროფესიული გავითარების ტრენინგები, შეხვედრები გაიმართა 170-მდე არასამთავრობო ორგანიზაციისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან;
- გამოცხადდა ორი საგრანტო კონკურსი ყოფილი მსჯავრდებულების ფსიქოლოგიური დახმარების და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებებით;
- არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერით პროგრამის ბენეფიციარებმა გაიარეს სხვადასხვა სახის სასწავლო კურსები (სოციალური უნარები, ცხოვრების ჯანსაღი წესი, საკუთარი რესურსების შეფასება და მომავლის დაგეგმვა, ინგლისური ენის შესწავლა, ქალის ჯანმრთელობა დღეს და ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსები).

## 2.12. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

- ჩატარებულია საკონტროლო შემოწმებები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;

## 3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

### 3.1.2. გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

#### ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



- „გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაციის“ ღონისძიებების ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოები 2012 წლიდან 2013 წელს გარდამავალ ობიექტებზე;
  - ✓ 2013 წლის გეგმით გათვალისწინებული ახალი ობიექტების ნაწილზე გაფორმდა ხელშეკრულებები და მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო დარჩენილ ობიექტებზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები;
  - ✓ მიმდინარეობდა ასფალტბეტონის და ცემენტობეტონის ახალი საფარების მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნივთების რეაბილიტაცია;
  - ✓ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით 2013 წელს ჩასატარებელი სამუშაოების ნაწილში დაწყებულია მუშაობა, დანარჩენზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.
- გზების მიმდინარე შეკეთებისა და შენახვა ზამთრის პერიოდში ღონისძიების ფარგლებში მიმდინარე შეკეთების სამუშაოები საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო სისტემების, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების, გზის კუთვნილების კეთილმოწყობის და ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოები.
- თბილისის შემოსასვლელი საავტომობილო გზის 15-21 კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის ფარგლებში:
  - ✓ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები.
  - ✓ ნაწილობრივ შესრულდა საგზაო სამოსის მოწყობის სამუშაოები.
- მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი სამუშაოები 2012 წლიდან 2013 წელს გარდამავალ ობიექტებზე და ახალი ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. ობიექტების უმეტეს ნაწილზე დაწყებულია სამუშაოები, ნაწილზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები და უახლოს პერიოდში დაიწყება შესაბამისი სამუშაოები.
- მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 132 კმ-ზე გველეთის ხიდის მშენებლობის ფარგლებში:
  - ✓ საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ხიდის ბურჯების საძირკვლების ექსკავაციის სამუშაოები;
  - ✓ შესრულდა მდინარე თერგის მარჯვენა ნაპირის სარეგულაციო კედლის მშენებლობა.
- შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტის (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორც 2012 წლიდან 2013 წელს გარდამავალ ობიექტებზე, ასევე 2013 წელს გათვალისწინებულ ახალ ობიექტებზე;
  - ✓ მიმდინარეობდა ახალი ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება. ხოლო იმ ობიექტებზე, სადაც არსებობდა საპროექტო გადაწყვეტილებები გამოცხადდა ტენდერი, გაფორმდა ხელშეკრულებები ორ პროექტზე და დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- კახეთის რეგიონული გზების განვითარების პროექტის (სასადილო-სიონის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია) (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები საზედამხედველო მომსახურებაზე.
  - ✓ გაფორმდა ხელშეკრულება საგზაო უსაფრთხოების სამუშაოების გამხორციელებაზე.

### 3.1.3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

#### ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ არსებული რიკოტის საავტომობილო საუღელტეხილო გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:

- ✓ მიმდინარეობდა გვირაბის ელექტრო-მექანიკური სისტემებით აღჭურვის სამუშაოები, კერძოდ: განათების, ვენტილაციის, ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების, გადაუდებელი შეტყობინების ხმოვანი სამაუწყებლო, ვიდეო მართვის და მონიტორინგის სისტემების ტესტირება.
- ✓ დასრულების ფაზაშია გვირაბების მაღალი ძაბვით მომარაგების ხაზის სამშენებლო სამუშაოები.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის იგოეთი-სვენეთის კმ55-80 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
  - ✓ კონტრაქტორმა რადგან ვერ უზრუნველყო სამშენებლო სამუშაოების სახელშეკრულებო ვადებში დასრულება. მიმდინარეობდა და დასრულდა დარჩენილი სამუშაოების ინვენტარიზაცია;
  - ✓ მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (სვენეთი-მდ. ლიახვის) კმ80-კმ84,75 ( I ლოტი) მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა დეფექტების აღმოფხვრის სამუშაოები. კონტრაქტორი ახორციელებდა დეფექტებით შესრულებული სამუშაოების გამოსწორებასა და დარჩენილი მცირე მოცულობის სამუშაოებს.
  - ✓ საანგარიშო პერიოდში დასრულდა სამშენებლო სამუშაოები და გზის ორივე მიმართულება შევიდა ექსპლუატაციაშია.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვზე ხიდის) კმ84.75-კმ86.2 ( II ლოტი) მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
  - ✓ ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია.
  - ✓ მიმდინარეობდა დასრულების სერთიფიკატის მომზადების პროცედურები, კონტრაქტის პირობების თანამხმად მცირე მოცულობის დარჩენილი სამუშაოები განხორციელდება დეფექტების აღმოფხვრის პერიოდში.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ80-კმ95 სვენეთი-რუისის (მდ. ლიახვი-რუისი) კმ86,2-კმ94,531 (III ლოტი) მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
  - ✓ დასრულდა გვირაბის სამშენებლო სამუშაოები, გვირაბის პორტალებზე გრუნტის უკუჩაყრის და გეოგრადის საშუალებით ფერდობების გამაგრების სამუშაოები და მომსახურების შენობის ელექტრო-ტექნიკით აღჭურვა.
  - ✓ შესრულდა გვირაბის მაღალი ძაბვით მომარაგების ხაზის სამშენებლო სამუშაოები.
  - ✓ მიმდინარეობდა ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების და სისტემების ტესტირების მოსამზადებელი სამუშაოები.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის რუისი-აგარა კმ95-114 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
  - ✓ დასრულდა მიწის სამუშაოები, კერძოდ: ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის და დასაწყობების სამუშაოები.
  - ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები, ხიდებისა და გზაგამტარების ნაბურღ-ნატენი რკინა ბეტონის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ საანგარიშო პერიოდში დაიწყო წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობა.
- თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის აგარა-ზემო ოსიაური კმ114-126 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოების (მსოფლიო ბანკის დაფინანსებით) ფარგლებში:
  - ✓ დასრულდა დეტალური პროექტირების სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა პროექტის განხილვის პროცედურები.
- ჩოლოქი-სარფის ს/გზის ახალი მიმართულება (ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა) (ADB) ფარგლებში:

- ✓ საანგარიშო პერიოდში ქობულეთის შემოვლითი გზის ლოტის პირველ მონაკვეთზე გრძელდებოდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები (კვანძებზე);
- ✓ დასრულდა ხიდების მალის ნაშენისათვის წინასწარდაძაბული კოჭების მონტაჟის სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა ხიდებზე ნიუ ჯერსის ტიპის ბეტონის ბარიერების მოწყობის სამუშაოები და ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ლოტი II -ის ფარგლებში გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება.
- ✓ დაიწყო ხიდების ნაბურღ-ნატენი რკინა-ბეტონის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები.
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის (JICA) ფარგლებში:
  - ✓ საანგარიშო პერიოდში ქუთაისის შემოვლითი გზის (კმ0+000-კმ17+300) მონაკვეთზე მიმდინარეობდა და ნაწილობრივ შესრულდა მიწის ვაკისის, წყალგამტარი მილების, მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა ხიდების ნაბურღ-ნატენი რკინა-ბეტონის ხიმინჯების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ნაწილობრივ შესრულებულია ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ქუთაისის შემოვლითი სამტრედიის კმ0+000-კმ25+608 მონაკვეთზე მიმდინარეობდა და ნაწილობრივ დასრულდა მიწის ვაკისისა და წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი ს/გზის (კმ0+000-კმ15+172) მონაკვეთზე დასრულდა გამარჯვებულ სამშენებლო კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების პროცედურები;
  - ✓ მიმდინარეობდა მოსამზედებელი და სამობილიზაციო სამუშაოები.
- სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ0-კმ50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობის (EIB) ფარგლებში:
  - ✓ მიმდინარეობდა დეტალური პროექტირება, საანგარიშო პერიოდში მომზადდა I ლოტოს სატენდერო დოკუმენტაცია;
  - ✓ გამოცხადდა წინასაკვალიფიკაციო შერჩევა, შეფასების ანგარიში წარდგენილია ევროპის საინვესტიციო ბანკში შესათანხმებლად.

### 3.2. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში მიმდინარეობდა:
  - ✓ დაბა ლენტეხის წყალსადენი სისტემის თვითდენითი წყალსადენი „თავადი“-ს წყაროდან „ყირიში“-ს რეზერვუარამდე;
  - ✓ ქ. ცაგერის თამარ მეფის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის წყალმომარაგების სისტემის, ქ. ახალციხის წყალმომარაგების, ქ. ამბროლაურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ სოფელ ნიქოზის სატუმბი სადგურის სამშენებლო სამუშაოები;
  - ✓ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარისას და სოფელ პირველი ტოლას წყალსადენის რეაბილიტაცია.
- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (WB) ფარგლებში მიმდინარეობდა: მამათი-ძიმითი გზის რეაბილიტაცია, მდინარე ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის ხიდთან (1 ეტაპი) და ქ. წყალტუბოს საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა.

- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის (RMIDP I და RMIDP II) ფარგლებში მიმდინარეობდა:
  - ✓ გზების, წყალმომარაგებისა და წყალარინების ქვეპროექტების საწყისი მონაცემებისა და შედეგის ინდიკატორების შეგროვება და ანალიზი;
  - ✓ შერჩეული ექვსი ქალაქისათვის საქართველოს საკანალიზაციო წყლების მართვის სტრატეგიისა და ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის მომზადება;
  - ✓ გურჯაანის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია (პირველი ეტაპის დამატებითი სამუშაოები).
- რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება (მსოფლიო ბანკი) პროექტის ფარგლებში განხორციელდა:
  - ✓ შიდა ქართლის რეგიონში დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში საცხოვრებელი სახლების ნესტით დაზიანებული შიდა კედლების რეაბილიტაცია;
  - ✓ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის ხიდთან მდინარე ცხენისწყლის ნაპირგამაგრების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური პროექტის მომზადების და სამუშაოთა ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;
  - ✓ ქ. ზუგდიდის ქუჩების რეაბილიტაცია;
  - ✓ შუხუთი-აცანა-მამათის გზის რეაბილიტაცია;
- მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი (II ფაზა) (აზიის განვითარების ბანკი) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
  - ✓ ქ. ფოთის წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო და საზედამხედველო სამუშაოები, (I-VI სექტორები);
  - ✓ დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩის და მიმდებარე მოედნების რეაბილიტაცია;
- მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (აზიის განვითარების ბანკი) ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა:
  - ✓ მდინარე მტკვარსა და არაგვზე დაგეგმილი ახალი ხიდების დეტალური პროექტების შეფასება;
  - ✓ თბილისის მეტროპოლიტენის მეორე ხაზის გაგრძელებისა და მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობის პროექტირება, შესყიდვა, მშენებლობის მართვა და ზედამხედველობა;
  - ✓ ინდივიდუალური კონსტრუქციის მომსახურება მეტროს მეორე ხაზის და მეტროსადგური „უნივერსიტეტის“ დეტალური პროექტის განსახილველად;
  - ✓ ანაკლიის ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობა;
  - ✓ რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალზე განსახლების გეგმებით (LARP-I და LARP-II) გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;
  - ✓ რუსთავი-თბილისის ავტომაგისტრალის მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულება.
- რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (მსოფლიო ბანკი - IBRD) ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა:
  - ✓ სოფელ ვეჯინში სასტუმროსთან და რესტორანთან მისასვლელი გზის და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
  - ✓ ქ. თელავში, კერძოდ: ჩოლოყაშვილის ქუჩაზე და ერეკლე მეორის გამზირზე არსებული შენობების, ცენტრალური ნაწილის ქუჩების, მიწისქვეშა კომუნიკაციების და ქუჩების გარე განათების, შენობების ბატონის ციხის, თავისუფლების მოედნის, ნადიკვარის ქუჩისა და პარკის სარეზიდენციო სამუშაოები და ბატონის ციხის ტერიტორიაზე არსებული სურათების გალერიის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სამუშაოების საპროექტო მომსახურება;
  - ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან: ძველ შუამთასთან, ახალი შუამთასთან, იყალთოსთან, ალავერდთან, ბოდბესთან, ნინოწმინდასთან, უჯარმასთან და დავით-გარეჯთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
  - ✓ ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე ტრადიციული სატრაპეზო სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურება;

- ✓ ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის დედათა სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოების საპროექტო მომსახურება;
  - ✓ არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ძველი შუამთისა და იყალთოს მიმდებარე ტერიტორიაზე;
  - ✓ ქ. ყვარლის ცენტრალური ნაწილი ქუჩებში შენობების რესტავრაცია, ქუჩების გამწვანება-კეთილმოწყობა, გარე განათების და მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაცია;
  - ✓ რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში კახეთის რეგიონში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება;
  - ✓ ახტალის კურორტის კომპლექსური აღდგენის სამუშაოები;
  - ✓ ლოპოტის ტბასთან მისასვლელი შიდა გზების რეაბილიტაცია;
  - ✓ კახეთის რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი.
- რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) (მსოფლიო ბანკი) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
    - ✓ ქ. წყალტუბოში „ცივი“ ტბის და ტბიდან გამყვანი არხების, ცენტრალური პარკის გზების, ბილიკების, წყალმომარაგების, საკანალიზაციო სისტემის და სადრენაჟე-სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია;
    - ✓ ქ. წყალტუბოს ცენტრალური პარკისა და „ცივი“ ტბის ტერიტორიის გამწვანება/კეთილმოწყობა და სარწყავი სისტემის მოწყობა;
    - ✓ ქ. წყალტუბოს კურორტის მართვის ოფისის, პარკში და ცივი ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე ზომის ტურისტული შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
    - ✓ ქ. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაცია;
    - ✓ რეგიონული განვითარების პროექტი II-ის ფარგლებში იმერეთის რეგიონში განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის საკონსულტაციო მომსახურება.
  - მცხეთის საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის პროექტი (მსოფლიო ბანკი) ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სამუშაოების დაფინანსება არ განხორციელებულა. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დონორთან წინა პერიოდში შეთანხმებული პროექტი ქ. მცხეთაში საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობაზე, ექცეობა სვეტიცხოველისა და ჯვრის მონასტრის მიმდებარე არეალში, შეიძლება საფრთხის შემცველი ყოფილიყო კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ნუსხის გადახედვისა და ქ. მცხეთის სტატუსის განსაზღვრის საკითხში, რის გამოც აღნიშნული პროექტი შეჩერდა და მის ნაცვლად დაგეგმილია ანალოგიური პროექტის განხორციელება საქართველოს სხვა რეგიონში.

### 3.3. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 04)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
  - ✓ შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“
- წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB) საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
    - ✓ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის, ცაგერის სათავე ნაგებობის „ცივწყაროს“, ლენტეხის (II ეტაპი), ქ. წყალტუბოს, ქ. წალენჯიხის, ქ. კასპის ტერიტორიაზე, ქ. ქარელის ტერიტორიაზე (I ეტაპი), ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის, ტყიბულის, ზესტაფონის, ვანის, წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია;

- ✓ ქ. ჭიათურის, ქ. ბაღდათის, ასპინძაში, სოფელ ნიჯგორსა და აწყვიტაში ხარდოს წყაროებიდან წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
  - ✓ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების ზემო ომალოს და ომალოს ბოსლების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის რეაბილიტაცია;
  - ✓ ქ. ლაგოდეხის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეკონსტრუქცია მდინარე შრომის ხეზე და მდინარე ლაგოდეხის ხეზე;
  - ✓ საქართველოს 26 ქალაქში წყალსადენის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობა;
  - ✓ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის წყლის მრიცხველების სატესტო დანადგარების მიწოდება;
  - ✓ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის ინდივიდუალური მრიცხველების, სათადარიგო ნაწილების და ფიტინგების მოწოდება.
- ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (აზიის განვითარების ბანკი) ქვეპროგრამის ფარგლებში:
    - ✓ მესტიის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მშენებლობა მესტია I-ზე, მესტიის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია მესტია II-ზე, ანაკლიის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გაფორმებული კონტრაქტების ფარგლებში მიმდინარეობდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები;
    - ✓ გაფორმდა კონტრაქტი საკონსულტაციო მომსახურების კატეგორიაზე;
    - ✓ მიმდინარეობდა სატენდერო წინადადებების შეფასების პროცედურები.

### 3.4. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 03)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი
- ✓ შპს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

#### 3.4.1. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი (EBRD) (პროგრამული კოდი 36 03 01)

- რეაბილიტაციის პირველ ფაზაში განხორციელდა ენგურჰესის სამი (№2, 3 და 4) ჰიდროაგრეგატების რეაბილიტაცია.
- მეორე ფაზის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა დარჩენილი №1 და №5 ჰიდროაგრეგატების რეაბილიტაცია, გერმანული კომპანიის მიერ გეგმის შესაბამისად.
- დასრულების სტადიაშია სტატორის აქტიური რკინის და ლეროების მონტაჟი, ტურბინის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

#### 3.4.2. ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC) (პროგრამული კოდი 36 03 02)

- ენგურჰესის ქვედა ბიეფში წყალსაცავის და მასთან არსებული ვარდნილჰესების კასკადის №1 -ჰესის გრავიტაციული კაშხლის და შავ ზღვამდე გამყვანი 23 კმ სიგრძის არხის რეაბილიტაციის ფარგლებში ჩატარებულია წინასასაკვალიფიკაციო შერჩევა და გამოვლენილია შერჩეული ფირმები.
- კაშხალზე და წყალსატარ კონსტრუქციებზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაცია განსახილველად გადაეგზავნა კაშხალთა საერთაშორისო ექსპერტთა საბჭოს და დადებითი დასკვნების მიღების შემდეგ ტენდერი იქნა გახსნილი. სატენდერო წინადადებების განხილვის შედეგად (მაღალი ფასების გამო) ევროპის საინვესტიციო ბანკის თანხმობით მიღებული იქნა გადაწყვეტილება ტენდერის შედეგების გაუქმებისა და ახალი სატენდერო პროცედურების წამოწყების შესახებ.

- მიმდინარეობდა წყალსაცავისა და წყალგამყვანი არხის ბათიმეტრიული ტოპოგრაფიული აგეგმვითი მონაცემების დამუშავება. ასევე მიმდინარეობდა შავი ზღვის სანაპიროს აგეგმარება.

### 3.4.3. ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება (USAID) (პროგრამული კოდი 36 03 03)

- მიმდინარეობდა სენაკი-ქუთაისის მაგისტრალური გაზასადენის მშენებლობა
- ქუთაისი-აბაშას მონაკვეთზე მიმდინარეობდა მილების შედუღების, თხრილში განთავსებისა და მდინარეების გადასასვლელების მოწყობის სამუშაოები.
- აბაშა-სენაკის მონაკვეთზე მიმდინარეობდა შედუღების, ტრანშეაში ჩაწყობის და მიწის უკუჩაყრის სამუშაოები.
- აბაშა-ზესტაფონის 47 კმ-იანი მონაკვეთზე შესრულებულია საერთო მოცულობის 90%.
- ზესტაფონი - ხაშურის 700 მმ 20 კმ -იანი მონაკვეთზე მომზადებულია ტექნიკური დოკუმენტაცია, შეკვეთილია ძირითადი მოწყობილობები და მასალა.

### 3.5. სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 04)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქარველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფოს ელექტროსისტემა

#### 3.5.1. შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტი (KfW, EIB, EBRD) (პროგრამული კოდი 36 04 01)

- „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში ხორციელდება სამი ქვეპროექტი: A პაკეტი - მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა; B პაკეტი - ქვესადგურების მშენებლობა/რეაბილიტაცია და C პაკეტი - მუდმივი დენის ჩანართის მშენებლობა (Back to Back Station).
- A პაკეტზე ყველა სამშენებლო სამუშაო დასრულებულია და საანგარიშო პერიოდში უკვე განხორციელდა ელექტროგადამცემი ხაზი „ზეკარის“ და „ვარძიის“ გამოცდა. დღეის მდგომარეობით ორივე ეგზ ჩართულია და ფუნქციონირებს. B პაკეტზე ახალციხის 500 კვ ქვესადგურის მშენებლობა დასრულებულია. დასრულებულია სამუშაოები ასევე C პაკეტზეც. დარჩენილია მხოლოდ თურქული მხარის მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულება, რომლის შემდეგაც მოხდება ქსელის გატესტის რეჟიმზე გადასვლა.

#### 3.5.2 რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (აზიის განვითარების ბანკი) (პროგრამული კოდი 36 04 02)

- რეგიონში ელექტროენერჯის ტრანზიტული სახელმწიფოს როლის განსამტკიცებლად და მომდევნო წლებში საქართველოში წარმოებული ელექტროენერჯის ექსპორტის მოცულობის მოსალოდნელი ზრდის გათვალისწინებით დაგეგმილია ახალი პროექტების განხორციელება. კერძოდ მაღალი ძაბვის გადაცემის ხაზებისა და ქვესადგურების რეაბილიტაცია/განვითარების მიზნით. აზიის განვითარების ბანკის და ესპანეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში დაგეგმილია სახელმწიფო ელექტროსისტემის ქვესადგურების რეაბილიტაცია და ქვესადგური „ხორგას“ მშენებლობა.
- დასრულებულია ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი და მომზადებულია სატენდერო დოკუმენტაცია. გამოცხადდა ტენდერი და მიმდინარეობდა სატენდერო წინადადებების მიღება.

### 3.7. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

- საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ საქართველო წარმოდგენილი იყო შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე: FITUR (მადრიდი); IMTM (თელ-ავივი); GIBTM (აბუდაბი); EMITT (სტამბოლი); ITB (ბერლინი); UITT (კიევი); AITF (ბაქო); KITF (ალმა-ატა); Batumi Expo 2013 (ბათუმი); Routes Europe 2013 (ბუდაპეშტი); Tbilisi Expo 2013 (თბილისი);
  - ✓ სხვადასხვა მიზნობრივ ბაზრებზე ჩატარდა 11 პრეს და გაცნობითი ტური. პრეს-ტურებში მონაწილე ჟურნალისტების მიერ გამოქვეყნდა სტატიები ბეჭდურ მედია-საშუალებებში;
  - ✓ ჩინეთში, (ქალაქებში: გვანჯოუ, შანხაი და პეკინი) „JSC Georgian Tour“-ისა და ავია კომპანია „China Southern Airlines“-ის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები წამყვან ადგილობრივ ტურ-ოპერატორებთან, მოეწყო საქართველოს ტურისტული პოტენციალის პრეზენტაცია და გავრცელდა პრომო-მასალები საქართველოზე;
  - ✓ ავიახაზების „WIZZAIR“ საბორტო ჟურნალში „WIZZ“ გამოქვეყნდა საქართველოს ტურისტული პოტენციალის ამსახველი სტატია;
  - ✓ გერმანულ „National Geographic“-ის სპეციალურ გამოცემაში „Heritage of our World“ განთავსდა საქართველოს სარეკლამო ბანერი და სტატია;
- მომზადდა საქართველოს ალპინისტური გზამკვლევის საბეჭდი ვერსია ინგლისურ და ქართულ ენებზე, რომელშიც გაერთიანებულია სვანეთისა და ყაზბეგის ტურისტული მარშრუტები, 29 მარშრუტის დეტალური აღწერილობა შესაბამისი კოორდინატებით, ფოტომასალითა და რუკებით;
- შიდა ქართლის რეგიონში სათავგადასავლო ტურისტული პროდუქტების განვითარების პროექტის ფარგლებში ატენის ხეობისათვის დამუშავდა 10 სხვადასხვა სირთულის და ხანგრძლივობის საფეხმავლო მარშრუტი, მომზადდა ციფრული რუკა და გზამკვლევი;
- შიდა ტურიზმის განვითარების პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა იმერეთის ტურისტული რუკის სტრუქტურა, დამუშავდა ძირითადი ღირსშესანიშნაობების აღწერილობა, თემატური მარშრუტები, დიზაინი და აღნიშნული მარშრუტებისათვის მომზადდა ციფრული რუკა;
- ღვინის ტურიზმის პროექტის ფარგლებში მომზადდა ღვინის ტურიზმისა და მევენახეობა-მეღვინეობის სხვადასხვა თემატიკის ამსახველი რუკის სტრუქტურა შესაბამისი ტექსტებით, აგრეთვე მიმდინარეობდა სამუშაოები მის დიზაინზე და ტექსტების ინგლისურ და რუსული ვერსიებზე;
- სვანეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, დაბა მესტიაში გაიმართა „იმპროვიზირებული ლამპრობის“ ღონისძიება;
- ქ. ზაგრებში კომპანია „Wine Pleasures“-ის ორგანიზებით ჩატარებულ ღვინის საერთაშორისო ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ღვინის ტურიზმის სექტორში, საქართველოს მიეცა შესაძლებლობა გამხდარიყო 2014 წელს დაგეგმილი კონფერენციის მასპინძელი;
- წყლის ტურიზმის განვითარების მიზნით (მიმართულება „კაიაკინგი“) გახორციელდა მდინარეების (მტკვრი, არაგვი, აბაშა და ტეხურა) კვლევა და მის შედეგადაც შეიქმნა მარშრუტები, ტოპოგრაფიული რუკები და გზამკვლევები;
- ინკლუზიური ტურიზმის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, დაბა ასპინძაში ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (შშმპ) „კულტურულ-სპორტული“ ღონისძიება;



- ახალციხეში „რაბათის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა კულტურული ღონისძიება სახელწოდებით „კოსტუმირებული თეატრალური წარმოდგენა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა დამსვენებელთათვის ისტორიული ფაქტებისა და გმირების გაცოცხლება;
- შავი ზღვის ქვეყნების მაღალი რანგის წარმომადგენლებთან ერთად ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:
  - ✓ ქ. სტამბოლში გამართულ „შავი ზღვის ტურიზმის სამიტზე“;
  - ✓ ქ. მადრიდში გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გენერალურ მდივანთან გამართულ ოფიციალურ შეხვედრაში, სადაც განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის სამომავლო ღონისძიებები;
  - ✓ ქ. კიევში გამართულ შავი ზღვის მე-2 საერთაშორისო ტურიზმის ფორუმში, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა BSEC-ის (Organization of the Black Sea Economic Cooperation) ტურიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა და განხილულ იქნა BSEC-ის საჯარო კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება და BSEC-ის ტურიზმის თანამშრომლობის ინსტიტუციონალური სტრუქტურა;
  - ✓ ქ. იზმირში გამართულ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური კომისიის 55-ე შეხვედრასა და სემინარში თემაზე „Tourism at World Heritage Sites: Challenges and opportunities“;
- ევროკავშირის „Twinning“-პროექტის ფარგლებში შემუშავდა რეკომენდაციები „ტურიზმის შესახებ“ ახალი კანონის პროექტის მოსამზადებლად და გაკეთდა აღნიშნული რეკომენდაციების ანალიზი.

### 3.9. ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

#### საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მიმდინარეობდა მუშაობა ტექნიკური და სამშენებლო სფეროს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე:
  - ✓ გამარტივდა დასრულებული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები;
  - ✓ მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „მომსახურების სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე“;
  - ✓ მომზადდა პროექტი „მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- შემოწმებული იქნა შემდეგი მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები: 15 საბაგრო გზა, 6 ამწე მოწყობილობა, 220 ლიფტი, 8 მაღარო, 2 შახტა, 2 ფეთქებადი მასალის შესანახი საწყობი, 17 იარაღით ვაჭრობისა და შეკეთებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა;
- გაიცა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 13 ნებართვა;
- სამშენებლო კუთხით გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების 19 ნებართვა და ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 18 ობიექტი;
- 34 ობიექტის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილ იქნა დარღვევები და გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

## 4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

### 4.1. ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ - გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საჯარო სკოლები

#### 4.1.1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)

- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 085 საჯარო და 236 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიღარა 240,2 მლნ ლარი;
- დაიგეგმა სკოლის გამოსაშვები გამოცდები, ჩატარდა საცდელი გამოცდები და მათი ბაზების ფორმირება, შეირჩა მეთვალყურეები და სხვა პირები;
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი მოწმობა (ატესტატი) მიიღო 50 000-მდე მოსწავლემ.

#### 4.1.2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)

- „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კონკურსის წესით შერჩეული 70 მონაწილის 10 დღიანი ინტენსიური ტრენინგი, ასევე საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის სახელმძღვანელო კომპლექტის მე-10 დონეზე მუშაობა;
- „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ პროგრამაში ჩართულ ყველა სკოლას გადაეცა 12 სხვადასხვა დასახელების თვალსაჩინოება. ამასთან, გამოცხადდა კონკურსი „საზაფხულო სკოლის“ პროექტზე, სადაც მონაწილეობა მიიღო პროგრამაში ჩართულმა 50-მა მასწავლებელმა;
- პროგრამის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩართული იყო 154 ინგლისური ენის და 10 ჩინური ენის მოხალისე მასწავლებელი, რომლებიც გადანიჭილდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში. ასევე შეირჩა მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის 7 ინგლისური ენის ადგილობრივი მოხალისე მასწავლებელი, რომლებიც განაწილდნენ სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონის საჯარო სკოლებში;
- „ასწავლე საქართველოსთვის“ პროგრამის ფარგლებში 60 კონსულტანტ-მასწავლებელი გადანიჭილდა საქართველოს სხვადასხვა რაიონების საჯარო სკოლებში;
- „მასწავლებლობის მამიებლობის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარდა მამიებლების ტრენინგები თემაზე „სასწავლო პროცესის შეფასება“, „კვლევა, როგორც სასწავლო რესურსი“, „პრეზენტაციის უნარების განვითარება“, და „როგორ ჩავატაროთ სადემონსტრაციო გაკვეთილი“.
- მომზადდა პროგრამის მონაწილე მამიებლებისა და მენტორების საერთო ბაზა. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა მენტორებთან და გაფორმდა ხელშეკრულებები. წარმოდგენილ იქნა მენტორების მიერ მამიებლების საჭიროებათა ანალიზი და სამოქმედო გეგმა.
- „მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების (ტრენინგების)“ პროგრამის ფარგლებში სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელდა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ტრენინგები. სულ ტრენინგები გაიარა 19 300 მასწავლებელმა;
- ფრანგული ენის მასწავლებლებს ჩაუტარდათ მასტერკლასი. პედაგოგებს ფრანგულ ენაზე კომუნიკაციის თავისებურებები გააცნო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩმა.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და „ინგლისური სახლი საქართველოში“ ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის ჩაატარა ერთობლივი კონფერენცია „Pearson Conference in Georgia“.
- დიდი ბრიტანეთის სკოლის დირექტორთა ასოციაციის HMC პროექტების ჯგუფის მიერ 2012 წელს საქართველოში ჩატარებული პირველი შესარჩევი კონკურსის გამარჯვებული ათი მოსწავლე და ერთი პედაგოგი ერთწლიანი კურსის გასავლელად გაემგზავრნენ დიდ ბრიტანეთში.

- საჯარო და კერძო სკოლების საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის გაიმართა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილ იქნა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სხვადასხვა საშუალებები. პრეზენტაციას დაახლოებით 50 მონაწილე ესწრებოდა;
- „პარტნიორობა განათლებაში საქართველოს ფორუმი 2013“ კონკურსში გამარჯვებული პედაგოგები დააჯილდოვეს და გადასცეს სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები;
- ჩატარდა კონფერენცია ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის, სადაც განხილული იყო ინგლისური ენის სწავლება დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის.
- მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ისტ-ის საბაზო კურსის და ისტ-ის მეორე დონის ტრენინგები. სულ საანგარიშო პერიოდისათვის 1 174 მასწავლებელმა გაიარა საბაზო კურსი, ხოლო 1 769 მასწავლებელმა მეორე დონის ტრენინგ-კურსი.
- განახლდა და დაიბეჭდა 1 500 ცალი საბაზო კურსის სახელმძღვანელო „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაზო კურსი მასწავლებლებისთვის“ და 2 800 ცალი მე-2 დონის ტრენინგის სახელმძღვანელო „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიქმნა სერტიფიცირებულ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, რომელიც მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში ეხმარება. საანგარიშო პერიოდში სქემაში 2 437 მასწავლებელი ჩაერთო. ამასთან, სქემაში სულ ჩართულია 4 407 სერტიფიცირებული პედაგოგი. სქემაში ჩართული მასწავლებლებისათვის მოეწყო კონფერენციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 250 მასწავლებელმა;
- ინკლუზიური და სპეციალური განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ზოგადი განათლების პედაგოგების ტრენინგები საქართველოს სხვადასხვა რეგიონების (ქართლი, იმერეთი, აჭარა, სამცხე-ჯავახეთი) 50-მდე სკოლაში, ასევე სპეციალურ პედაგოგიკაში ჩატარდა 3 კურსი ფსიქოლოგებისთვის, ინკლუზიური განათლების პედაგოგებისათვის და ზოგადი განათლების პედაგოგებისთვის;
- გამოიცა ჟურნალი „მასწავლებლის“ 3 ნომერი ტირაჟით 3 300 ცალი;
- ყოველდღიურად ახლდებოდა საქართველოში პირველი პროფესიული „Mastsavlebeli.ge“ ინტერნეტ-გაზეთი მასწავლებლებისთვის, რომელსაც ჰყავს 42 ათასზე მეტი მკითხველი;

#### **4.1.3. უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)**

- მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში სულ დასაქმებულია 1 096 მანდატური, რომლებიც გადანაწილებული იყვნენ 408 სკოლაში და 3 პროფესიულ სასწავლებელში. ამ მიზნით სულ მიიმართა 4.4 მლნ ლარი;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 20-მა მანდატურმა გაიარა „სამართლებრივი კულტურის საფუძვლებში“ გადამზადების კურსები და ქ. თბილისის 10 საჯარო სკოლაში დაიწყო საპილოტე პროგრამის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც გადამზადებული მანდატურები სკოლებში ასწავლიან „სამართლებრივი კულტურის საფუძვლებს“. ამასთან, ყველა მანდატურმა გაიარა გადამზადების კურსები „ჯანდაცვისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში“;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურს მიმდინარე წელს დაევალა ფსიქო-სოციალური მომსახურება ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევის მქონე პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისათვის. სამსახურის მულტიდისციპლინარულ ჯგუფს დახმარებისათვის მიმართა 126 ადამიანი, რომელთაც გაეწიათ კონსულტაცია და საჭიროების შემთხვევაში ჩაუტარდათ ინდივიდუალური და ჯგუფური თერაპიული კურსი.

#### **4.1.4. განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება (32 02 04)**

- ეროვნულ დონეზე ჩატარდა ოლიმპიადები სხვადასხვა საგნებში (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის), თითოეულ საგანში გამოვლინდა I, II, III ადგილებზე გასული მოსწავლეები. შედგა სკოლების რეიტინგული სია, რომლის საფუძველზეც ასევე

გამოვლინდა I, II, III ადგილებზე გასული სკოლები. მომზადდა გამარჯვებული მოსწავლეების წარმატებაში მონაწილე პედაგოგების სია;

- ეროვნული საგნობრივ ოლიმპიადებში წარმატებული მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები გუნდები ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად. გუნდები გადიან სპეციალურ მომზადებას საერთაშორისო ოლიმპიადების სტანდარტების შესაბამისად;
- ჩატარდა ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი პროექტებისა და ბლოგების კონკურსები „რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ“. კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და 100 ლარიანი სასაჩუქრე ბარათებით წიგნების შესაძენად.
- საქართველოში NATO-ს საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა ევროპის კვირეულისადმი მიძღვნილი ნახატების, ფოტოებისა და ესეების სასკოლო კონკურსები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ დიპლომებით და 150-100-50 ლარიანი სასაჩუქრე ბარათებით წიგნების შესაძენად.

#### **4.1.5. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (32 02 05)**

- ახალციხის №7, თბილისის №200, №202, №203 და №198, ქუთაისის №45, ჭიათურის №12 და სამტრედიის №15 საჯარო სკოლების და ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის ბენეფიციარები სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილნი იყვნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მათ განვითარებაზე ზრუნვა;
- ინკლუზიური განათლების დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიქმნა სამუშაო ადგილები თითოეული პოზიციისთვის. შეირჩა ტრენერები, რომლებიც კონკურსის საფუძველზე აყვანილ კადრებს ჩაუტარებენ ტრენინგებს.
- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოხდა ყველა იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეფასება, რომლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი გამოთქვამდა სურვილს ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლასთან დაკავშირებით. სულ შეფასდა 509 ბავშვი. ასევე შეფასდა სპეციალიზირებულ სკოლა-პანსიონებში ჩასარიცხი 61 მოსწავლე და შესაბამისი რეკომენდაციები გაეწია პირველ კლასში შესვლის მსურველ 76 ბავშვს. სპეციალური საგამოცდო პირობების შექმნის მიზნით შეფასებულია 34 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აბიტურიენტი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ერთიან ეროვნულ გამოცდებში.

#### **4.1.6. მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)**

- „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა“ პროგრამის ფარგლებში დაიწყო საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის სასკოლო სახელმძღვანელოების და სამუშაო რვეულების მოწოდება. საანგარიშო პერიოდში სულ მოწოდებულია სრული ტირაჟის 64%. ასევე გაფორმდა ხელშეკრულება შპს „დემ-ვესტლანთან“, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო სახელმძღვანელოებისა და რვეულების საჯარო სკოლებამდე დისტრიბუციას. ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიიმართა 7,3 მლნ ლარი.

#### **4.1.7. ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება (32 02 07)**

- „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ და „საერთაშორისო სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში“ ღონისძიებების ფარგლებში შეირჩა 670 მონაწილე;
- პირველი ნაკადი, რომელშიც მონაწილეობს 150 მოსწავლე გაემგზავრა წყნეთში, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში.

#### **4.1.8. ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 08)**

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კონფლიქტის ზონებში მცხოვრები პედაგოგების და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების მიზნით მიიმართა 1,1 მლნ ლარი.

#### **4.1.9. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა (32 02 09)**

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა №11 არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში და სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პატიმრების დამამთავრებელი საატესტატო გამოცდებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. მონაწილეობას იღებდა სულ 9 მსჯავრდებული, აქედან 3 არასრულწლოვანი. აღნიშნული გამოცდები დასძლია ცხრავე მსჯავრდებულმა მოსწავლემ.

#### **4.1.10. მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარება (32 02 10)**

- თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლების მოზარდების დამეგობრების მიზნით კლუბების მუშაობაში ჩართული იყო 978 მონაწილე.

#### **4.1.11. ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (32 02 11)**

- დასრულდა ეროვნული სასწავლო გეგმის თანმხლები დოკუმენტების - მეთოდური საგნობრივი გზამკვლევების პირველადი მასალის თავმოყრა, მომზადდა და დეტალურად გაიწერა 2013 წლის II-IV კვარტლების სამოქმედო გეგმა.

#### **4.1.12. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (32 02 12)**

- „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო იმ 335 საჯარო სკოლის 13 818 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში (სოფელი, დაბა), სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია. ამ მიზნით სულ მიიმართა 1.9 მლნ ლარი;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების მომზადების მიზნით, გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს გადაეცათ სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული ტესტების კრებულები და დამხმარე სახელმძღვანელოები. საანგარიშო პერიოდში სულ ტრეინინგი გაიარა გალის რაიონის 46 პედაგოგმა, რომლებმაც თავის მხრივ მოამზადეს 250-მდე აბიტურიენტი ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

#### **4.2. უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04)**

##### **პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – გამოცდების ეროვნული ცენტრი;

- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

#### 4.2.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 01)

- საანგარიშო პერიოდში ექვსი ა(ა)იპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსების მიზნით მიიმართა 4,3 მლნ ლარი.

#### 4.2.2. გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 02)

- ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და მასწავლებლების სასერტიფიკაციო გამოცდების ფარგლებში დაიგეგმა გამოცდები, განხორციელდა აბიტურიენტთა, მაგისტრანტობის კანდიდატთა და მასწავლებლის ბაზების ფორმირება, მათი რეგისტრაცია, საგამოცდო ტესტების მომზადება და დაბეჭდვა, საგამოცდო ცენტრების მოძიება და გამოცდებისათვის მომზადება (ვიდეო-კამერების დამონტაჟება, საგამოცდო სექტორების მოწყობა შესაბამისი ინვენტარით), ადმინისტრატორების, კოორდინატორების, თანაშემწეების, მეთვალყურეების, კურატორების და საგამოცდო პროცესში მონაწილე სხვა პირების შერჩევა.

#### 4.2.3. მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03)

##### 4.2.3.1. სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03 01)

- საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 188 ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები;
- ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 141 მეცნიერი, ხოლო ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის მიზნით - 57 მეცნიერი და „სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირება უცხოეთში“ ღონისძიების ფარგლებში - 4 მეცნიერი;
- „სამეცნიერო-კვლევითი საზაფხულო სკოლების“ ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 7 პროექტი, ელექტრონული ჟურნალის კონკურსის ფარგლებში 2011 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ერთი პროექტი და „ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით“ ღონისძიების ფარგლებში - 10 პროექტი;
- ევროპული და რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ერთობლივ კონკურსებში დაფინანსდა შემდეგი პროექტები: National Research Council of Italy (CNR) – 5 პროექტი, International Research Group South Caucasus Geosciences (IRG) – 1 პროექტი, National Center for Scientific Research (CNSR) – 11 პროექტი, GRDF – 5 პროექტი, SCIENCE & TECHNOLOGY CENTER IN UKRAINE (STCU)-თან ერთად – 13 პროექტი, International Association for the promotion of cooperation with scientists from the independent states of the former Soviet Union (INTAS) – 2 პროექტი, ერთობლივი კონკურსი იულიხის კვლევით ცენტრთან - 4 პროექტი.

##### 4.2.3.2. სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 04 03 02)

- სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 15 სტატია უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში და 9 სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში. ცენტრის 5-მა მეცნიერ-ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო GRDF და CRDF Global-ის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „English for Specific Purposes (ESP) for Scientists“.
- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტურმა სამეცნიერო ასოციაციამ და ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრმა ჩაატარეს სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს ასევე, საზღვარგარეთის უნივერსიტეტების სტუდენტებმა.
- ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობდა დაცული ხელნაწერების, საარქივო მასალების, ისტორიული დოკუმენტების, საბიბლიოთეკო წიგნების დაცვის მიზნით მათი დიגיტალური ვერსიების დამზადება, ასევე, მათი დაცვის და შენახვის მიზნით საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება. აგრეთვე მიმდინარეობდა ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია, ახალი ფონდებით შევსება, სხვადასხვა ტიპის ელექტრონული კატალოგების მომზადება.
- გაიმართა პრეზენტაცია სახელწოდებით „ქართული ხელნაწერის (On-line ენციკლოპედია)“. ასევე მოეწყო ახალი წიგნებისა და ალბომების გამოფენა-პრეზენტაცია. გაიხსნა გამოფენა - „ჩემი დედაენა“, სადაც წარმოდგენილი იყო პირველნაბეჭდი აფხაზური „დედაენა“ და „დედაენა“ საქართველოს ოსმალთა მოზარდებისთვის. გამოფენის ფარგლებში წარმოდგენილი იყო სასწავლო-შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამა „ჩემი შექმნილი წიგნი“;
- მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო საექსკურსიო ტური „მოგზაურობა ხელნაწერთა სამყაროში“. პროგრამის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ჩართვა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებში;
- გაიმართა V რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „XIX-XX საუკუნეების საქართველო - წყაროები და კვლევები“ და II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“.
- სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა გარემოდან გამოიყვეს და დაახასიათეს ზოგიერთი ინფექციური დაავადებების გამომწვევი ბაქტერიების საწინააღმდეგოდ ბაქტერიოფაგები.

#### 4.2.3.3 მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (32 04 03 03)

- საანგარიშო პერიოდში გამოსაცემად მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის, მაცნეს სერიების (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების) 2013 წლის პირველი ნომრები, ასევე ენციკლოპედია „საქართველო“-ს II ტომი და „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღწერილობის“ III ტომი.
- გამოსაცემად მომზადდა ენციკლოპედია „საქართველო“-ს III ტომი.
- მომზადდა „ქართული ენის თესაურუსი“ ლექსიკონის ელექტრონული ვერსია, ლემატიზაციის სპეციალური პროგრამა და კომპიუტერული საძიებო სისტემა, ქრონობიბლიოგრაფია, მომზადდა ბაზა ისტორიულ – ეტიმოლოგიური და სხვა ლექსიკონებისათვის. გამოსაცემად მომზადდა ენციკლოპედია „საქართველო“ III ტომი.

#### 4.2.3.4. სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03 04)

- საანგარიშო პერიოდში დამოუკიდებელ რეცეზენტ - ექსპერტების, პრაქტიკოსების და მეცნიერების მიერ განხორციელდა აგროსასურსათო სექტორში წარმოებული კვლევის შედეგების შეფასება.

#### 4.2.4. სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 04)

- საანგარიშო პერიოდისათვის „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში პრეზიდენტის სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 405 სტუდენტს;
- „ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სკოლისშემდგომი განათლება“ პროგრამის ფარგლებში 2012-2013 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სწავლა დაუფინანსდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ 1 სტუდენტს;
- პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასური დაუფინანსდა 71 ბენეფიციარს.

#### **4.3. საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05)**

##### **პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

##### **4.3.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 05 01)**

- საანგარიშო პერიოდში შპს „ალგორითმთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 35 000 ცალი საბავშვო-სასწავლო პორტატული კომპიუტერის შეძენაზე. ასევე გაფორმდა ხელშეკრულება შპს „იუ ჯი თი“-სთან 1100 ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (ლეპტოპი) შესყიდვაზე (საბაზო საფეხურის კურსდამთავრებული წარჩინებული მოსწავლეთათვის გადასაცემად).

##### **4.3.2. საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 32 05 02)**

- დასრულდა 13 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია, 17 საჯარო სკოლის გაზიფიცირების სამუშაოები, ერთი საჯარო სკოლის ეზოს ტერიტორიის განათების, საკანალიზაციო სისტემის და საცხოვრებელი კორპუსის სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია, 2 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შენობის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, 2 საჯარო სკოლის ტოპოგეოდეზიური და გეოლოგიური კვლევა, ერთი საჯარო სკოლის საქვების მშენებლობა და ერთი მშენებარე საჯარო სკოლის წყალმომარაგების სამუშაოები, ასევე დასრულდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და რესურსცენტრებიდან შემოსული კორესპონდენციის საფუძველზე მიმდინარე წლის მომხდარი სტიქიისგან დაზიანებული 24 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა MCC პროექტის ფარგლებში 42 საჯარო სკოლის შესწავლა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, როგორც ტექნიკური ასევე ვიზუალური მასალების სახით;

#### **4.4. პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)**

##### **პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- ✓ სსიპ პროფესიული კოლეჯები;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;

##### **4.4.1. პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 32 03 01)**



- საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები უზრუნველყოფილი იყვნენ, როგორც ვაუჩერული ასევე დამატებითი დაფინანსებით. ამ მიზნით სულ მიიმართა 2.0 მლნ ლარი;

#### 4.4.2. ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 02)

- მომზადდა ორი ახალი სასწავლო პროგრამა: „საჯარო მოხელეთა ენობრივი კვალიფიკაციის ამაღლება“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის უმცროსი თანამდებობის საჯარო მოხელეთა საბაზო კვალიფიკაციის ამაღლება“. ასევე გადამუშავდა „ქართული ენის საფუძვლების“ პროგრამა.

#### 4.4.3. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (პროგრამული კოდი 32 03 03)

- დასრულდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურებისა და სტრუქტურების ინტერნეტიზაციის და ერთიან შიდა ქსელში ჩართვის პროცესი, სისტემაში გაერთიანდა ყველა სტრუქტურა, მათ შორის საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლების 98.8% (2 062 სკოლა);
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა გამოცდის ელექტრონული ფორმების ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა.
- სკოლების ერთიანი საინფორმაციო სისტემის ფარგლებში მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზის შევსება/განახლება, სკოლის სამეურვეო საბჭოების არჩევნების მონაცემების დამუშავება. ასევე მიმდინარეობდა მუშაობა ე.წ. „ელექტრონულ ჟურნალზე“, რომელიც მისცემს საშუალებას სკოლას ელექტრონულად აღრიცხოს სწავლის პროცესის დეტალები, ხოლო მშობელს თვალყური ადევნოს თავისი შვილის აკადემიურ მოსწრებას;
- განხორციელდა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაცია. მშობლებს სკოლის შერჩევის მიზნით ვებგვერდის მეშვეობით მიეწოდა საგანმანათლებლო დაწესებულებების განახლებული კატალოგი - (catalog.edu.ge - სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობა, სკოლის ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია და ა.შ.);
- ერთიანი საინფორმაციო სისტემის ფარგლებში მიმდინარეობდა პროფესიული კოლეჯების (სახელმწიფო და კერძო სექტორი) ერთიანი საინფორმაციო ბაზის ფორმირება.

#### 4.5. სამხედრო განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 29 02)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კადეტთა სამხედრო ლიცეუმი
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის კადემია;

- კადეტთა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სასწავლო ტურებში, ოლიმპიადებში;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კადეტთა დამამთავრებელი ჯგუფისათვის შეძენილი იქნა აბიტურიენტთათვის საჭირო ლიტერატურა და მიმდინარეობდა მათი მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის;
- ჩატარდა კადეტთა გამოსაშვები საატესტატო გამოცდები და მოსამზადებელი სამუშაოები კადეტთა ახალი ნაკადის მისაღებად;
- კადეტთა ორკვირიანი სავალე შეკრებისათვის შეძენილ იქნა საჭირო ინვენტარი და მასალები;
- შეძენილ იქნა სასადილოსათვის საჭირო ინვენტარი, კადეტებისათვის ნორმით გათვალისწინებული პირადი ჰიგიენის პროდუქტები და სპორტული ინვენტარი;
- უცხოურ სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთობების დამყარებისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ეროვნული თავდაცვის აკადემიაში განხორციელდა შემდეგი სახის ღონისძიებები:
  - ✓ აკადემიაში სტაჟირება გაიარეს სან-სირის (საფრანგეთი) სამხედრო აკადემიის კადეტებმა;

- ✓ შემდგომი თანამშრომლობის განვითარების მიზნით განხორციელდა შეხვედრა საქართველოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების რექტორებთან (კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თავისუფალი უნივერსიტეტი);
- ✓ დაჭრილი მეომრების ინგლისური ენის და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის ამაღლების მიზნით, შედგა ამერიკულ მხარესთან თანამშრომლობა, რის შემდგომ აღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები დასაქმდებიან J-CATS სიმულაციების ცენტრში;
- ✓ განხორციელდა PFP-C პარტნიორობა მშვიდობისათვის კონსორციუმის, სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური სტაბილურობის სამუშაო ჯგუფის (RSSCSG) შეხვედრები;
- ✓ აკადემიაში დაინერგა პერსონალის მართვის ელექტრონული ბაზა;

#### 4.6. სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებები

- სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობით უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლებში გაიმართა სხვადასხვა ტიპისა და მიმართულების 197 კონცერტი, 59 მასტერკლასი, 28 გამოფენა, 6 ფილმის და 8 სპექტაკლის ჩვენება, 4 საღამო, 5 სამეცნიერო კონფერენცია, მოეწყო 3 ფესტივალი, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ და საერთაშორისო 7 კონკურს-ფესტივალში. გრან-პრი მოიპოვა ოთხმა, I პრემია – 16-მა, II პრემია - 15-მა, III პრემია - 11-მა. დაფინანსდა რეგიონებიდან შერჩეული 10 ნიჭიერი მოსწავლის სწავლის ხარჯი და საქართველოს 4 სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ა(ა)იპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, ა(ა)იპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა(ა)იპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი) 43 მაგისტრანტის სწავლის ხარჯი.

#### 4.7. განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატისა და განათლების რესურს-ცენტრების მიერ აღნიშნულ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა;
- მიმდინარეობდა მუშაობა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფის უზრუნველყოფის კუთხით, აგრეთვე მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების კუთხით;
- კონსულტაცია გაეწია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ 14 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით;
- განხორციელდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტები საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

- მიმდინარეობდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების წარმოდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარმოდგენილი იქნა 2 400-მდე საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში და 40 საგანმანათლებლო დაწესებულების 1 300-მდე პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- მობილობის პროცესის ადმინისტრირების მიზნით მოხდა მობილობის პორტალის პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკური მხარდაჭერა. 2012-2013 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მობილობის პორტალის მომსახურებით ისარგებლა 1 596 -მა სტუდენტმა. აქედან, მობილობის უფლება მოიპოვა 1 293-მა სტუდენტმა;
- მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტების გადარიცხვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა თითოეული დაწესებულების მიხედვით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრა, შესაბამისი სტატუსების დადგენა, ასევე სოციალური გრანტების ფარგლებში დასაფინანსებელი სტუდენტების სიების შედარება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებთან;
- პროფესიული სტანდარტების განვითარების მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინაციით ევროკავშირის პროექტების ფარგლებში, მოეწყო სამუშაო შეხვედრები DACUM-ის მეთოდოლოგიით პროფესიული სტანდარტების გადასამუშავებლად. სამუშაო ჯგუფების მიერ მოხდა პროფესიულ სტანდარტებში პირველი-მესამე საფეხურების შერწყმა, მომზადდა პროექტები, რომელიც განთავსდა ცენტრის ვებ-გვერდზე;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მიზნით შემოვიდა 4 000 განცხადება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მიზნით 8 განცხადება, ლიკვიდირებულ და საგანმანათლებლო საქმიანობაშეწყვეტილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით 49 განცხადება, ლიცენზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლების აღიარების მიზნით 30 განცხადება, დევნილების მიერ მიღებული განათლების აღიარების მიზნით 12 განცხადება. ცენტრში შემოსული განცხადებების საფუძველზე ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოებები და მომზადდა განათლების აღიარების დოკუმენტები.

**4.9. სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 03)**

**პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომელთა მომზადების, გადამზადებისა და დაწინაურების კურსები, კერძოდ: უზნის ინსპექტორთა, მესაზღვრეთა და პატრულ ინსპექტორთა საბაზისო მომზადების კურსი გაიარა 243 პიროვნებამ, წვევამდელთა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების კურსი გაიარა 189 პირმა, იარაღის გამოყენებისა და შენახვის წესების მოკლევადიანი სპეციალური კურსი გაიარა 307 თანამშრომელმა, არასრულწლოვანთა პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალური სასწავლო კურსი გაიარა 43 თანამშრომელმა, იარაღის გამოყენებასა და შენახვის წესებში გადამზადდა 590 პატრულ-ინსპექტორი, სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 64 თანამშრომელმა.
- მომზადდა საარქივო დოკუმენტების ანოტაციები, მოხდა საარქივო ფონდების დეტალური აღწერილობის მონაცემთა ბაზაში შეტანა, ხოლო დაზიანებულ საარქივო მასალებს ჩაუტარდა რესტავრაცია.

**4.10. მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)**

#### **პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეებისათვის ჩატარდა 23 სემინარი/ტრენინგი, ხოლო სასამართლოს აპარატის მოხელეთათვის - 5 სემინარი/ტრენინგი, რომლებიც შეეხებოდა: საერთაშორისო სავაჭრო სამართალს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, სახელმწიფო პასუხისმგებლობასა და ზიანის ანაზღაურებას ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით, სამოსამართლო ქცევა და ეთიკას, კომერციული არბიტრაჟის საკითხებს, შრომის სამართალს, ადმინისტრაციული სამართლის პრობლემატურ საკითხებს, ინტელექტუალურ საკუთრებასა და საავტორო უფლებათა სამართალს, სასამართლოს გადაწყვეტილებათა დასაბუთების საკითხებს, გაკოტრების სამართალსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

#### **4.11. პენიტენციური სისტემისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება (პროგრამული კოდი 27 03)**

#### **პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

- განახლდა არსებული და მომზადდა ახალი სასწავლო პროგრამები პრობაციის სააგენტოს თანამშრომელთათვის, რომელიც მომზადდა „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის სასწავლო პროგრამებისა და მოდულების განახლების“ პროექტის ფარგლებში;
- სასწავლო ცენტრის მიერ სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ურთიერთშეთანხმებით მომზადდა საბადრაგო სამსახურის თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ტრენინგები შესაბამისი სამსახურის თანამშრომელთათვის;
- „ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისია საქართველოში“ მხარდაჭერით განხორციელდა ტრენინგები თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ახლადშერჩეული თანამშრომლებისათვის;
- ევროკავშირის პროექტის Human Dynamics-ის მხარდაჭერით მომზადდა სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის სოციალური მუშაკების გადამზადებისათვის. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სამ ჯგუფად გადამზადდნენ როგორც მოქმედი, ისე კანდიდატი სოციალური მუშაკები;
- სასწავლო ცენტრში სხვადასხვა პროგრამით ტრენინგები გაიარა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 711-მა თანამშრომელმა.

#### **4.12. იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)**

#### **პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

- სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ტრენინგი გაიარა 1700-მდე პირმა. ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს პროკურატურისა და სსიპ - იუსტიციის სახლის თანამშრომლები. ჩატარდა შემდეგი თემატიკის ტრენინგები: სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებები, ნარკომანიასთან ბრძოლა, ოჯახური ძალადობა, ელექტრონული საქმისწარმოება, ელემენტარული კომპიუტერული უნარ-ჩვევები, სასამართლო უნარ-ჩვევები, მოწმის გამოკითხვა სასამართლოში, ეფექტიანი კომუნიკაცია და მომსახურება, სტრესის მართვა, ინფორმაციული უსაფრთხოება, მართლწერა და

მედიასპიკერების ტრენინგი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ინფორმაციული უსაფრთხოება და ა.შ;

- სამინისტროს სისტემის თანამშრომლებმა გაიარეს ინგლისური, ფრანგული და რუსული ენების კურსები;
- პროკურატურის სტაჟიორთა გადამზადების კურსი გაიარა 52-მა კანდიდატმა. ასევე, ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ტესტირებები სისტემის ვაკანტურ პოზიციებზე.

#### 4.13. საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

- პროფესიული განვითარებისა და გამოცდილების გაღრმავების მიზნით სასწავლო კურსები გაიარეს ფინანსთა სამინისტროს სისტემის 120-ზე მეტმა თანამშრომელმა;
- ქვეყანაში საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულებით რეფორმების (სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა) განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აკადემიაში განხორციელდა საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების 395-ზე მეტი თანამშრომლის გადამზადება;
- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო დაწესებულებების, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებისათვის განხორციელდა ტრენინგ-პროგრამები: „სახელმწიფო სამართალი“, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“, „საჯარო ფინანსების მართვა“, „პროექტების მართვა“, „ადამიანური რესურსების მართვა“, საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერია“. აღნიშნული პროექტების ფარგლებში გადამზადდა 277 მსმენელი.
- აკადემიის, გერმანიის საერთაშორისო ორგანიზაციასა (GIZ) და ჰარმონიზაციის ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შიდა აუდიტორების გადამზადების მიზნით „შიდა აუდიტის გაძლიერებული კურსი“ და სასწავლო პროგრამა თემაზე „კორუფციისა და თაღლითობის პრევენცია“ გაიარა 65-მა მსმენელმა. ასევე, აკადემიისა და „სახელმწიფო ფინანსების მართვის მონიტორინგის მხარდაჭერის პროექტის“ ხელშეწყობით განხორციელდა ტრენინგი თემაზე „შიდა კონტროლის საფუძვლები“ რომელშიც მონაწილეობა მიიღო აღმასრულებელი ხელისუფლების 20-მა წარმომადგენელმა, ამავე ორგანიზაციასთან ერთობლივად საქართველოს პარლამენტისა და ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის „ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის“ 20 თანამშრომლისათვის საპარლამენტო პროცესებში მაკროეკონომიკური მოდელირებისა და როლის გაცნობის მიზნით განხორციელდა ტრენინგის თემაზე: „მაკროეკონომიკური მოდელირებისა და საბიუჯეტო ოფისის როლი საპარლამენტო პროცესებში“;
- დაინტერესებული ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა სასწავლო კურსები: „საგადასახადო ადმინისტრირება“, „გრანტის წერის საფუძვლები“, „საგადასახადო კანონმდებლობა და ადმინისტრირება“ და „საგადასახადო აუდიტი და აუდიტის განხორციელების პროცედურები“, კერძო სექტორიდან აკადემიაში მომზადება 99-მა პირმა გაიარა;
- აკადემიამ უმასპინძლა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტიტუტის კურსს თემაზე „მაკროეკონომიკური მართვა და ფისკალური პოლიტიკის საკითხები“, საერთაშორისო სემინარში ქართველ კოლეგებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლებმა.

#### 4.15. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრი

- განხორციელდა 12 საჯარო ლექცია, 7 მოკლე სასწავლო კურსი, 2 უცხო ენის სასწავლო კურსი, საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამა და საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის სასერტიფიკატო გამოცდები, 4 ქვეყანასთან (ბრაზილია, არგენტინა, ჩილე, ურუგვაი) გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი.

## 5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

### 5.1. შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შემოსავლების სამსახური

- ახალი ელექტრონული აღრიცხვის სისტემაში ჩაერთო ადგილობრივი და იმპორტული თამბაქო, ასევე განხორციელდა ალკოჰოლისათვის განკუთვნილი იმ აქციზური მარკების გაცემა, რომლის მარაგიც იწურება შემოსავლების სამსახურის საცავში;
- დაიხვეწა ელექტრონული საგადასახადო ა/ფაქტურების სისტემა, გამარტივდა ინტერფეისი, დაემატა სხვადასხვა სახის გადამხდელისათვის სამუშაო პროცესში მოსახერხებელი სერვისები;
- დამუშავდა საფოსტო გზავნილების პროგრამა, საფოსტო გზავნილების ელექტრონული მართვის სისტემას დაემატა საბუთების ელექტრონულად წარმოდგენის ფუნქციები, შეიცვალა გზავნილების კონტროლზე აყვანის და ამოხსნის პრინციპი;
- საბაჟო გამშვებ პუნქტებზე დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში შევიდა ორ-ორი ერთეული ა/მანქანების სტაციონარული სკანერი და მობილური სკანერი, ერთი სარკინიგზო სტაციონარული სკანერი, თბილისში დაიხვეწა მსუბუქი ავტომობილების გაფორმების ეკონომიკური ზონა (გეზ);
- განხორციელდა თელავისა და მარნეულის სერვის-ცენტრების სარემონტო სამუშაოები;
- დადგინდა საავტომობილო მიმოსვლისათვის გახსნილი საბაჟო გამშვები პუნქტების „წითელი ხიდისა“ და „სადახლოს“ გავლით გადაადგილებული ავტომობილის საწვავის ავზით ნავთობის, მსუბუქი და მძიმე დისტილატების (ბენზინისა და გაზოილის) საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის პირობები;
- სრულყოფილად ამოქმედდა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის პროცედურები;
- მიმდინარეობდა მუშაობა სურსათის/ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების ახალ პაკეტზე;
- კონტროლის პროცედურების ევრორეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შემოსავლების სამსახურმა შეიმუშავა და დანერგა ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შემოტანისას წინასწარი შეტყობინების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს იმპორტის შესახებ მონაცემების წინასწარ წარდგენას და აადვილებს რისკების შეფასებას.
- სრულყოფილად ამოქმედდა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურები;
- არასამკურნალო დანიშნულების პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის საკითხის დარეგულირების მიზნით, შეიმუშავდა და ამოქმედდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები

### 5.2. სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აპარატი,
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

- მიმდინარეობდა მუშაობა 2014-2017 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე;
- მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს 2012 წლის წლიური და საქართველოს 2013 წლის პირველი კვარტლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- მუშაობა მიმდინარეობდა პროგრამული ბიუჯეტის დახვეწასა და ბიუჯეტის მართვის ელექტრონული პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებით;
- სახელმწიფო ვალის პორტფელმა შეინარჩუნა ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ვალის მდგრადობას. აღნიშნულს განაპირობებს სახელმწიფო ვალის კონსერვატიული და პრაგმატული მართვა, რაც გულისხმობს სახელმწიფო ვალის მოცულობის და ფინანსური პარამეტრების კონტროლს ფისკალური და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისად;
- საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard & Poor’s“, „Fitch“ და „Moody’s“. ამჟამად საქართველოს სამივე სარეიტინგო კომპანიასთან „BB-სტაბილური“ რეიტინგი აქვს („Ba3 სტაბილური“ სარეიტინგო კომპანია „Moody’s“-ის მეთოდოლოგიით);
- ჩატარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების თხუთმეტი აუქციონი, რომლებზეც რეალიზებულ იქნა 185.0 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია;
- დამტკიცდა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების შედგენის წესი;
- განხორციელდა შრომის ანაზღაურების მოდულის ბაზაზე შექმნილი სისტემის - ხაზინის მთავარი წიგნის დახვეწა წინა წლის დავალიანებების დაფარვის, გაურკვეველი ზედმეტობის ჯამურად გამოყენების, ნაღდი ანგარიშსწორებით ხელფასების გაცემის აღრიცხვის მიზნით;
- განხორციელდა ხაზინის ელექტრონული სისტემის სრულყოფა და ფუნქციონალის გაფართოება;
- ბიუჯეტიდან გადახდილი თანხების მობრუნების პროცესის ავტომატიზაციის და თანხების სრულყოფილად ასახვის მიზნით დაემატა ახალი ფუნქციონალი;
- ანგარიშსწორების პროცედურების დახვეწის მიზნით ინტერფეისში და რეპორტებში განხორციელდა ბანკის კოდების ცვლილება;
- უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განხორციელებული პროექტების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით სახაზინო სამსახურში მიმდინარეობდა დონორების სინქრონიზაციასთან დაკავშირებული რეფორმა;
- ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით განხორციელდა რეფორმა უცხოური ვალუტით ოპერაციების წარმოებაში, ხაზინის საინფორმაციო სისტემაში შეიცვალა ვალუტის კურსის განახლების პროცედურა, საკონვერტაციო მოთხოვნის გადათვლის მექანიზმი და ანგარიშსწორების პროცესი;
- შემუშავებულ იქნა ინიციატივები „საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ასევე განხორციელდა კონსულტაციები ფინანსთა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებთან რესტრუქტურირების შესახებ ახალი კანონის შექმნასთან დაკავშირებით;
- მომზადდა საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დამატებითი საგადასახადო შეღავათების დაწესებას, თამბაქოს მოხმარების შემცირებას, აგრეთვე, ქველმოქმედების ხელშეწყობას;
- გამჭვირვალობისა და საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის ფარგლებში შესწავლილ იქნა საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის შესაფასებლად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, მომზადებულ იქნა შესაბამისი კანონმდებლობის ვრცელი მიმოხილვა და შევსებულ იქნა პირველი ფაზის კითხვარი;
- განისაზღვრა ოფშორული ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მიმართაც საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილია დაბეგვრის განსახვავებული რეჟიმი;
- ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება სერბეთთან და სან-მარინოსთან, ასევე ძალაში შევიდა შეთანხმების ოქმი ავსტრიასთან,

შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება სლოვენიასთან და ხორვატიასთან რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ;

### 5.3. ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

#### • მიმდინარეობდა სამუშაოები:

- ✓ ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნის ხელშეწყობისთვის;
  - ✓ საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის მიზნით, სატრანსპორტო პოლიტიკის დახვეწის, საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობის, სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის;
  - ✓ ქვეყანაში საინფორმაციო კომუნიკაციების და საფოსტო კავშირის სფეროს განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში და განხორციელებაში;
  - ✓ სამშენებლო სფეროს ლიბერალიზაციისა და მისი განვითარების საკითხებზე;
  - ✓ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის განვითარების, დივერსიფიცირების, არსებული სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების, ახალ სავაჭრო პარტნიორებთან ურთიერთობების დამყარების და ექსპორტის ხელშეწყობის საკითხებზე;
  - ✓ ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის ევროპულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან დაახლოების და ეროვნული ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაციის საკითხებზე;
  - ✓ სახელმწიფო ქონების მოვლა-შენახვის, მისი ეტაპობრივი პრივატიზების მიზნით და ასევე, თვითმმართველი ერთეულებისთვის ქონების გადაცემის საკითხებზე;
- მოეწყო შეხვედრები ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით;
  - დასრულდა საქართველოს და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ოფიციალური რაუნდები;

#### 5.3.1. ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)

საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური პოლიტიკის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და მდგრადი განვითარების კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- მომზადდა 2012 წლის, 2013 წლის I კვარტლის და აპრილ-მაისის მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, სექტორული მიმოხილვები და კომპეტენციის ფარგლებში ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ნაწილი;
- ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით მომზადდა და მთავრობის დადგენილებით მიღებულ იქნა 3 ტექნიკური რეგლამენტი, ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა 13 ახალი მიდგომის (ევროკავშირის) დირექტივის რეგულირების გავლენის შეფასება (RIA – Regulatory Impact Assessment), რომლის შედეგები განხილულ იქნა არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან;
- მონაწილეობა იქნა მიღებული: აღმოსავლეთ პარტნიორობის II პლატფორმის SME Panel-ის ფარგლებში მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის შეფასების ინდიკატორების შემუშავებაში; აღმოსავლეთ პარტნიორობის II პლატფორმის შეხვედრის ფარგლებში 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმისა და II პლატფორმის ქვეშ არსებული SME Panel-ის 2014-2015 წლების სამუშაო გეგმის შემუშავებაში;



- მომზადდა 2012 წლის წლიური და 2013 წლის პირველი კვარტლის საგარეო სავაჭრო ბრუნვის ვრცელი ანალიზი სტრუქტურულ ჭრილში;
- 2014 წლიდან პრევენციით განზოგადებული სისტემის GSP+-ის განახლებულ სქემაზე გადასვლასთან დაკავშირებით მომზადდა და ევროკომისიას წარედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია;
- გაიმართა: საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მე-5 და მე-6 რაუნდები და დასრულდა მოლაპარაკებების ოფიციალური რაუნდები; საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მე-3, საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-3 და საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური მთავრობათაშორისი კომისიის მე-6 სხდომები;
- ხელი მოეწერა შეთანხმებებს: სან-მარინოს რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და უნგრეთის ეროვნული ეკონომიკის სამინისტროს შორის, საქართველოს მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის და საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; საქართველოს მთავრობასა და ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკისა და მრეწველობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ; საქართველოს მთავრობასა და უნგრეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის „მწვანე ეკონომიკის სექტორში ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე“ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად გაიმართა მოლაპარაკებები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან საქართველოში ორგანული აბრეშუმის წარმოების დაწყების საკითხთან დაკავშირებით;
- გაიმართა შეხვედრები სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე ბაზალტისა და პერლიტის წარმოებაში ჩართულ კერძო კომპანიებთან, საქართველოში ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების წარმოების განვითარების მიმართულებით მიმდინარე პროექტებთან დაკავშირებით;
- მომზადდა მთავრობათაშორისი შეთანხმების პროექტი ფოთი/ბათუმის ნავსადგურსა და დერინჯე/სამსუნის ნავსადგურებს შორის პირდაპირი სარკინიგზე-საბორნე მიმოსვლის დაწყებასთან დაკავშირებით;
- დასრულდა მოლაპარაკებები ევროკომისიასთან საზღვაო ტრანსპორტის სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივების საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაციის საკითხებზე და შეთანხმდა 23 ტექნიკური რეგლამენტის იმპლემენტაციის ვადა;
- საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის განვითარების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა ორმხრივი მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების გაფორმების საკითხზე შემდეგ ქვეყნებთან: იტალია, ავსტრალია და კორეის რესპუბლიკა;
- საქართველოს ევროპის სააერონავთო უსაფრთხოების ორგანიზაციაში (EUROCONTROL) გაწევრიანებისა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და შემუშავდა საქართველოს საჰაერო კოდექსში შესატანი ცვლილებები;
- საქართველოსა და ერაყის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის გაიმართა შეხვედრა პირდაპირი რეგულარული საჰაერო მიმოსვლასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების დარეგულირების მიზნით;
- განხორციელდა „უნგრეთის მთავრობას და საქართველოს მთავრობას შორის სახმელეთო გზებით მგზავრებისა და ტვირთის საერთაშორისო ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების“ პროექტის ტექსტის პარაფირება;
- დამტკიცდა საქართველოში „საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ“ ევროპის შეთანხმების (AETR) იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა;

- ქ. სტამბოლში, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით გამართულ ტრანსპორტის მინისტერიალზე ხელი მოეწერა საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივ ოქმს, რომელშიც განისაზღვრა პროექტის განვითარების ცალკეული საკითხები;
- ქ. თბილისში გაიმართა საქართველო-თურქეთის ერთობლივი კომისიის პირველი სხდომა „ბაქო-თბილისი-ყარსის“ ახალი სარკინიგზო ხაზის „ახალქალაქი-ყარსის“ მონაკვეთზე დაგეგმილი სარკინიგზო გვირაბის მშენებლობასთან დაკავშირებით, ხოლო ქ. ყარსში ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი დამაკავშირებელი ხაზის საქართველო-აზერბაიჯანის საკოორდინაციო საბჭოს მე-17 სხდომა;
- საქართველოს ავიაბაზარზე შემოვიდა 2 ახალი ავიაკომპანია: ISRAIR-ისრაელის ავიახაზები და Air Onix - უკრაინული ავიაკომპანია;
- დასრულდა ევროკონტროლის კონვენციასთან რატიფიცირების პროცედურები;
- შემუშავდა: „საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი და მიმდინარეობდა შემდგომი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელება; საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „საფრენ-დასაფრენი ზოლის გამოყენების, აეროპორტებში აფრენა-დაფრენის და მარშრუტზე საერნაოსნო და ინფორმაციული მომსახურების გადასახდელისაგან გათავისუფლებული ფრენების საფასურის ანაზღაურების წესის შესახებ“;
- ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო ქ. ლაიფციგში, საერთაშორისო ტრანსპორტის ფორუმის – ITF ყოველწლიურ სამიტში, სადაც გაიმართა შეხვედრები ინდოეთისა და კორეის წარმომადგენლებთან ქვეყნებს შორის საჰაერო მიმოსვლის საკითხთან დაკავშირებით;
- ჩატარდა ”სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის” პროექტის საჯარო განხილვა;
- ქართულ ენაზე ითარგმნა ევროკოდი „სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება“, ევროკოდ „კონსტრუქციებზე ზემოქმედებები“ მომზადდა ტერმინთა განმარტება;
- მიმდინარეობდა ურბანული ინდიკატორების მონაცემთა დამუშავება;
- სარეკრეაციო ტერიტორიებზე და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონებში მშენებლობის ნებართვის გაცემის განმხილველ კომისიაზე შეთანხმებული იქნა 46 არქიტექტურული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ინვესტიციის განხორციელებას.
- საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მიმდინარეობდა ინფოკომუნიკაციებისა და საფოსტო კავშირის სფეროში შესაბამისი ხელშეკრულებების ან/და ურთიერთგაგების მემორანდუმების გაფორმების პროცედურები (კორეა, პოლონეთი, ლიტვა, მოლდოვა, ინდოეთი, ავსტრია);
- მიმდინარეობდა მუშაობა: ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის და მისი შემდგომი განვითარების სტრატეგიის პროექტის შემუშავებაზე; მაუწყებლობის სფეროს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფისათვის; „საფოსტო კავშირის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე;
- მომზადდა და მიღებულ იქნა საქართველოს საფოსტო საგადახდო ნიშნების 2013 წლის გამოცემის თემატური გეგმა, მიმოქცევაში იქნა გაშვებული 4 დასახელების 18 საფოსტო მარკა;
- კომპეტენციის ფარგლებში გაიგზავნა ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ;
- გაიმართა შეხვედრა Post Europe-ის ექსპერტებთან და შემუშავდა წინადადებები შპს „საქართველოს ფოსტის“ მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე;
- გაიმართა IT ინოვაციების კვირეული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბელორუსიის მაღალი ტექნოლოგიების პარკის (Belarus Hi-Tech Park), Google-ის, LinkedIn-ის და სხვა საერთაშორისო წამყვანი IT კომპანიების წარმომადგენლებმა და მის ფარგლებში მოეწყო Ecahack ჰაკათონი პროგრამირებაში.
- მიმდინარეობდა შემდეგი თემატიკის კვლევები და კონცეპტუალური დამუშავება: ბიზნეს-ინკუბატორების კონცეფციის შემდგომი განვითარება; თავისუფალი ტურისტული ზონების კანონმდებლობის დახვეწა; იმპორტის კვლევა, ტენდენციები და პროგნოზები; ფოთის პოტენციური მსხვილი საინვესტიციო პროექტების განსათავსებლად; საქართველოში ნავთობისა და გაზის პოტენციალის შესწავლა; საქართველოში პლასტმასის გადამამუშავების ბაზრის მიმოხილვის მომზადება; უძრავი ქონების სააგენტოებისა და ბაზრის მიმოხილვა; საქართველოს კინოინდუსტრიის პოპულარიზაციისა და აღნიშნულ სექტორში პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების წასახალისებლად საგადასახადო შეღავათებისა და სხვა შესაბამისი წახალისებების შემუშავება; ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას aftercare-ის ფარგლებში ნახშირისა და ცემენტის კლინკერების მიწოდების, ვაჭრობისა და ფასების ანალიზი; ლოჯისტიკური მომსახურება საქართველოში და ინვესტირების პოტენციალი;

- მომზადდა მიმოხილვები და პრეზენტაციები შემდეგ თემებზე: საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი; ტურიზმი საქართველოში; საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა; ექსპორტი 2012 წელს; კერძო საინვესტიციო შესაძლებლობები; საქართველოში ნავთობისა და გაზის პოტენციალი და სხვა;
- მიმდინარეობდა შეხვედრები/მოლაპარაკებები უცხოელ ინვესტორებთან საქართველოში, სხვადასხვა სფეროში/სექტორში ინვესტირებასთან დაკავშირებით, მათ შორის: ვარდის ზეთის წარმოება, ალუმინის წარმოება, საფეიქრო ინდუსტრია, ანაკლიისა და ქობულეთის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტები, პლასტმასის გადამამუშავება, წიაღისეულის მოპოვება, მეფრინველეობის და მესაქონლეობის ფერმები;
- ჩატარდა სამუშაოები ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებასთან დაკავშირებით.

### 5.3.2. სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გადაეცა 153-მდე ერთეული უძრავ-მოძრავი ქონება და კომპანიების წილები;
- განხორციელდა 1 169 სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაცია;
- თანხმობა მიეცა 107 სახელმწიფო ორგანოსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (მ.შ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საჯარო სკოლებს) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების სარგებლობასთან დაკავშირებით, 138 სახელმწიფო ორგანოსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მათ სარგებლობაში არსებული ფართის ნაწილის იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს 158 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე;
- ელექტრონული აუქციონის შედეგად პრივატიზებული იქნა 129 ობიექტი; საპრივატიზაციოდ მომზადდა 500 ობიექტი;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით 40 ობიექტი გადაეცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად;
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოში ამუშავდა მომხმარებლისათვის განახლებული საინფორმაციო ქოლ-ცენტრი, მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა განახლებულ და კომპლექსურ ვებ-პორტალის შექმნაზე და 2013-2015 წლების სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბებაზე;
- სახელმწიფო ქონების შესახებ ერთიანი, დაზუსტებული და გამჭვირვალე საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით მიმდინარეობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ინვენტარიზაცია (შესწავლა, აზომვა, რეგისტრაცია, დასურათება);
- მიმდინარეობდა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ოპტიმიზაციის პროცესი.

### 5.4. ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

- მიმდინარეობდა მუშაობა საჯარო ფინანსების მართვის სისტემის PFMS-ის, საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების მართვისა და სხვა

პროგრამული სისტემების შემდგომ სრულყოფაზე, ვითარდებოდა სამინისტროს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და შესაბამისი ICT-ინფრასტრუქტურა, ხორციელდებოდა ახალი ელექტრონული სერვისების დაპროექტება, ტესტირება და იმპლემენტაცია;

- სახელწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის სამუშაო რეჟიმში გაეშვა ბუღალტრული პროცესების ავტომატიზაციის პროექტის პირველი ვერსია და შეიქმნა ბუღალტრული საკონტროლო ანგარიშები, რომელიც წარმოადგენს ავტომატური ტრანზაქციების სისწორის გადამოწმების ბერკეტს;
- განხორციელდა მიზნობრივი გრანტის მოდულის გაუმჯობესება საბანკო მოდულთან თავსებადობის კუთხით;
- სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვის სისტემაში დასრულდა იურიდიული პირების მიხედვით დაჯგუფებული შემოსავლების, გადასახდელების, ბალანსების და მომუშავეთა რაოდენობრივი დანართები, eBudget-სისტემის რეფაქტორინგის ფარგლებში განხორციელდა ბაზების სტრუქტურის ანალიზი და ოპტიმიზაცია;
- სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების eDMS-ის მართვის სისტემის სამუშაო რეჟიმში გაეშვა და დაიხვეწა ემისიის გეგმების ნაწილი;
- შემუშავდა დონორების სინქრონიზაციის სერვისი და საბიუჯეტო ცნობების მოდული;
- განხორციელდა ახალი მოთხოვნებისა და ანგარიშების დამატება საშინაო ვალის მოდულში. PFMS-ის სისტემებში განხორციელდა დონორების კლასიფიკაციის განახლება და ყველა ისტორიული მონაცემის შესაბამისი ცვლილება;
- საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემით eDocument-ით მომსახურების ხელშეკრულება განახლდა 10 ორგანიზაციასთან. მომსახურებით სარგებლობა დაიწყო 9 ახალმა ორგანიზაციამ;
- დასრულდა eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ინტეგრაცია მომხმარებლებისა და უფლებების ერთიან ელექტრონულ სისტემასთან (ePassport);
- შემუშავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სახაზინო სამსახურის, საგამოძიებო სამსახურისა და დავების განხილვის საბჭოს ახალი ვებ-გვერდები და საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მოდული;
- შემუშავდა ელექტრონული აუქციონის eAuction-ის შედეგების დაგზავნის სერვისი მომსახურების სააგენტოს სისტემის მომხმარებლებისა და სხვა პარტნიორი ორგანიზაციებისთვის;
- შემუშავდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისთვის ტესტირების სისტემა testing.rs.ge და შეიქმნა ავტოტექნომომსახურების ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა (VIMS –Vehicle Inventory Management Systems).

### 5.5. სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- განხორციელდა სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მართვა და ადმინისტრირება, მეთოდოლოგიური სტატნდარტების შემუშავება, სამსახურისა და კვლევების ადამიანური რესურსების, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მხარდაჭერა;

### 5.6. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 49 00)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობისა და ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- შვეიცარიის ქალაქ დავოსში ჩატარებულ ეკონომიკურ ფორუმზე, გაიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინდივიდუალური შეხვედრები „RusHydro“, „JP Morgan“, „Siemens“, „Blackstone group“ კომპანიების წარმომადგენლებთან და „TATA Group“-ის აღმასრულებელ დირექტორთან, სადაც პრემიერმა ბიზნესმენებს წარუდგინა საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი და პირადად მოიწვია საქართველოში;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოწვევით და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით ქვეყანას სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ინდური კონკლგლომერატის „TATA Group“-ის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები და ნორვეგიული კომპანია „Norsk Mineral“ და „Clean Energy“ ხელმძღვანელები და მფლობელები, ასევე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წარმომადგენლები, რის შედეგად „TATA Group“-ი თანამონაწილის სახით ჩაერთო მდინარე აჭარისწყალზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიმდინარე საინვესტიციო პროექტში;
- გამართა საპარტნიორო ფონდისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეხვედრები ეგვიპტური კომპანიის „Orascom Development Holding“-ის საერთაშორისო და ბიზნესის განვითარების დირექტორთან და მიმდინარეობდა მოლაპარაკებები უძრავი ქონების სფეროში საინვესტიციო პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით (ქ.თბილისში და შავი ზღვის სანაპიროზე);
- საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ უმასპინძლა:
  - ✓ კომპანია „Al Ahram“-ის წარმომადგენლებს საქართველოში პლასტმასის შესაფუთი მასალების წარმოებასთან დაკავშირებით;
  - ✓ თურქულ საფეიქრო ინდუსტრიაში მოღვაწე „SBS“-ის, „Calik Denim“-ისა და „IMTEKS“-ის კომპანიების წარმომადგენლებს, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებებს საქართველოში სამკერვალო ფაბრიკის გახსნასთან დაკავშირებით;
  - ✓ ბიზნესმენტა დელეგაციას სამხრეთ კორეის ენერგეტიკის, სამშენებლო, წარმოებისა და ფინანსური სერვისების სექტორებიდან (მათ შორის „Hyundai E&C“ და „KDB Daewoo“), რომლებმაც საპარტნიორო ფონდთან ერთად განიხილეს კონკრეტული საინვესტიციო პროექტები;
  - ✓ მსოფლიოში ჰიდროელექტროსადგურების მფლობელ კომპანიათა შორის სიდიდით მეორე ადგილზე მყოფ კომპანია „RusHydro“-ს წარმომადგენლებს საქართველოში აღნიშნული სფეროს ინვესტირების თაობაზე;
  - ✓ ისრაელში მოქმედ კომპანია „Paxigal“-ის წარმომადგენლებს უძრავი ქონების სფეროში საცხოვრებელი შენობებისა და სასტუმროების განვითარების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით;
  - ✓ კომპანია „Tadiran Appliances“-ის წარმომადგენლებს, რომლებიც ამჟამად საქართველოში ატარებენ მაცივრებისა და კონდიციონერების წარმოების შესაძლებლობის კვლევას „Feasibility study“;
  - ✓ ეგვიპტურ კომპანია „Hinalco“-ის წარმომადგენლებს საქართველოში სამშენებლო მასალების წარმოებასთან დაკავშირებით;
- საინვესტიციო სააგენტოსა და თურქულ კომპანია „YukselenTarin“-ს შორის გაიმართა მოლაპარაკებები სამეგრელოს რეგიონში სასათბურე მეურნეობების განვითარებასთან დაკავშირებით და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინვესტორისათვის შესაბამისი მიწის ნაკვეთების შერჩევა;
- საინვესტიციო სააგენტომ გამართა შეხვედრები ქუვეითურ კომპანია „Albaker Co. for Trading&Contracting“-თან ქ. ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებით, სამხრეთ კორეული კომპანიის „WONIL Corporation“-ის აღმასრულებელ დირექტორთან ქ. თბილისში ყოფილი მიხაილოვის კლინიკის ტერიტორიაზე ხუთ-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობასა და მაღალი კლასის კომერციული ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით, ბრიტანულ კომპანია „UKNA“-ის აღმასრულებელ დირექტორთან საქართველოში მსხვილი მეტალურგიული ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოლდოვური კომპანია „Pukoven“-ის წარმომადგენლებთან საქართველოში მეღორეობის ფერმის აშენებასთან დაკავშირებით

და ბულგარული კომპანია „WIND SIS“-ის წარმომადგენლებთან ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით;

- საქართველოს პრემიერ-მინისტრის ისრაელში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა და ისრაელის ექსპორტის ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებულ საქართველო-ისრაელის ბიზნეს ფორუმზე ჩატარდა პრეზენტაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებლობებზე, გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ისრაელისა და საქართველოს კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის;
- ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ 2012 წლის ბოლოს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის, პრიორიტეტული სექტორებისა და ქვესექტორების იდენტიფიკაციის მიზნით ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებული მასალის თემატური დამუშავება და პრიორიტეტული სექტორების მიხედვით (ენერჯეტიკა, ტურიზმი (ცალკე ბროშურა წყალტუბოს კურორტის შესახებ), წარმოება, სოფლის მეურნეობა, ლოჯისტიკა, რეგიონალური სერვისები) საინფორმაციო ბროშურების დაბეჭდვა ინგლისურ და რუსულ ენებზე;
  - ✓ საინვესტიციო პაკეტი, ბროშურებისა და სააგენტოს განახლებული ბრენდირებული საიმიჯო მასალებით, დაიგზავნა როგორც საქართველოს სამთავრობო უწყებებში, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ მისიებში შემდგომ პოტენციური ინვესტორებისათვის გადასაცემად და დაინტერესებულ წრეებში გასავრცელებლად;
- მომზადდა შემდეგი პრომო-მასალები საერთაშორისო მედია საშუალებებში პუბლიკაციის მიზნით:
  - ✓ გერმანულ გაზეთ „Frankfurter Allgemeine Zeitung“-ში დაიბეჭდა სტატია საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ სხვადასხვა ბიზნეს-სექტორების მიხედვით;
  - ✓ ტურისტული ბიზნეს-მეგზურის „The Georgian 2013“ გამოცემაში გამოქვეყნდა საინფორმაციო სტატია საქართველოში ტურიზმის სექტორში მიმზიდველი საინვესტიციო მიმართულებების შესახებ;
- შვეიცარულ გაზეთ „Neue Zürcher Zeitung“-ში გამოცემისათვის მომზადდა სტატია საქართველოში არსებული ბიზნეს კლიმატის, საინვესტიციო შესაძლებლობებისა და ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების შესახებ.

## 5.7. სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- ეროვნული ანგარიშების სისტემის წარმოებისათვის საჭირო ფორმატით დამუშავდა ინფორმაციის შიდა და გარე წყაროებიდან მოზიდული მონაცემები და მონაცემთა ბაზები; განისაზღვრა 2013 წლის I კვარტალის ეკონომიკის მთლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება და მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოების მეთოდით მიმდინარე ფასებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის (NACE) სექციების მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ინდექსები, გაანგარიშებულ იქნა ეროვნული შემოსავალი და ეროვნული ანგარიშების სხვა აგრეგატული მაჩვენებლები მიმდინარე ფასებში, მთლიანი შიდა პროდუქტი დანახარჯებისა და შემოსავლების მეთოდით მიმდინარე ფასებში, სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა, მონეტარული სისტემის, ფინანსური ბაზრის და ფისკალური სტატისტიკის მონაცემები;
- დასრულდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოკვლევის სავსე სამუშაოები;
- გაანგარიშდა 2013 წლის მარტი-მაისის ეკონომიკური ზრდის ტენდენციების წინასწარი შეფასებები და გამოქვეყნდა ყოველთვიური ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლები;

- განხორციელდა სამომხმარებლო ფასების ინდექსებისა და მწარმოებელთა (სამრეწველო, სამშენებლო მასალებისა და სატვირთო გადაზიდვების სექტორების მიხედვით) და ექსპორტის (სამრეწველო პროდუქციის) ფასების ინდექსების ყოველთვიური გაანგარიშება;
- გაანგარიშდა 2012 წლის IV კვარტალის და 2013 წლის I კვარტლის (წინასწარი) მონაცემები საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ;
- დამუშავდა 2012 წლის დეკემბრისა და 2013 წლის იანვარ-მაისის მონაცემები საგარეო ვაჭრობის შესახებ;
- განხორციელდა საწარმოთა 2012 წლის IV და 2013 წლის I კვარტლების გამოკვლევის სავსე სამუშაოები, მონაცემთა დამუშავება, შეწონვა და ანალიზი, აგრეთვე საწარმოთა 2012 წლის წლიური გამოკვლევის, სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევის, ბაზრებისა და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების გამოკვლევის სავსე სამუშაოები და მონაცემთა დამუშავება;
- განხორციელდა ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზების ყოველთვიური გამოკვლევა და ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან და შემოსავლების სამსახურიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე;
- დასრულდა შრომის სტატისტიკური გამოკვლევის 2012 წლის IV კვარტლის და წლიური, 2013 წლის იანვარ-მაისის ყოველთვიური გამოკვლევის მონაცემების მოპოვება, პირველადი მასალების ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლი, მოზიდული მასალის კომპიუტერში ჩაწერა, მონაცემთა ბაზის კორექტირება;
- განხორციელდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული 2012 წლის წლიური და 2013 წლის I კვარტლის პირველადი დემოგრაფიული მონაცემების კომპიუტერული დამუშავება-ანალიზი, ასევე გამოქვეყნდა 2012 წლის ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები.
- გამოქვეყნდა მიგრაციის მონაცემები, ასევე მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა.

## 5.9. სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

### საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ხორციელდებოდა ეტალონური ბაზის შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები;
- მომზადდა და დამტკიცდა სახელმწიფო ეროვნული ეტალონების რეგისტრაციის წესი;
- სააგენტო მონაწილეობდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში;
- ხელი მოეწერა: CIB (Comprehensive Institutional Building) პროგრამის პირველი ეტაპის კონტრაქტს; საქართველო-ავსტრიის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი მთავრობათაშორისი კომისიის მესამე სხდომის ფარგლებში საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და ავსტრიის სტანდარტების ინსტიტუტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- გერმანულ-ქართული „საქართველოს ხარისხის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა მეტროლოგიაზე განსაკუთრებული აქცენტი“ პროექტის ფარგლებში გაიხსნა განახლებული და მოდერნიზებული ელექტროგაზომვების ეტალონური ლაბორატორია და აქედან გამომდინარე, ლაბორატორიის თანამშრომლებმა გადამზადება გაიარეს გერმანიის ფიზიკო-ტექნიკურ ინსტიტუტში (PTB);
- TWINNING პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:
  - ✓ „მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის გაძლიერება ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა თემატური სემინარები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამინისტროების, არასათავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მეწარმეებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა;

- ✓ მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ✓ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში ISO 17025 სტანდარტის შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის სამუშაოები;
- ✓ გერმანელი ექსპერტების მიერ სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის სამ განყოფილებაში (ელექტრო გაზომვების, მასის და მექანიკის (ტემპერატურის ლაბორატორია)) ჩატარებული წინასწარი შეფასებებისა და მიღებული შედეგების და რეკომენდაციების შესაბამისად დოკუმენტაციის, პროცედურების, ინსტრუქციების გადამუშავება და მომზადება საერთაშორისო აღიარებისათვის;
- სააგენტოს ეტალონები და მაღალი სიზუსტის ეტალონური გაზომვის საშუალებები მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად დაკალიბრდა უკრაინისა და ბელორუსიის მეტროლოგიის ინსტიტუტებში, მასის განყოფილების ეტალონური საწონების ნაკრები და დამხმარე აღჭურვილობა დაკალიბრდა გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტში და აკრედიტებულ ZMK ლაბორატორიაში;
- მეტროლოგიური შემოწმება ჩაუტარდა საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ მოწოდებული, რუსეთის ფერედერაციის მიერ წარმოდგენილი ზემო ლარსის სახელმწიფოთაშორისო გაზის გამზომი კვანძის და აზერბაიჯანული მხარის მიერ წარმოდგენილი ხრამის სახელმწიფოთაშორისო გაზის გამზომი კვანძის პროექტებს;
- სააგენტოს მაიონიზებული მეტროლოგიის განყოფილების მიერ დაკალიბრდა 15 ხელსაწყო, ჩატარდა 9 ნიმუშის რადიაციული კვლევა, დაბალი აქტივობის გამოსხივების წყაროს Cs-137 გამოსხივების ველის კვლევა და განუსაზღვრელობის ანალიზი, ხოლო რადიოფიზიკის, ოპტიკის და აკუსტიკის განყოფილებების მიერ საკონტროლო-სალარო აპარატის პროგრამული უზრუნველყოფის გამოცდისა და ხმაურის დონის გაზომვის სამუშაოები;
- რეგისტრირებულია დაკანონებული გაზომვის საშუალების 23 ტიპი (ექსპერტიზა, აღიარება, რეგისტრაცია);
- განხორციელდა 92 699 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება, მათ შორის: ელექტრომრიცხველები - 3 897 ერთეული; გაზის მრიცხველები - 29 062 ერთეული; წყლის მრიცხველები - 59 740 ერთეული;
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ“ შეთანხმების შესაბამისად მიღებული იქნა 78 სტანდარტი;
- მომზადდა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 4 ნოტიფიკაცია საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე გაიგზავნა 4 ნოტიფიცირებული ტექნიკური რეგლამენტების სრული ტექსტი;
- სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) წევრი ქვეყნების მიერ მიღებული/მისაღები ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 313 ნოტიფიკაცია;
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ დარეგისტრირდა 110 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 51; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 51; სსტ ენ/ისო (საერთაშორისო /ევროპული სტანდარტი) - 8;
- სულ გაცემულია 104 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 9 ; სსტ ისო/იეკ (საერთაშორისო სტანდარტი) - 16; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 20; სსტ (საქართველოს სტანდარტი) - 8; გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი) - 51.

#### 5.10. შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის პროგრამა (პროგრამული კოდი 47 04)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- დასრულდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის 2013 წლის I და II კვარტლების საველე სამუშაოები, 2012 წლის დეკემბრის თვის და 2013 წლის იანვარ-მაისის პირველადი



მასალების კომპიუტერში ჩაწერა, აგრეთვე ლოგიკური კონტროლი და კოდირება, 2012 წლის IV და 2013 წლის I კვარტლის მონაცემთა ბაზის კორექტირება, 2012 წლის IV კვარტლის და წლიური, აგრეთვე 2013 წლის I კვარტლის მონაცემების გავრცელება.

### 5.11. სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა (პროგრამული კოდი 47 05)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- ჩატარდა სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის 2012 წლის დასკვნითი და 2013 წლის საწყისი და პირველი კვარტლის გამოკითხვის საველე სამუშაოები, მონაცემთა ელექტრონული სახით ჩაწერა და კომპიუტერული ლოგიკური კონტროლი;
- ჩატარდა გამოკვლევის 2012 წლის რაუნდის, ასევე 2013 წლის საწყისი და პირველი კვარტლის გამოკითხვის მონაცემთა ბაზის გაწმენდისა და ჰარმონიზაციის სამუშაოები და დამუშავდა მონაცემები;
- მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სტატისტიკის 2012 წლის საბოლოო და 2013 წლის I კვარტლის წინასწარი შედეგები, ასევე 2013 წლის I კვარტლის მონაცემები სასურსათო უსაფრთხოების შესახებ და ელექტრონული პუბლიკაცია „საქართველოს სოფლის მეურნეობა 2012“.

### 5.12. მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

#### პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- მომზადდა აჭარისა და გურიის ციფრული კარტოგრაფიული მასალა შენობებისა და მათში ფაქტიურად მცხოვრები შინამეურნეობების წინასწარი სიების შედგენისათვის;
- განხორციელდა 2014 წლის საყოველთაო აღწერის პირველი ეტაპის სამუშაოებისათვის საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

### 5.13. აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

#### საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელდა 19 სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაცია, მათ შორის: საგამოცდო ლაბორატორია - 12; საკალიბრებელი ლაბორატორია - 3; ინსპექტირების ორგანო - 2 (დაკანონებული გამზომი საშუალების დამამოწმებელი პირი - 1; ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი - 1); 1 პროდუქციის სერტიფიკაციის ორგანო; 1 პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო;
- გეგმიური მონიტორინგი გაიარა 27 აკრედიტებულმა პირმა, მათ შორის: საგამოცდო ლაბორატორია - 17; საკალიბრებელი ლაბორატორია - 2; ინსპექტირების ორგანო - 7 (1 დაკანონებული გამზომი საშუალების დამამოწმებელი პირი, 6 ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ცენტრი); პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო - 1;
- აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო აკრედიტაცია შეუჩერდა 7 საგამოცდლო ლაბორატორიას;

- TWINNING-ის პროექტში ჩართული ევროპელი ექსპერტების რეკომენდაციების, პროდუქციის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად და აკრედიტაციის საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა და გამოიცა აკრედიტაციის ახალი წესები და პროცედურები;
- მონაწილეობა იქნა მიღებული EA-ს (European co-operation for Accreditation) ლაბორატორიულ, ინსპექტირების და სერტიფიკაციის ტექნიკური კომიტეტების მუშაობაში;
- TWINNING-ის პროექტის „Strengthening Accreditation Infrastructure according the Best Practice in The EU Member States” ფარგლებში აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებისთვის, აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი პირების წარმომადგენლებისა და აკრედიტაციის სამუშაოებში ჩართული მოწვეული ექსპერტებისათვის ჩატარდა 30-მდე ტრენინგი/სემინარი ევროპის ახალი მიდგომის დირექტივების შესაბამისად.

## 6. ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება და მისი ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

### 6.2. არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- შუალედური არჩევნებისთვის შემუშავდა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი;
- არჩევნების ეფექტურად და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად კენჭისყრის დღისთვის მომზადდა ბეჭდვითი მასალები (ამომრჩევლის ბარათები, ამომრჩეველთა სიები, ბიულეტენები, საკონტროლო ფურცლები, სპეციალური კონვერტები, ჩანაწერთა წიგნები, კენჭისყრის დღის შედეგების შემაჯამებელი და სადემონსტრაციო ოქმები, კენჭისყრის კაბინაში გამოსაკრავი მასალები, ამომრჩეველთათვის საინფორმაციო სტიკერები და სხვა);
- საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცათ არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარი. (ლუქები, მარკირების სითხე, საარჩევნო კოდექსი და სხვა);
- უსინათლო ამომრჩევლების არჩევნებში დამოუკიდებლად ჩართულობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა ახალი საპილოტე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც დამზადდა ბრაილის ტრაფარეტები;
- მოხდა ამომრჩეველთა სიების დამუშავება და განახლება:
  - ✓ საოლქო საარჩევნო კომისიებთან ერთად განხორციელდა ახალი და პრობლემური მისამართების დამუშავება, საარჩევნო უბნების საზღვრების კორექტირება და მონაცემთა ბაზაში ასახვა;
  - ✓ სამისამართო ბადის მიხედვით მოხდა ამომრჩეველთა განაწილება უბნებად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლებს მიეწერათ შესაბამისი აღნიშვნები და მოხდა საარჩევნო სიის საბოლოო ფორმირება;
- მომზადდა სიის კედლის და სამაგიდო ვარიანტები, უზრუნველყოფილ იქნა ამომრჩეველთა მოსაწვევი ბარათების მომზადება და დასაბეჭდად გადაცემა;
- უბნებსა და ოლქებში ამომრჩეველთა იდენტიფიცირებისთვის შეიქმნა საძიებო სისტემა (ოპერატიული სისტემა Windows-ისათვის), რომელიც ჩაიწერა პორტატულ კომპიუტერებში (122 ერთეული) და გადაეცათ შესაბამის საარჩევნო კომისიებს;

- დაინტერესებულ პირთათვის, არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე კვალიფიციური მომსახურების გაწევის მიზნით ცესკოში ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი;
- ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა შუალედურ არჩევნებთან მიმართებაში კომისიის აქტივობების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება როგორც პრეს-კონფერენციების, ისე ელექტრონული ფორმატის მეშვეობით;
- შეიქმნა სპეციალური ბანერი უშუალოდ შუალედური არჩევნებისთვის, სადაც მუდმივად თავსდებოდა ინფორმაცია მიმდინარე საარჩევნო პროცესების შესახებ (საარჩევნო სუბიექტების, ოლქების და უბნების, დამკვირვებლებისა და მედიის შესახებ, ასევე ყველა სამართლებრივი აქტი);
- წინასაარჩევნო პერიოდში დამზადდა 2 საინფორმაციო ვიდეო რგოლი (არჩევნების დღის პროცედურებისა და ხმის მიცემის ფარულობის შესახებ);
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ინფორმირების მიზნით დამზადდა სატელევიზიო სარეკლამო რგოლები სურდო თარგმანის თანხლებით;
- ჩატარდა საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები მშვიდ, ღია და გამჭვირვალე გარემოში.

### 6.3. იუსტიციის სახლების ფარგლებში მომსახურებათა ეფექტიანი წარმოება და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 06)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
- ✓ სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო;
- ✓ სსიპ - იუსტიციის სახლი.

- პროგრამის „იუსტიციის სახლების ფარგლებში მომსახურებათა ეფექტიანი წარმოება და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა“ ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები და პროექტები:
- პარტნიორ ორგანიზაციებთან შეთანხმება უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ, ფილიალების შიდა საოპერაციო ინსტრუქციების/დოკუმენტების მომზადება, ზუგდიდის იუსტიციის სახლის გახსნის მოსამზადებელი სამუშაოები, თბილისის იუსტიციის სახლში უცხოენოვანი ოპერატორების საჭიროების განსაზღვრა, რიგის მართვის პროგრამის ოპტიმიზება, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს სერვისის დანერგვა, „JUSTdrive“ პროექტი, სერვისის მიწოდების არხების განვითარება, სატელეფონო-საინფორმაციო სამსახურის მოწყობა, მომსახურების ხარისხის სტანდარტის მოდიფიცირება და დამტკიცება, ხარისხის აუდიტის ჯგუფის სტანდარტის/სახელმძღვანელოს შემუშავება და დამტკიცება, ხარისხის აუდიტის კითხვარის მოდიფიცირება, სახელმძღვანელოების პირველადი ვერსიის მომზადება, სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შეცდომების დაფიქსირების სისტემის აწყობა;
- განისაზღვრა საოპერაციო მიმართულების წინა და უკანა ხაზის თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საქმის დუბლირებას, ხარვეზების დაშვებას და უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირების ზუსტ იდენტიფიკაციას;
- ადგილზე დაკვირვებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესწავლილ იქნა ოპერატორებისთვის უცხო ენის ცოდნის საჭიროება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება განსაზღვრული რაოდენობის ოპერატორთათვის ინგლისური და რუსულის ენების სასწავლო პროგრამით უზრუნველყოფის შესახებ. შედეგად, იუსტიციის სახლში მოსული ნებისმიერი მომხმარებელი მიიღებს სრულ და ამომწურავ სერვისს;
- ქვეყნის მასშტაბით მისამართების ერთიანი და მუდმივად განახლებადი რეესტრის შექმნის მიზნით მიმდინარეობდა დამისამართების პროექტი 6 ქალაქში (ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი, გორი, ბოლნისი), 42 სოფელსა და დაბაში. საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება პროექტი

„მონაცემთა ბაზების სრულყოფა“, რომელიც მოიცავს მონაცემთა შეუსაბამობების გადამოწმებას, გაორებული მისამართების ადგილზე შემოწმებას და ა.შ;

- ყველა დაინტერესებული პირისთვის განხორციელდა სააღსრულებო, გამარტივებული წარმოებისა და ფაქტების კონსტატაციის მომსახურებები.

#### **6.4. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)**

**პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია,
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 14 საარჩევნო სუბიექტი (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ (ახლები), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები“, ა(ა)იპ, პარტია „საქართველოს გზა“, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, საქართველოს კონსერვატიული პარტია, პოლიტიკური გაერთიანება „ხალხის პარტია“, პოლიტიკური მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“, პოლიტიკური გაერთიანება „ეროვნული ფორუმი“.
- გამოცხადებული საგრანტო კონკურსის - „საარჩევნო გარემოს რეგიონული კვლევა“ - საფუძველზე, შეირჩა და დაფინანსდა 8 საგრანტო პროექტი.

#### **6.5. სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 26 01)**

**პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

- „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, ევროკავშირის ხელშეწყობითა და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით მიმდინარეობდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესი რეფორმის ყველა მიმართულებით. განახლებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხილვები მიმდინარეობდა საბჭოს ფარგლებში შექმნილ სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფართო ჩართულობით, ხოლო მათი დამტკიცება განხორციელდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ;
- „სისხლის სამართლის კოდექსის“ გადახედვის მიზნით შეიქმნა სისხლის სამართლის ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფის მიზანია „სისხლის სამართლის კოდექსის“ გადახედვა და დეტალური განხილვა, ცვლილებების შეტანის კუთხით წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება, შედეგად კი, ახალი კოდექსის პროექტის შემუშავება. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ორი შეხვედრა;
- „შრომის კოდექსის“ ცვლილებების კანონპროექტის მომზადების პროცესში მიმდინარეობდა მჭიდრო თანამშრომლობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან. აღნიშნული ორგანიზაციის

მიერ მოვლენილი ექსპერტი უშუალოდ მონაწილეობდა კანონპროექტის შემუშავებაში. კონსულტაციები ასევე მიმდინარეობდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესსექტორის, პროფესიული კავშირების წარმომადგენლებთან.

## 6.6. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (05 00)

### პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი
- ✓ სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

- საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ დამტკიცდა 3 ეფექტიანობის აუდიტი. ეფექტიანობის აუდიტი საშუალებას იძლევა შეფასდეს კონკრეტული მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებებით მიღწეული რეალური შედეგები და ამ პროცესში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეკონომიურობა და პროდუქტიულობა,
  - ✓ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვის ღონისძიებათა ეფექტიანობა;
  - ✓ ქართული ღვინოპროდუქციის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა;
  - ✓ აივ ინფექცია/შიდსის წინააღმდეგ ეროვნული რეაგირება: საქართველოში დაავადების გავრცელება და რეაგირების სისუსტეები.
- დაწყებულ იქნა ასევე 4 ეფექტიანობის აუდიტზე მუშაობა, ამათგან 2 ეფექტიანობის აუდიტი ტარდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ერთობლივი პროექტის ფარგლებში: სახელმწიფო შესყიდვები, სასწრაფო სამედიცინო მომსახურების სისტემა, ხოლო დანარჩენი ორი შვედეთის ეროვნული აუდიტის სამსახურის (SNAO) ერთობლივი პროექტის ფარგლებში პროფესიული განათლების სისტემა და მეცნიერების განვითარება საქართველოში;
- საანგარიშო პერიოდში აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების და უწყების ფინანსური აუდიტი;
- განხორციელდა SNAO-ს პროექტის დაგეგმარების მისიის ვიზიტი, რომლის მიზანი იყო ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში 2013 წლის მოკლე და გრძელვადიანი მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების განხილვა, ასევე 2013 წლის წინასწარი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაგრელებას SAO-სა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) შორის - „საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“ - პროგრამის ფარგლებში.
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და ბულგარეთის ეროვნული აუდიტის სამსახურს შორის;
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო და რეგიონული გაერთიანებების - INTOSAI-ს, EUROSAI-სა და ASOSAI-ს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში, სემინარებსა და კონფერენციებში.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 30-ზე მეტმა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, რაც ხელს უწყობს სამსახურის შესაძლებლობების გაზრდას, სანიმუშო პრაქტიკის გაზიარებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას.
- საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა მის-ივნისში ჩაატარა საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სფეროში მომუშავე აუდიტორებისათვის სასერთიფიკაციო კურსი;
- 2013 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის კუთხით საჯარო სექტორისათვის;
- განახლდა კომუნიკაციის გუნდი და გაიზარდა აღნიშნულ გუნდში ჩართული ადამიანების რაოდენობა;
- განახლდა კომუნიკაციის სტრატეგია და დამტკიცდა წლიური სამუშაო გეგმა; შემუშავდა და დამტკიცდა ორი ეფექტიანობის აუდიტის კომუნიკაციის გეგმა.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა, კონკრეტული უწყებების დონეზე საჯარო ფინანსების მართვის პროცესის გაუმჯობესებასთან ერთად, ორიენტირებული გახდა სისტემური ხასიათის საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვაზე და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემაზე. აღნიშნული ასახულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში სახელმწიფო ბიუჯეტის 2012წ. წლიური შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე, რომელიც პარლამენტს წარედგინა 2013 წლის აპრილში. მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა საჯარო ფინანსების მართვის ისეთი კომპონენტების გაუმჯობესებაზე, როგორებიცაა: სახელმწიფო ფინანსური აქტივების მართვა, ლიკვიდობის მართვა, მათ შორის სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის შიდა კონტროლის მექანიზმები, სახელმწიფო საგარეო ვალის მართვა, სახელმწიფოს ფინანსური ოპერაციებისა და მიღებული შედეგების შესახებ ანგარიშგება და სხვა.

#### 6.7. საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:

- საქართველოს, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის საარჩევნო ადმინისტრაციების შეხვედრა, სადაც შემუშავებულ იქნა სხვადასხვა მეთოდები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის;
- სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის მოეწყო ღია კარის დღე მათი საარჩევნო პროცესებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის და მოტივაციის ამაღლების მიზნით.

#### 6.8. ეროვნული საარჩევნო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი.

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა არქივის 22 ტერიტორიული ერთეულის ცენტრალიზაცია;
- მოქალაქეთა მომსახურების პროგრამაში საცნობარო მომსახურებისას დაინერგა საბილინგო და მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომსახურების სისტემა;
- ელექტრონულ მატარებელზე გადატანილ იქნა 595 კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტი. საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ელექტრონულად სულ 28 000 დოკუმენტზე მეტი ინახება. აგრეთვე, მიმდინარეობდა საარჩევნო დოკუმენტების სკანირება. დასკანერებულია 1,4 მლნ გვერდზე მეტი, რომელთაგან უკვე დამუშავებულია 65 000 ერთეულზე მეტი საისტორიო არქივის დოკუმენტი და 780 000 ერთეულზე მეტი უახლესი ისტორიის დოკუმენტი.

#### 6.9. ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

- მომზადდა და დამტკიცდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში. შედგენილ იქნა კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტების ნუსხა. ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართ მინიმალური მოთხოვნების შესახებ ჩატარდა საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრები;

- 22 სახელმწიფო და კერძო დაწესებულების თანამშრომელთათვის ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შექმნისა და დანერგვის ტრენინგი;
- ქართველი მომხმარებლებისთვის მომზადდა დაინფიცირებული IP-მისამართების ონლაინგადამოწმების სერვისი;
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩაერთო 8 ორგანიზაცია;
- საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემის შექმნის მიზნით განხორციელდა ქ. ფოთისა და ქ. ბათუმის ნავსადგურებისა და მსხვილი საზღვაო ხაზების მონაცემების ინტეგრაცია.

## 6.10 . საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის ჯგუფების მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის შემოწმების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებსა და პოლიციის განყოფილებებში განხორციელდა 77 გეგმიური და 11 არაგეგმიური ვიზიტი, მონახულებულ იქნა 75 დაკავებული;
- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით განხორციელდა 18 გეგმიური და 202 არაგეგმიური ვიზიტი, მონახულებულ იქნა 1742 პატიმარი;
- ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განხორციელდა 6 არაგეგმიური ვიზიტი, მონახულებულ იქნა 22 პაციენტი;
- ჰაუპტვახტებში განხორციელდა 2 გეგმიური ვიზიტი, მონახულებული იქნა 27 სამხედრო მოსამსახურე.
- ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა 3041 განცხადება. აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 2205 განცხადება, მართლმსაჯულების დეპარტამენტს გადაეცა 1000 განცხადება, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტს 994, ქალისა და ბავშვის უფლებათა ცენტრს 71 და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრს 72, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტს 68.
- კონსულტანტის დახმარებით ისარგებლა 1461-მა ვიზიტორმა;
- ზუგდიდში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა სახალხო დამცველის აპარატის სამეგრელო-ზემო სვანეთის ოფისის ახალი პროექტის პრეზენტაცია - „ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებები სახალხო დამცველის ზუგდიდის რეგიონული ოფისის გაძლიერების გზით“.
- გაიმართა სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ ორგანიზებული ვიქტორინა - „ეთნოსები და რელიგიები საქართველოში“. ვიქტორინაში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა სკოლების გუნდები, მათ შორის თბილისის, მცხეთის, მუხრანის, რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, გორის და კარაღეთის სკოლები.
- საქართველოს სახალხო დამცველისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი ინიციატივით, გაიმართა შეხვედრა გენდერული თანასწორობის თემაზე. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოში მომუშავე ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში აძლიერებენ და მხარს უჭერენ ქალთა თანასწორობის უფლებების დაცვის და გენდერული იდენტობის ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებს.
- საქართველოს სახალხო დამცველსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის შედგა შეხვედრები, განხილულ იქნა საკითხი რეგიონული ოფისების საქმიანობის გაძლიერების გეგმებზე და პერსპექტივებზე და რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე.

## 6.11. საარჩევნო სისტემების განვითარება და სისტემისათვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 06 03)

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- განხორციელდა საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ტრენინგების სამი ეტაპის მონიტორინგი და შემდგომ უშუალოდ არჩევნების პროცესის დაკვირვება;
- საარჩევნო ადმინისტრაციის (ცესკოს და სწავლების ცენტრი) თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები საარჩევნო სისტემების საკითხებში;
- ჩატარდა BRIDGE-ის ფასილიტატორთა მოსამზადებელი ტრენინგი (TTF) გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტთან - „სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტებისა და პროცესების ხელშეწყობა“ - ერთობლივი პარტნიორობით. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა. მონაწილეებს მიენიჭათ BRIDGE-ის ნახევრად აკრედიტებული ფასილიტატორის სერტიფიკატი;
- ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ფსიქოლოგიური კვლევის სავლე სამუშაოები“. ტრენინგზე განხილულ იქნა ისეთი საკითხები როგორცაა:
  - ✓ ინტერვიუს ტექნიკის მიმოხილვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი სავლე სამუშაოებისთვის;
  - ✓ რესპოდენტის შერჩევა და მიმართვა;
  - ✓ მონაცემთა შეყვანა და სხვა.
- განხორციელდა პროექტი - „არჩევნები და არჩევნებში ახალგაზრდების მონაწილეობის მნიშვნელობა“. პროექტის აქტუალობას განაპირობებდა მოახლოებული 2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები 5 რეგიონალურ და 9 თბილისში მდებარე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი და მეორე კურსის სტუდენტებისთვის. პროექტის ფარგლებში მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელო ტრენინგებისთვის, ელექტრონული პრეზენტაცია, პრაქტიკული სასწავლო მასალა და სამახსოვრო ბუკლეტები სტუდენტებისთვის.
- 14 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ჟურნალისტიკის და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მიმდინარეობდა ლექციები საარჩევნო სამართალში;
- დასრულდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია, რომლის რაოდენობამ შეადგინა 8 198;
- მომზადდა და სწავლების ცენტრის საიტზე დაიდო სერტიფიცირების გამოცდის ტესტები.

**6.12. ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 07)**

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ - სმართ ლოჯიკი

- სსიპ - სმართ ლოჯიკის IT-სერვისების სრული სპექტრით მომსახურებაზე აყვანის მიზნით ხელშეკრულებები გაფორმდა საქართველოს ენერჯეტიკის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროებსა და სსიპ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოსთან. ზემოაღნიშნული უწყებებისთვის შეთავაზებული მომსახურებები მოიცავდა ქსელურ უზრუნველყოფას, ელფოსტის სერვისის, ონლაინკომუნიკაციის საშუალებებს, ტელე/ვიდეო კონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარებას, არასასურველი და მავნე ელფოსტის,



პროგრამებისა და ვირუსებისაგან დაცვას, ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციების თანამშრომლების კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებასა და სხვა სერვისებს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე გარემოში სრულყოფილი ოპერირებისათვის;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსათვის განხორციელდა IDP პროგრამული უზრუნველყოფის (იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაცემთა ბაზა) სრულყოფა და მასში ფუნქციების დამატება;
- სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის სტატისტიკურ-ანალიტიკური მოდულის რეპორტების ფორმატები მორგებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციფიკაზე. ამ ღონისძიების მიზანია სისხლის სამართლის საქმეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება. გარდა ამისა, შესაბამისი უწყებების მოთხოვნების გათვალისწინებით, დაიხვეწა თავად სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამაც;
- სსიპ „იუსტიციის სახლისათვის“ შეიქმნა „Just drive“-ის პროგრამული უზრუნველყოფა და აიწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა. აგრეთვე, მთავარი დატაცენტრის იზოლაციის შემთხვევაში, იუსტიციის სახლების დამოუკიდებელ ფუნქციონირებაზე გადაყვანის მიზნით განხორციელდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის გადაიარაღება. აღნიშნული ღონისძიება იუსტიციის სახლების მომსახურებათა უწყვეტობისა და შეუფერხებლობის შესაძლებლობას იძლევა.

## 7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

### 7.1. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 25 05)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

- დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ევროკავშირი) ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა:
  - ✓ ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში (კომბინატის დასახლება), ქ. ხობში, ქ. წყალტუბოს, საჩხერის რაიონის სოფელ იცქისის, ქ. სამტრედიის, ქ. სენაკის, ქ. ხონის და ქ. თერჯოლის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ ქ. ფოთში მალთაყვის ტერიტორიაზე მშენებარე 30 სახლიანი საცხოვრებელი უბნის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მოწყობა;
  - ✓ დაბა თიანეთში რუსთაველის ქუჩის, ხარაგაულში ქუჩების, მოედნების და სანიაღვრე არხების მოწყობა;
  - ✓ ქ. ფოთში 7 სახლიანი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა;
  - ✓ ქ. გორში ვერხვების დევნილთა დასახლების ტერიტორიაზე საბავშვო ბაღის მშენებლობა;
  - ✓ ქ. ქარელში ახალგაზრდობის ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია;
  - ✓ იმერეთის რეგიონში ქ. ბაღდათში შიდა ქუჩების სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია;
  - ✓ ქ. ქუთაისში დევნილთა დასახლების (2 კოტეჯი) შესასვლელის და შიდა გზის რეაბილიტაცია;
  - ✓ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარსა და გორას შორის არსებული გზის რეაბილიტაცია;
  - ✓ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელისა და ნაგავსაყრელთან მისასვლელი გზის რეკონსტრუქცია;
  - ✓ ქ. ფოთის მრავალბინიანი სახლის სასმელი წყლის შიდაკომუნიკაციური ქსელების რეაბილიტაცია;

- ✓ ქ. ფოთში 7 სახლიანი უბნის მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული სამუშაოები.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეზილიტაცია დასავლეთ საქართველოში (KfW) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
  - ✓ ქ. ქუთაისში ი. ჭავჭავაძის გამზირის N58-ში მდებარე ყოფილი სამუსიკო სკოლა-ინტერნატის შენობის რეზილიტაცია და ახალი კორპუსის მშენებლობა;
  - ✓ ქ. ფოთში მშვიდობის ქ. N8-ში მდებარე ყოფილი სასტუმრო „აიეტი“-ს შენობის რეზილიტაცია და ახალი კორპუსის მშენებლობა;
  - ✓ ქ. ფოთში მშვიდობის ქ. N8-ში მდებარე ყოფილი სასტუმრო „აიეტი“-ს შენობის და მშენებარე ახალი კორპუსის წყალმომარაგების ქსელის მაგისტრალურ წყალსადენზე დაერთების მოსაკრებელი (გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია);
  - ✓ საკონსულტაციო სამუშაოები იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების საგანგებო სარეაბილიტაციო სამუშაოების ზედამხედველობაზე დასავლეთ საქართველოში;
  - ✓ ქ. ზუგდიდში საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების პროექტისა და „B“ და „C“ ტიპის საცხოვრებელი სახლების დეტალური პროექტის მცირე ცვლილებების მომზადება.
- ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (USAID) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
  - ✓ ტირიფონის და სალთვისის საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია;
  - ✓ იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული შენობების რეაბილიტაცია;
  - ✓ სოფელ გორიჯვრის მისასვლელი გზის, ქ. გორის შიდა გზების, მცხეთის, დუშეთის და სალოლაშენი-დვანის მუნიციპალური გზის რეაბილიტაცია;
  - ✓ ქ. ონის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია;
  - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში: გორის, ქარელის, კასპის და მცხეთის რაიონებში 9 სოფლის წყალსადენი სისტემის და 7 სოფლის დრენაჟის რეაბილიტაცია;
  - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 28 ორგანიზებულად დასახლებული ცენტრის რეკონსტრუქციის, დეტალური პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა;
  - ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინების 8 ყოფილი საავადმყოფოს რეაბილიტაციის დეტალური საინჟინრო პროექტის დიზაინი, სატენდერო პაკეტის შემუშავება და საზედამხედველო მომსახურება;
  - ✓ ურდვევი რადიოფიზიკური მეთოდის (ულტრაბგერითი ხელსაწყო) გამოყენებით ბეტონის სიმტკიცის ხარისხის შემოწმება;

## 7.2. განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი,
  - ✓ სსიპ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა თემის განვითარების ცენტრი
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში განხორციელდა:
    - ✓ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებში გადამოწმდა 89 ობიექტი, აღწერილ იქნა 1150 ოჯახი. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების

გადაცემაზე პრეზიდენტის განკარგულებისთვის მასალები მომზადდა და გადაიგზავნა 595 ოჯახზე. საკუთრებაში ბინები გადაეცა 271 ოჯახს;

- ✓ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია და 197 დევნილი ოჯახი გადაყვანილ იქნა თბილისში, ხაშურში, გორში და თეთრიწყაროში;
  - ✓ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, რეაბილიტაცია ჩატარდა 1 ობიექტს ქ. ქუთაისში, ხოლო სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 3 ობიექტზე ქ. თბილისში;
  - ✓ დასრულდა 130 მოქმედი კოლექტიური ცენტრის ტექნიკური შეფასება სარემონტო სამუშაოების ჩატარების მიზნით.
- განხორციელდა 10 დევნილი ოჯახისათვის სოფლად ინდივიდუალური სახლების შექმნა;
  - სახურავის შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 1 ობიექტს, საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2 ობიექტს, ხოლო ხანძრით გამოწვეული დაზიანებული შიდა ფართების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 ობიექტს. ქ თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით გარემონტდა 3 ობიექტი;
  - კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს დაუფინანსდათ კომუნალური ხარჯები;
  - მოძიებული იქნა 160 000 კვ/მ მიწის ფართობი ქ. თბილისში და 13 000 კვ/მ ქ. ქუთაისში, სადაც მიმდინარეობდა დევნილებისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობის პროექტირების სამუშაოები;
  - გაეწიათ ფინანსური დახმარება 746-მდე დევნილს, ასევე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. N49-ში მდებარე კომპაქტურად განსახლების ობიექტის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებულ 26 ოჯახს და სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან 71 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით.

### 7.3. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი
  - ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები
- საანგარიშო პერიოდში შევსებულია დევნილთა უძრავის ქონების 150 დეკლარაცია და მოხდა 2 587 შევსებულ დეკლარაციაში ჩამატებების შეტანა. ასევე დევნილთა ქონებრივი დეკლარაციების ბაზაში გადამოწმდა 10 073 დეკლარაცია. დაზუსტდა სტატუსთან და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით სამინისტროში გამოცხადებული 3 571 დევნილის ქონებრივი დეკლარაცია, მათ შორის: ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან - 216, ხოლო აფხაზეთის ა/რ -დან - 3 355;
  - მობილურობის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში:
    - ✓ 108 ბენეფიციარმა მიიღო კონსულტაცია საქართველოში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ;
    - ✓ 67 ბენეფიციარმა გაიარა პროფესიული გადამზადების ტრენინგი, ხოლო 34 ბენეფიციარმა - ტრენინგი ბიზნეს გეგმის შემუშავების შესახებ;
    - ✓ 5 ბენეფიციარს აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება.
  - „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“ პროექტის ფარგლებში შექმნილი „მობილურობის ცენტრის“ მიერ დაფინანსდა 9 ბიზნეს პროექტი. ასევე, დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფილი იქნა 3 ბენეფიციარი;
  - ხორციელდებოდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მამიებელთა აპლიკაციების განხილვა. განსახილველად შემოვიდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მამიებელთა

336 აპლიკაცია. აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა 24 პირს, ხოლო ლტოვილის სტატუსი - 16 პირს;

- ერედვის, ქურთის, ახალგორის და თიღვის მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა აეროფოტო სურათებზე ობიექტების ამოცნობა და გეოსაინფორმაციო ბაზაში ასახვა. ასევე, მიმდინარეობდა ქალაქებისა და რაიონების საკადასტრო ბაზის ფორმირება, რაც მოიცავს ყველა საკადასტრო ობიექტის (გზები, ქუჩები, ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, ჰიდროგრაფიული ობიექტები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ტყის ფონდი) დიგიტალიზაციას. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქ. ოჩამჩირის ქუჩების, გზების და სხვა ობიექტების ამოცნობა, ამჟამად მიმდინარეობს მათი ელექტრონულ ბაზაში გადატანა.

#### **7.4. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)**

##### **პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- გაიმართა შეხვედრები საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, დიპლომატებთან და დონორ ორგანიზაციებთან, სადაც განიხილებოდა 2013 წელს სახელმწიფო სტრატეგიის „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და მისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში მიღებული შედეგები, აგრეთვე სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2014 წლის პრიორიტეტები;
- აპარატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ გალსა და დვანში გამართულ შეხვედრებს, რომელზეც განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები;
- მომზადდა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის 2012 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში და 2013 წლის სამოქმედო გეგმა. ამასთან, 2012 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში წარედგინა საქართველოს მთავრობასა და სახალხო დამცველის აპარატს;
- გაიმართა გასვლითი შეხვედრა საქართველოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში, განხილულ იქნა სახელმწიფო პოლიტიკა ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის მიმართულებით;
- ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობის მიზნით გაიმართა მუსიკალური ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“, ლიტერატურულ-შემეცნებითი კონკურსი „ჩემი სამშობლო“, ასევე შეხვედრები თბილისსა და რეგიონებში.

#### **8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

##### **8.1. ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მისი ფარგლების გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)**

##### **პროგრამის განმახორციელებელი :**

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საქართველოს ანსამბლები
- ✓ საქართველოს თეატრები

- მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში:
  - ✓ სსიპ მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი - თურქეთი (ქ. ანკარა; ქ. ტრაბზონი);

- ✓ სსიპ თბილისის ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო დრამატული თეატრი - რუსეთი (ქ. სანქტ-პეტერბურგი);
  - ✓ ააიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - ინგლისი (ქ. ლონდონი);
  - ✓ ქუთაისის ახალგაზრდული თეატრი - უკრაინა (ქ. დნეპროდერჟინსკი);
  - ✓ ა(ა)იპ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია - ინგლისი (ქ. ლონდონი) და გერმანია (ქ. ლაიფციგი);
  - ✓ ანსამბლი „ურმული“ - ინგლისი (ქ. ლონდონი).
- გაიმართა: კავკასიის ფესტივალისადმი მიძღვნილი შემეცნებით-დოკუმენტალური ღონისძიება „kavkaz jazz“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა გამოფენა და კონცერტი საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ლიტვიდან წარმომადგენლების მონაწილეობით; გამოფენა ევროპის სახლის პროექტი „ევროპის ნაპირი“; მე-15 საერთაშორისო "Caucasus Tourism Fair-CTF 2013" ქართული რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა; სსიპ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის მიერ დოკუმენტური ფილმის „ქართველი მუსიკოსები ამსტერდამში“ პრეზენტაცია; ქართული ღვინის თემაზე ქართული ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა; თურქეთის კულტურის დღეები საქართველოში; მაინის ფრანკფურტის ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაციის პროექტი „საქართველოს მუსიკალური სკოლების მხარდაჭერა“; პროექტები: „ლიტერატურული ღამე“ და „მეტაფორა-დებიუტი“; საქართველოს რეგიონების სამუსიკო სკოლებისთვის სახელმძღვანელოს „პოლიფონიური პიესები ბავშვებს“ გადაცემა;
  - ჩატარდა: ქ. თბილისში აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-4 პლათფორმის ფარგლებში კულტურის I მინისტრიალი; თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი; მასტერკლასები ფოთის, სენაკის, მარტვილისა და ზუგდიდის სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებისთვის; სსიპ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საფორტეპიანო ტრიოს „SEMPRE“-ს მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვადასხვა რაიონში კონცერტები და მასტერკლასები; თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში მასტერკლასები; გიორგი ცაბაძის სახელობის ქართული სიმღერის III ეროვნული კონკურსი; 2013 წლის 26 მაისს საქართველოს 27 ქალაქში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კულტურული ღონისძიებები; თბილისის მე-7 საერთაშორისო სტუდენტური ფილმების კინოფესტივალი „ამირანი“; ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ“; სსიპ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში გ. ბერიკაშვილის 80 წლისა და ს. ჭიაურელის დაბადებიდან 76 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება; რიგით მე-4 თბილისის საერთაშორისო ფოტო-ფესტივალი; ყოველწლიური ფოტოკვირეული „ქოლგა, თბილისი ფოტო“; საქართველოს რეგიონებში ანიმაციური ფილმების ჩვენება.
  - გამოიცა: ჟურნალის „მუსიკა“ 2 ნომერი; თბილისის კულტურული ცხოვრების ამსახველი ყოველთვიური ქართულ-ინგლისური საინფორმაციო ჟურნალის „თბილისი out“-ის 6 ნომერი; „ლიტერატურული გაზეთის“ 6 ნომერი, გაზეთების „ვრასტანი“, „გურჯისტანი“, „სვაბოდნაია გრუზია“, „მწერლის გაზეთი“; შვედეთში „ქართული მოთხრობის ანთოლოგია“; კინორეჟისორის რეზო ჩხეიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ალბომი.
  - დასრულდა: სსიპ ქ. თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი თეატრალური სასცენო სივრცის მოწყობა; სსიპ ქ. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ტექნიკური აღჭურვა; მხატვრულ-დოკუმენტური ფილმის „მინდისის გმირების“ გადაღება.

## 8.2. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

### პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმი“.

- ფუტსალის საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მალტაში;
- ფეხბურთში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურში მიიღო მონაწილეობა და იასპარეზა საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებთან. ასევე, მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში ალბანეთის, ირლანდიისა და ბელგიის ეროვნულ ნაკრებებთან;
- გაიმართა ფეხბურთში საქართველოს U-17 წლამდე ნაკრების შეკრება თბილისში, ასევე ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა სლოვაკეთში და ავსტრიაში ელიტ-რაუნდის ჯგუფურ ტურნირში;
- გაიმართა ფეხბურთის U-19 ჭაბუკთა ნაკრების შეკრება თბილისში, საქართველო - საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი და ორი ამხანაგური შეხვედრა პოლონეთში;
- გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების U-21 საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი ავსტრიაში, პორტუგალიაში, ამხანაგური შეხვედრა სერბეთში - სერბეთის ნაკრებთან, ელიტ-რაუნდი საქართველოში, ქ. ანტვერპენში, ბელგიაში, ინგლისსა და შოტლანდიაში;
- ფეხბურთში საქართველოს 16 წლამდე ნაკრებმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა კასპის თასის საერთაშორისო ტურნირში აზერბაიჯანში, ასევე მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურნირში ბულგარეთში;
- ფეხბურთში საქართველოს 15 წლამდე ნაკრებმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა ყაზახეთში პრეზიდენტის თასის ტურნირში;
- საქართველოს ქალ - ფეხბურთელთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში;
- ქალ - ფეხბურთელთა 19 წლამდე ნაკრებმა ჩაატარა ორი ამხანაგური მატჩი აზერბაიჯანის ნაკრებთან;
- დაფინანსდა საქართველოს ეროვნული, ყველა ასაკობრივი და ქალთა ნაკრებების მწვრთნელთა, ადმინისტრაციული პერსონალის, ექიმების, მასაჟისტების, მენეჯერების მომსახურების ანაზღაურება და მათთან გაფორმებული კონტრაქტის პირობების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ხარჯები;
- 2013 წლის თებერვალ-მარტში მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა იასპარეზა ევროპის ერთა თასზე და მოიპოვა გამარჯვება;
- დაფინანსდა რაგბში საქართველოს თვრამეტ და ცხრამეტწლამდეელთა ნაკრებების მზადება ევროპის ჩემპიონატისათვის;
- დაფინანსდა შვიდკაცა რაგბში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომლის ფარგლებშიც იასპარეზა ზიმბაბვესა და ჰონკონგის საერთაშორისო ტურნირებში. ჰონკონგში წარმატებული გამოსვლით მოიპოვა ინგლისში მსოფლიო სერიაზე მონაწილეობის უფლება;
- საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა რაგბის საერთაშორისო საბჭოს მსოფლიო სერიაში (ლონდონი), ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირში (მე-4 ადგილი), ევროპის ჩემპიონატის პირველ ტურში და მოსკოვში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში (მე-19 ადგილი);
- დაფინანსდა რაგბში უმაღლეს და პირველ ლიგაში, ასევე ჭაბუკთა და „ბ“ ესპუართა ლიგაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისათვის მზადება;
- რაგბში საქართველოს თხუთმეტწლამდეელთა ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა კორსიკის და ლიონის საერთაშორისო ტურნირებში და მოიპოვა კორსიკაზე პირველი, ხოლო ლიონში მესამე ადგილი;
- რაგბში საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირში ევროპის ელიტარულ ჩემპიონატზე (პრადა) და ოდესის საერთაშორისო ტურნირში (მესამე ადგილი);
- ივნისში ქ.თბილისში პირველად ჩატარდა რაგბის საერთაშორისო ტურნირი „თბილისის თასი“;
- ჩატარდა კალათბურთში საქართველოს თასის გათამაშება ვაჟებში (11 გუნდის მონაწილეობით);
- დაფინანსდა კალათბურთში საქართველოს 2012-13 წლების ჩემპიონატის (სუპერლიგა) მიმდინარეობის ხარჯები (11 გუნდის მონაწილეობით);
- ჩატარდა კალათბურთში საქართველოს ქალთა 2013 წლის ჩემპიონატი (4 გუნდის მონაწილეობით);
- ჩატარდა კალათბურთში საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატები 20, 18, 16 და 14 წლამდე ვაჟთა შორის (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, მარნეული);

- დაიწყო კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატები 14 და 13 წლამდე ვაჟებს შორის (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი, გორი, ფოთი);
- კალათბურთში საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ქ. დონეცკში (უკრაინა) გამართულ თანატოლთა საერთაშორისო ტურნირში და მოიპოვეს პირველი ადგილი;
- ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა „ყველა ვარსკვლავის“ აქცია-მატჩი საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ადგილობრივი და უცხოელი კალათბურთელების მონაწილეობით;
- თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ოთარ ქორქიას სახელობის საქართველოს სუპერთასის გათამაშება;
- თბილისში ჩატარდა კალათბურთში საქართველოს ქალთა ჩემპიონატისა და საქართველოს ქალთა თასის გათამაშება;
- ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მინი-კალათბურთში 11 და 12 წლამდელთა შორის;
- დაფინანსდა კალათბურთში 20,18,16 და 14 წლამდე ნაკრები გუნდების შეკრებების, მზადების და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის ხარჯები (იტალია, თურქეთი, ლუქსემბურგი);
- სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამის ფარგლებში სპორტის 45 სახეობაში დაფინანსდა 63 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 78 სასწავლო - საწვრთნელი შეკრება, მიღებულ იქნა მონაწილეობა 103 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში: მათ შორის 21 ევროპის ჩემპიონატზე და 7 მსოფლიო ჩემპიონატზე. მოპოვებულ იქნა 232 მედალი, მათ შორის 74 ოქრო, 61 ვერცხლი, 97 ბრინჯაო;
- დაფინანსდა ქ. თბილისში ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ და ქალთა სტილით ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელი სამუშაოები;
- 16-26 ივნისს ურეკში მოეწყო ევროპის თასის გათამაშება ჭადრაკში 8,10 და 12 წლამდელთა შორის;
- დაფინანსდა ქ. ბრამოვში (რუმინეთი) ზამთრის ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს ოლიმპიური გუნდის 13 სპორტსმენის მზადება-მონაწილეობა, ევროპის ახალგაზრდობის ზაფხულის ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობისთვის (ჰოლანდია, უტრეხტი-2013), მსოფლიო ზაფხულის მეორე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშებისთვის (ჩინეთი, ნანჯინგი-2014) და ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის (რუსეთი, სოჭი-2014) მზადება;
- 26 მაისს ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებულობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები;
- დაფინანსდა აღმოსავლეთ საქართველოში პროექტის „მხიარული სტარტები“ ჩატარების ხარჯები;
- ჩატარდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპები წყალბურთში ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრები გუნდებისთვის, რომელს შედეგადაც ორივე ნაკრებმა მოიპოვა შემდგომ ეტაპზე გასვლის უფლება.
- განხორციელდა სპორტული ფედერაციებისათვის და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის გადასაცემი სპორტული ინვენტარის შეძენა;
- სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრში ირიცხება 70 პერსპექტიული სპორტსმენი, რომლებიც ადგილზე უზრუნველყოფილნი არიან საცხოვრებელი პირობებით, კვებით და სპორტული დარბაზებით. ასევე მიმდინარეობდა ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბ „ოლიმპის“, საავტომობილო კლუბ „F მოტორსის“ და წყალბურთელთა კლუბ „ლიგამუსის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება;
- განხორციელდა ძალოსნობის დარბაზის კაპიტალური რემონტი და სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. ცენტრის სპორტსმენებისთვის შეძენილ იქნა ტრენაჟორები;
- სპორტის მუზეუმმა მომსახურება გაუწია ვიზიტორებს საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებიდან - ქვეყნებიდან. ჩატარდა ღონისძიება „ხსოვნის საღამო“ გამოჩენილი ვეტერანი და მოქმედი ქართველი სპორტსმენების, ასევე გარდაცვლილი სპორტსმენების ოჯახის წევრების მონაწილეობით;
- ჩატარდა შესაბამისი ღონისძიებები ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში „თბილისი 2015“ მონაწილე მოზარდების შერჩევის მიზნით;
- მიმდინარეობდა მუშაობა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მოსაპოვებლად.

### 8.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

#### პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
- ✓ საქართველოს მუზეუმები

#### 8.3.1. მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

- დაიწყო: საქართველოს თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში მდებარე კომპის შიდა ინტერიერის განახლების მოსამზადებელი სამუშაოები; სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზების სარეაბილიტაციო სამუშაოები; სსიპ აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის სახელმწიფო მუზეუმის რეაბილიტაციისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები; საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო დარბაზის სახურავის შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები; სამუზეუმო (კასპის, ხაშურის, თელავის, ონის, ცაგერის, ქუთაისის, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმებისა და ქუთაისის დავით კაკაბაძის სახვითი ხელოვნების გალერეის) ფასეულობათა რესტავრაცია - კონსერვაციის სამუშაოები.

#### 8.3.2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის გაფორმდა ხელშეკრულებები შემდეგი ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციაზე: თისელის რეაბილიტაციის პროექტი; ჩხარის ოქონის სამრეკლოს რეაბილიტაციის პროექტი; მარიამისხევის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი; აკურის რეაბილიტაციის პროექტი; ოზურგეთის შუა საუკუნეების აბანოს კონსერვაციის პროექტი; სოფ. კვავლოს კომპის რეაბილიტაციის პროექტი; საფარის მთავარი ტაძრისა და სამრეკლოს სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი; ნ. ნიკოლაძის კომპის რეაბილიტაციის პროექტი; დერჩის ეკლესიის მხატვრობის კონსერვაციის პროექტი; მარიამწმინდის ფრესკების კონსერვაციის პროექტი.
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციისათვის გაფორმდა ხელშეკრულებები შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის მიზნით: შატილის ავარიული კოშკების სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი); კვეტერას ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფ. ფუძნარის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი); სადამოს ეკლესიის რეაბილიტაცია; დადიანების სასახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ალავერდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები;
- ქართული ხელნაწერების მონაცემთა ბაზის შექმნისათვის განხორციელდა მუზეუმ-ნაკრძალების სამოქმედო არეალების განსაზღვრა, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ინვენტარიზაცია და დაცვითი ღონისძიებები;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში შემავალი მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მონიტორინგის ჯგუფების მიერ 2013 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით აღნუსხული 108 კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ანგარიშის სახით წარდგენა.

### 8.4. კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის და ფინანსური ძლიერების პროგრამა (პროგრამული კოდი 33 05)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო



- ხელი შეეწყო მოსამზადებელ სამუშაოებს: სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „მანდარინების“ (თანადაფინანსება) გადასაღებად; სსიპ კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის მიერ თელავის საერთაშორისო ფესტივალისათვის მოსამზადებელი სამუშაოების მეორე ეტაპის განსახორციელებლად; ქ. თბილისში თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო ფესტივალის ჩასატარებლად; საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის შემოქმედებითი საქმიანობის განსახორციელებლად; სსიპ მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მიერ ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქარი“ გასამართად; სსიპ საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის მიერ ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელის მიერ კონცერტის გასამართად; სსიპ ქ. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ ახალი სპექტაკლის ჯაბა იოსელიანის „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“ დასადგმელად; სსიპ ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ რობერტ სტურუას 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით წიგნის „მაესტრო რობერტ სტურუას“ გამოსაცემად; პროექტს „არტერია“ დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად; ა(ა)იპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტისთვის საჭირო ტექნიკის შესაძენად.
- ჩატარდა: სსიპ კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრის მიერ თელავის საერთაშორისო ფესტივალისათვის მოსამზადებელი სამუშაოების პირველი ეტაპი; ფესტივალი „ჭიათურის მუსიკის აკადემია“; თენგიზ ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი.

#### **8.5. ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)**

##### **პროგრამის განმახორციელებელი**

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
  - ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
  - ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
  - ✓ სსიპ საქართველოს მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი
- დაფინანსდა არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების რესოციალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები;
  - მოეწყო „ინტელექტის დღე“ (საქართველოს ჩემპიონატი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნაკრებებს შორის ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“);
  - მოეწყო ექსკურსია პანკისის ხეობაში მცხოვრებთათვის ჭიდაობაში თბილისის ევროპის ჩემპიონატზე დასასწრებად;
  - ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას გადაეცა სპორტული ინვენტარი;
  - ჩატარდა სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების კომისიის შეკრება ბაზალეთზე, აგრეთვე განხორციელდა მათი ვიზიტი ესტონეთში;
  - უსინათლოთათვის დაიბეჭდა 50 წიგნი ბრაილის შრიფტით. ასევე, უსინათლოების მონაწილეობით დაიდგა სპექტაკლი;
  - ჩატარდა „სტუდენტური დღეები ნარკომანიის წინააღმდეგ“;
  - აზერბაიჯანულ ენაზე დაიდგა რადიო სპექტაკლი - „სტუმარ მასპინძელი“. ღონისძიების ფარგლებში დამზადდა 400 ცალი DVD-დისკი, რომელიც გავრცელდა მოსწავლე -ახალგაზრდებსა და სხვადასხვა ორგანიზაციებში;
  - მოეწყო სწრაფი ბეჭდვისა და ლოგიკური აზროვნების კონკურსი მარნეულში, ახალქალაქსა და ბოლნისში;

- ჩატარდა ღონისძიება-კონკურსი „გალაკტიონობა“, რომლის ფარგლებში უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებსა და საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის (მათ შორის ეთნიკურები) სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით გამოვლინდნენ გამარჯვებულები;
- მოეწყო არქეოლოგიური ექსპედიცია, სადაც ახალგაზრდები ჩართული იყვნენ სავსე არქეოლოგიურ სამუშაოებში;
- სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ხელშეწყობით, საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ წარმოდგენილი და შესაბამისად გამარჯვებული პროექტები, რომელთა მიზანია არაფორმალური განათლების წახალისება, რეგიონული განვითარების მხარდაჭერა, სამოქალაქო ღირებულებების დანერგვა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფების (იძულებით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) ხელშეწყობა, ახალგაზრდობაში გარემოს დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სამეცნიერო, გასართობ-სანახაობრივი და შემოქმედებითი ღონისძიებების ჩატარების უზრუნველყოფა;
- ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და სოციალურ-ემოციური განვითარების, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა, როგორც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, ასევე გასვლითი და ერთობლივი პროგრამები, საერთაშორისო პროექტები და საქველმოქმედო ღონისძიებები;
- მოეწყო ახალგაზრდობის კეთილდღეობისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი, სხვადასხვა ახალგაზრდული პროგრამების პრეზენტაციები, განხორციელდა „ევროპის დემოკრატი სტუდენტური კავშირის“ წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში;
- დაფინანსდა ანაკლიის ბანაკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მიმდინარე ადმინისტრაციული ხარჯები, ასევე განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად განხორციელდა სამუშაოები პროგრამისთვის „მომავლის ბანაკი“ 2000 ახალგაზრდის შესარჩევად - 20 ივლისიდან 21 სექტემბრამდე ახალგაზრდების აქტიური დასვენების უზრუნველსაყოფად;
- გატარდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენისა და ამ მიზნების რეალიზაციისთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად საჭირო ღონისძიებები, მუშაობა მიმდინარეობდა მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების ფუნქციონირებისა და შექმნის ხელშეწყობის, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განსახორციელებლად;
- კულტურულ შემეცნებითი პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა 24-31 მარტს მრავალდარგობრივი ფესტივალის „ფანARTი“ (საავტორო კლასიკური ან იმპროვიზირებული კლასიკური მუსიკა, მხატვრობა, ფოტოგრაფია, მულტიმედია, ჯაზი, ლიტერატურა, კინოხელოვნება, თეატრი, მოდა და დიზაინი, ალტერნატიული მუსიკა, როკი) ჩატარების ხარჯები;
- განხორციელდა პროექტი „მეგობარი სკოლები“. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა პროექტში მონაწილე თბილისის სკოლებისთვის და პროექტის ფარგლებში განხორციელდა 5 ექსკურსია – „ძველი თბილისის ტური“, აგრეთვე
- პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კუს ტბაზე ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში.

## **8.7. სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)**

### **პროგრამის განმახორციელებელი**

✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდია ყოველთვიურად დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით;

- მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 247-ზე მეტმა ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება, როგორც ერთჯერადად, ასევე ყოველთვიურად;
- საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენტთა სტიპენდიას ღებულობს 490-მდე სპორტსმენი, მწვრთნელი და საექიმო პერსონალი.

### **8.8. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)**

#### **პროგრამის განმახორციელებელი**

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- დაფინანსდა ადმინისტრაციული ხარჯები სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

### **9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია**

#### **9.1. საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)**

#### **პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ✓ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები (წარმომადგენლობები);
- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო.

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და განმტკიცების კუთხით, ასევე ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით;
- გაიმართა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის მაღალი დონის ვიზიტები და ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები, გაფართოვდა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების გადაფარვის ქვეყნების არეალი.

#### **9.1.1. საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)**

#### **პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
- ✓ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები (წარმომადგენლობები);

- გრძელდებოდა მუშაობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შესანარჩუნებლად;
- განხორციელდა დეტალური ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო თანამეგობრობისთვის რუსული საოკუპაციო ძალების მიერ ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების გავლების პროცესის შესახებ;
- რუმინეთმა ოფიციალურად აღიარა „ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის“ ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ნეიტრალური სტატუსის მქონე სამგზავრო დოკუმენტი;

- მომზადდა და გაიგზავნა ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაციაში (ქიაო) წარსადგენი ყოველწლიური დეკლარაცია და განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები ქიაო-ს ტექნიკური დახმარების ჯგუფის ვიზიტთან დაკავშირებით;
- საერთაშორისო ჰუმანიტარულ-განადმვითი ორგანიზაციის „The Halo Trust“-ის მომართვის საფუძველზე მიმდინარეობდა მუშაობა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტირებული მონაკვეთის ნაღმებისგან გაწმენდის მიზნით;
- გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის“ ჩათვლით, მოლაპარაკებათა ბოლო რაუნდი, დაიწყო სავიზო დიალოგის წარმართვისა და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი (საკანონმდებლო) ფაზის განხორციელება;
- თბილისში ჩატარდა „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ მინისტრიალი კულტურის საკითხებზე, სადაც მიღებულ იქნა „თბილისის დეკლარაცია“;
- მიმდინარეობდა მუშაობა გაერო-ს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC), ასევე ადამიანის უფლებათა საბჭოს (HRC) არჩევნებში საქართველოს კანდიდატურის მხარდამჭერი ხმების მოსაპოვებლად;
- ქ. ნიუ-იორკში გაიმართა გაეროს შეიარაღებით ვაჭრობის ხელშეკრულების კონფერენცია (UN Conference on Arms Trade Treaty (ATT)), სადაც მონაწილეობდა საქართველოს დელეგაცია, როგორც ერთ-ერთი თანადამფუძნებელი სახელმწიფო;
- ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო „რუსეთი და საქართველო, ჰუმანიტარული მდგომარეობა კონფლიქტითა და ომით დაზარალებულ რეგიონებში“ რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია;
- საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდნენ ODIHR-ის წარმომადგენლები, რომლებმაც შესაბამის უწყებებთან შეხვედრებზე წარადგინეს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში. ამასთან, ODIHR-ის ოფისმა დაიწყო ყოველი მაღალი თანამდებობის პირების სასამართლო პროცესების მონიტორინგი;
- გაიმართა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის სხდომები ავსტრიასთან, პოლონეთთან, ყაზახეთთან და უკრაინასთან;
- მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO);
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პატრონაჟით გაიმართა შვეიცარიის კონფედერაციის, ავსტრიის რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოების ერთობლივი ღონისძიება - „სამი ქვეყანა - ერთი ენა“;
- დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობები სეიშელის რესპუბლიკასთან და გაიზარდა საქართველოს საელჩოების გადაფარვის ზონა. ამასთან, საქართველო განაგრძობს მუშაობას 14 ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე.
- ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა 24 ხელშეკრულებასა და ოქმს, ხოლო ძალაში შევიდა 26 ხელშეკრულება;
- გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები ხორვატიის რესპუბლიკასთან, ნიდერლანდების სამეფოსთან, სომხეთის რესპუბლიკასთან, ლიტვის რესპუბლიკასთან, ესპანეთის სამეფოსთან სან-მარინოს რესპუბლიკასთან, უკრაინასთან, შვედეთის სამეფოსთან, დანიის სამეფოსთან, ფინეთთან, სლოვენიასთან, არგენტინის რესპუბლიკასთან, ჩილეს რესპუბლიკასთან ურუგვაის რესპუბლიკასთან და ისრაელის სახელმწიფოსთან;
- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის, რეადმისიისა და ვიზის გაცემის პროცედურების გამარტივების, საზღვარგარეთ საქართველოს საპატიო კონსულების დანიშვნის კუთხით, გაფართოვდა საკონსულო სამსახურების სამოქმედო არეალი, რიგ ქვეყნებთან ხელი მოეწერა დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელთათვის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებებს.

**9.1.2. საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)**

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი 30-მდე საერთაშორისო ორგანიზაციაში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში.

**9.1.3. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)**

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო

- საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით შესრულდა საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა-დამოწმება, სულ 1 582 გვერდი.

**9.2. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 20 00)**

**პროგრამის განმახორციელებელი:**

✓ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- NATO-ს მიერ საქართველოსა და მისი ალიანსში გაწევრიანების მისწრაფების პოლიტიკური მხარდაჭერის მიზნით, საქართველოში განხორციელდა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (NAC) ვიზიტი, NATO-ს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით;
- შემუშავდა 2013 წლის წლიური ეროვნული პროგრამა (ANP), რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების, სამართლებრივ, განათლებისა და სხვა სფეროებში რეფორმების გეგმებს მოიცავს;
- NATO-ს დაარსების დღის აღსანიშნავად კახეთში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში გაიმართა შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან, მოეწყო ფოტო გამოფენა - „საქართველო ISAF-ში“, ასევე, მოეწყო NATO-ს კვირეული;
- დასრულდა მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე (AA) და მის ნაწილზე - საქართველო-ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DC FTA);
- დაიწყო ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- გრძელდებოდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP AP) სამოქმედო გეგმის განხორციელება, ასევე მიმდინარეობდა თანამშრომლობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი და ორმხრივი პლატფორმების ფარგლებში;
- სსიპ - ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებითა და სახელმწიფო მინისტრის აპარატის მხარდაჭერით საქართველოში ევროპის კვირეული გაიმართა;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევდა ევროკავშირის ინიციატივა "პარტნიორობა მობილურობისათვის" ფარგლებში ევროკავშირთან თანამშრომლობის საკითხებს.
- განხორციელდა ევროკავშირის დახმარების პროგრამების კოორდინაციასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის განახლება. ასევე, დასრულდა საჯარო სამსახურების დამშობილების პროგრამა Twinning-ის ოთხი პროექტი და დაიწყო ორი პროექტის განხორციელება.

### 9.3. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 21 00)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობით განხორციელდა პოეზიის კონკურსი, ასევე დედაენის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვები;
- თურქეთის, აზერბაიჯანისა და ირანის ისლამურ რესპუბლიკებში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს შორის თბილისში გაიმართა ტურნირი მინი ფეხბურთში „ისტორიული დიასპორის თასი“;
- ჩატარდა საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს პეპელა-2013“;
- დიასპორის დღესთან დაკავშირებით თბილისში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, რომელსაც მსოფლიოს 22 ქვეყნიდან 50-მდე ქართული დიასპორის წარმომადგენელი ესწრებოდა, ასევე აპარატის ხელშეწყობით აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონში განხორციელდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლი და ქალაქ ათენში გაიმართა ტურნირი ფეხბურთში „საბერძნეთის ქართული დიასპორის თასი“;
- აშშ-ში, თურქეთში, კანადაში, გერმანიის, უკრაინისა და საფრანგეთში მოქმედ 13 დიასპორულ ორგანიზაციას გაეწია დახმარება: სასკოლო სახელმძღვანელოები, საბავშვო ლიტერატურა და სხვადასხვა თვალსაჩინოებები გადაეცა 10 საკვირაო სკოლასა და ქართული ენის შემსწავლელ კურსს, დიასპორულ ორგანიზაციებთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის 2 ანსამბლს გადაეცა მუსიკალური ინსტრუმენტები, ხარკოვში დიასპორულ ორგანიზაციასთან არსებულ ფეხბურთის გუნდის წევრებს გადაეცათ საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ფორმები;
- ვენისა და ლინცის ბიბლიოთეკების ქართულ სექციებს 70-მდე წიგნი გაეგზავნა, მათ შორის, ქართველი კლასიკოსების თხზულებები და ენციკლოპედიები;
- განხორციელდა სახელმწიფო მინისტრის ვიზიტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, რის შედეგადაც საქართველოს ეკონომიკაში სამხრეთ აფრიკელთა მიერ განხორციელდა ინვესტიცია.
- „ქართული დიასპორის დღეები - 2013“-ის ფარგლებში დაზუსტებულ იქნა ლევილის მმართველი ამხანაგობის მოთხოვნები, გაიმართა მსჯელობა ლევილის მამულის, როგორც ქართულ-ფრანგულ კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებაზე.

## 10. სოფლის მეურნეობა

### 10.1. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

#### 10.1.3. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება (პროგრამული კოდი 37 01 03)

- შესყიდული იქნა 5.4 ათასი ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (აქედან - 290 ერთეული ტრაქტორი, 314 ერთეული გუთანა, 390 ერთეული მარცვლეულის სათესი, 290 ერთეული დისკებიანი ფარცხი, 48 ერთეული ტრაქტორის დანა და მუხლუხა, 2 000 ერთეული ხელის მექანიკური სათესი, 290 ერთეული ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფრეზი, 100 ერთეული რიგთაშორისი კულტივატორი, 1 700 ერთეული მოტო ბლოკი, 65 ერთეული ჰერბიციდის და სასუქის შემტანი) და გრძელდება ტექნიკის ჩამოტანა საქართველოში;
- განხორციელდა მექანიზატორების გადამზადების პროგრამა. პირველი ეტაპის გადამზადებიდან დასაქმებულია 378 ადამიანი შპს „მექანიზატორში“;
- შეძენილ იქნა სპეცტექნიკა და აღჭურვილობა (21 ერთეული პიკაპი, 6 ერთეული ლაფეტი, 24 ერთეული საწვავშიდი და 2 ერთეული გამწევი უნაგირა ავტომანქანა).

#### 10.1.4. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია (პროგრამული კოდი 37 01 04)

- განხორციელდა მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში მდებარე საჩითილე მეურნეობებში 3 სხვადასხვა ჯიშის პომიდვრის მოყვანა, რისთვისაც 2012 წლის სექტემბერში გადარგულ იქნა 18 000 ცალი ჩითილი. მიმდინარე წლის 6 თვეში მიღებულია 70 ტონა მოსავალი. ასევე, გორის სასათბურე მეურნეობაში დაწყებულია პომიდვრის წარმოება, საანგარიშო პერიოდში მიღებულია 310 ტონა პომიდორი;
- მოწყობილია ხილის ხუთი სადემონსტრაციო ბაღი: მოცვის - რუხში, ცეცხლაურსა და ნარუჯაში; კაკლის - ახმეტაში და მანდარინის - ჩაქვში;

#### 10.1.5. სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 05)

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა:
  - ✓ ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის ასურეთისა და ხაიმის დიუკერების ჰიდროტექნიკური კვანძების აღდგენითი სამუშაოები;
  - ✓ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის შეკეთების სამუშაოები;
  - ✓ ზემო ალაზნის მაგისტრალურ არხზე არსებული წყალსაგდებების ფარების აღდგენის, მაგისტრალური არხის მთლიან სიგრძეზე განლაგებული წყალგამშვები ურდულეების კაპიტალური რემონტის და მაგისტრალური არხის მონაკვეთების ნალექისაგან წმენდის სამუშაოები;
  - ✓ ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხის სათავე ნაგებობების ზედა ბიეფში ნაპირსამაგრი კედლის აღდგენის, მაგისტრალური არხის ნალექებისაგან წმენდის, არხზე არსებული წყალგამშვები ფარების კაპიტალური შეკეთების, მაგისტრალურ არხზე სოფ.კალაურის და სოფ.ვეჯინის წყალსაგდებების აღდგენის, არხის ბოლოს გარღვეული უბნების აღდგენითი, არხზე არსებული შემტბორავი ნაგებობების რემონტის და არხზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების ნალექისაგან წმენდის სამუშაოები;
  - ✓ ტაშისკარის არხის სათავე შემტბორავი ფარების წყალმიმღების გისოსის მოწყობის დაზიანებული უბნებისა და განშტოებების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის პალდოს სათავე ნაგებობის მექანიკური ნაწილის და ამწე მექანიზმების, შენობების აღდგენითი სამუშაო და ზემო სარწყავი სისტემის ზემო და ქვემო მაგისტრალურ არხებზე სარეგულაციო ფარების და ცალკეული ჰიდროტექნიკური ნაგებობების კვანძების აღდგენითი სამუშაოები;
  - ✓ შესყიდულ იქნა 25 ერთეული სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკა;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „Foton Lovol International Heavy Industry Co. LTD“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ჩინეთის მთავრობის მიერ გადმოცემულ იქნა 7 დასახელების სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკა, კერძოდ: თვლიანი ჰიდრავლიკური ექსკავატორი (12 ერთეული), ბულდოზერი (4 ერთეული), მუხლუხა ჰიდრავლიკური ექსკავატორი (4 ერთეული), ბუქლოუდერი (8 ერთეული), გამწევი (ტრაილერი) (2 ერთეული), მისაბმელი ლაფეტი (2 ერთეული).

#### 10.1.6. ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 06)

- ქალაქ ბერლინში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთაშორისო გამოფენა „მწვანე კვირეული“. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 9 ქართულმა კომპანიამ.

### 10.1.8. აგროსექტორის განვითარება/ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 37 01 08)

- დასრულდა ამბროლაურის რაიონის სოფელ ჭრებალოში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა, ასევე ლამი-მისაქციელისა და დოეს გრაკალის მაგისტრალური არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ოპტიმუს ჯგუფთან“ ახალქალაქის რაიონში ლომა-ტურცხის მაგისტრალური საირიგაციო არხის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე;
- გამოცხადდა საერთაშორისო ტენდერი 18 საირიგაციო სისტემის ე.წ. Feasibility Study - ის ჩატარების თაობაზე.

### 10.2. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 37 03)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“

- ხორვატიის ქალაქ ზაგრებში ღვინის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციაზე მოეწყო ქართული ღვინის დეგუსტაცია და მოკლედ მიმოიხილა საქართველოს ღვინის ინდუსტრიასთან დაკავშირებული საკითხები;
- დიდ ბრიტანეთში ქ. ლონდონში, გაიმართა საერთაშორისო ბიო ღვინის გამოფენა „Real Wine Fair 2013“. ლონდონში მონაწილეობა მიიღო თორმეტმა ბიო ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ. გამოფენაში მონაწილეობის მიზანს წარმოადგენდა ქართული ღვინის ინდუსტრიის განვითარება და ქართული ბიო ღვინის საერთაშორისო ბაზარზე ცნობადობის ზრდა;
- გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, გაიმართა საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენა „ProWein 2013“, რომლის ფარგლებშიც სსიპ „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ“, „ქართული ღვინის ასოციაციამ“ და 12 ქართული ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ წარმოადგინა ქართული ღვინო. გამოფენის ფარგლებში მოეწყო ქართული ღვინის კულტურის გაცნობა და დეგუსტაცია;
- ლატვიაში, ქალაქ რიგაში ქართული ღვინის დაგემოვნების საშუალება მიეცა როგორც ტურისტულ კომპანიებს, ასევე მედიის წარმომადგენლებს, დისტრიბუტორებს და კვების ობიექტების მფლობელებს;
- ინდონეზიაში, ქ. ჯაკარტაში გაიმართა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული გამოფენა „Wine and Cheese Expo 2013“. გამოფენის ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია. ინდონეზიის წამყვან ჟურნალისტებს, ღვინის დისტრიბუტორებსა და სომალიეებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ 8 სახეობის ქართული ღვინო;
- ქ. თბილისში გაიმართა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-6 საერთაშორისო გამოფენა „ექსპოჯორჯია 2013“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 60-ზე მეტი კომპანიის პროდუქცია, ასევე მცირე და ოჯახური მარნის ღვინოები. ქართული ღვინის გასაცნობად და დასაგემოვნებლად ჩამოსულები იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის ბაიერები, სომელიეები, ჟურნალისტები და მედია წარმომადგენლები. გამოფენის პარალელურად გაიმართა ქვეყრის ღვინის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელსაც დაესწრო 40-მდე უცხოელი სტუმარი. სიმპოზიუმის ფარგლებში ჩატარდა პანელური განხილვები, ღვინის მასტერ კლასები და ღვინის ტურები კახეთის რეგიონში. ასევე, ღვინის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად ჩატარდა კონკურსი და გამოვლინდა 2013 წლის საუკეთესო ღვინოები.
- 18 ქვეყანაში განხორციელდა 8 539 901 ლიტრი (0,75 ლიტრიან ბოთლში ჩამოსხმული) ღვინის ექსპორტი. კერძოდ, ივნისის თვეში მოხდა 1 630 612 ლიტრის ექსპორტი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 24%-ით მეტია, ხოლო ფინანსურად ექსპორტის თანხამ 33 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 11,7%-ით მაღალია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

### 10.3. სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედობა (პროგრამული კოდი 37 02)



## პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“;
- ✓ სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“.

- შესყიდული და გამოკვლეული იქნა სხვადასხვა დასახელების სურსათის 157 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 45 ნიმუშში, რაზეც განხორციელდა კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები;
- ქვეყნის მასშტაბით ვეტერინარული მოწმობა ფორმა N2-ს გარეშე ხორცის რეალიზაციისა და ვადაგასული სურსათის რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით, მონიტორინგი-დოკუმენტური შემოწმება განხორციელდა სურსათის 604 სარეალიზაციო ობიექტში, 1 000 ლარით დაჯარიმდა 61 ბიზნეს-ოპერატორი;
- ბიზნეს-ოპერატორად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის გამო 300 ლარით დაჯარიმდა 88 ფიზიკური და იურიდიული პირი;
- ქვეყნის მასშტაბით გამოვლინდა ვადაგასული სურსათის რეალიზაციის 379 ფაქტი.
- სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ გამოვლენილი იქნა (ვადაგასული და/ან მავნე) და მათი ზედამხედველობით განადგურებული იქნა: მყარი სურსათი (55 442 კგ), თხევადი სურსათი (825,7 ლ), ხორცი და ხორცპროდუქტები (12 160 კგ. მათ შორის 5 ტონა ცხენის ხორცი), სასურსათო კვრცხი (300 000-ცალზე მეტი).
- ვეტერინარული ზედამხედველობის ქვეშ მოქმედ სასაკლაოებზე დაიკლა 53 981 სული პირუტყვი და ღორი.
- გეგმური ინსპექტირება განხორციელდა 382 ბიზნეს-ოპერატორთან, ხოლო არაგეგმური - 115 ბიზნეს-ოპერატორთან. მიცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების მიზნით, გადამოწმდა 347 ბიზნეს-ოპერატორი. შემოწმებული ბიზნეს-ოპერატორებიდან არაკრიტიკული შეუსაბამობების გამოვლენის შედეგად, მიცემული რეკომენდაციების შესრულებლობის გამო დაჯარიმდა 136 ბიზნეს-ოპერატორი, აქედან 6 ბიზნეს-ოპერატორი დაჯარიმდა განმეორებით (ჯარიმის თანხა ჯამში 59 200 ლარი), კრიტიკული შეუსაბამობების აღმოჩენის გამო 5 ბიზნეს-ოპერატორი დაჯარიმდა 1 000 ლარით;
- ჯილეხის ინფექციის კერებში იძულებითი პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩატარდა 8 842 სულ დაავადების ამთვისებელ ცხოველს, ხოლო ცოფის დაავადების კერებში - 3 779 სულ ცხოველს. ბრუცელოზზე ლაბორატორიულად გამოკვლეულია 485 ნიმუში, აქედან დადებითია 152 ნიმუში;
- ჯილეხის საწინააღმდეგოდ საგაზაფხულო პროფილაქტიკური ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში ვაქცინაცია ჩატარდა 136 917 სულ ცხოველს, თურქულის საგაზაფხულო პროფილაქტიკური ვაქცინაციის კამპანიის ფარგლებში კი - 423 374 მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის;
- ჩატარდა ფიტოსანიტარიული მონიტორინგი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში საშიში და საკარანტინო მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით;
- მიმდინარეობდა ბრძოლის ღონისძიებები კალიების წინააღმდეგ. საანგარიშო პერიოდში კახეთის რეგიონში დამუშავდა 7 655 ჰა, ავიაშესხურებით - 5 070 ჰა, ქვემო ქართლში აგრეგატებით - 3 281 ჰა და შიდა ქართლში - 74 ჰა, სულ - 16 080 ჰა;
- ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ აჭარის რეგიონში დამუშავებულია 13 ჰა, ღონისძიებები დაწყებულია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში;
- ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა სხვადასხვა სახის ლაბორატორიული კვლევები. საანგარიშო პერიოდში შემოვიდა დაახლოებით 17 564 ნიმუში საკვლევი მასალა, მ.შ. ინფექციურ დაავადებებზე (ბრუცელოზი, ჯილეხი, ცოფი, ბრადუოტი, ენტეროტოქსემია, სალმონელოზი, პასტერელოზი და სხვა) და პარაზიტულ დაავადებებზე (კანქვეშა ტკიპა, ასკარიდა, ტრიქინელოზი, კოკციდიოზი, თელიერიოზი). ჩატარებულია მსხვილი რქოსანი პირუტყვის ტან-ხორცის, ქათმის, გოჭის ტან-ხორცის, თევზის გამოკვლევა საკვებად ვარგისიანობაზე. აგრეთვე შემოწმებულ იქნა ცხოველთა საკვები. გამოწუნებულია სულ 449 ნიმუში. პათანატომიური დიაგნოზი დასმულია 146 ლეშიდან 33 შემთხვევაში.

## 11. სასამართლო სისტემა

## 11.1. საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 09 01, 10 00)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

- განხორციელდა საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი ყველა სასამართლოს დარბაზის (სულ 200 დარბაზი) ვიდეო ჩაწერის სისტემით აღჭურვა;
- დასრულდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით სასამართლო პროცესის ჩატარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- მიმდინარეობდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის შენობის სამშენებლო სამუშაოები;
- ჩატარდა 26 სასამართლოს შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, კერძოდ: ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, რუსთავისა და ფოთის საქალაქო, მცხეთის, ახალციხის, გორის, თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ხელვაჩაურის, თეთრიწყაროსა და სამტრედიის რაიონულ, სენაკის, ქედის, შუახევის, ტყიბულის, თერჯოლის, ჭიათურის, ლენტეხის, თიანეთის, წალკის, ქარელის, ახმეტის, დედოფილსწყაროსა და ჩოხატაურის მაგისტრატ სასამართლოებში;
- დასრულდა საქმისწარმოების პროგრამაში ახალი სისხლის სამართლის, საგამომიებო მოქმედებების და აღმკვეთი ღონისძიებების მოდულების დამატება;
- სასამართლო სისტემის რეფორმისა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე სხვადასხვა სიახლეების გაშუქებისა და მოსახლეობის ინფორმირების მიზნით განხორციელდა საგაზეთო სტატიების მომზადება. ასევე რადიომუწეებელის საშუალებით მოხდა სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმისა და მედიაციის პროგრამის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება;
- ჩატარდა კვლევა საქართველოს სასამართლო სისტემის შესახებ მოსახლეობაში არსებული საბაზისო ცოდნის, აღქმისა, სასამართლოს მომხმარებელთა განწყობის და დამოკიდებულების შესწავლის მიზნით.

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (პროგრამული კოდი 10 00)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

- ჩატარდა მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი, რომლის შედეგად მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა ერთი ახალი მოსამართლე, ხოლო ხუთი ყოფილი მოსამართლე დაინიშნა ახალი ვადით;

## 12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

### 12.1. დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

#### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

- ქვეპროგრამა - ეკოტურიზმის განვითარების ფარგლებში განთავსდა სარეკლამო შინაარსის მასალები კინოთეატრებში, ჟურნალსა და რადიოში, ასევე მონაწილეობა იქნა მიღებული მე-15 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „Caucasus Tourism Fair 2013“ და ბათუმის ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე.
- დაიწყო და მიმდინარეობს სათაფლიის ნაკრძალისათვის შესასყიდი ობიექტების დაზუსტება.
- ოკაცეს კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მიმდინარეობდა ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის პროცესი.

- „სამხრეთი კავკასია-საქართველო-ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში“ ბუნების დაცვის პროგრამის ფარგლებში:
  - ✓ დაიწყო ტურიზმის განვითარების კომპონენტის განვითარების პროექტი;
  - ✓ დაიწყო მეფუტკრეობის განვითარების პროექტი;
  - ✓ გამოცხადდა სასმელი წლის რეაბილიტაციის ტენდერი შემდეგი სოფლებისათვის: კარწახი, დადეში, სულდა, ბოზალი, მასნიკიანი, პატარა ხანჩალი, ეფრემოვკა, ჟდანოვო და სამეზა;
  - ✓ შემუშავდა არქიტექტურული პროექტები და სამუშაო გეგმები პარკის ინფრასტრუქტურისათვის;
- დაცული ტერიტორიების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში:
  - ✓ გაიცა სახელფასო დანამატები ტერიტორიული ადმინისტრაციების თანამშრომლებზე;
  - ✓ შეძენილ იქნა 7 ერთეული მაღალი გამავლობის მანქანა;
  - ✓ ტენდერი გამოცხადდა 1 მაღალი გამავლობის მანქანაზე;
  - ✓ გაფორმდა ხელშეკრულება ვაშლოვანის ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოებზე;
  - ✓ გამოცხადდა ტენდერი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების და მტირალას ეროვნული პარკის სარემონტო სამუშაოებზე;
  - ✓ ლაგოდეხის დაცული ტერიტორიისათვის შეძენილ იქნა სამეურნეო ინვენტარი;
  - ✓ ვარაზისხევის ბილბორდზე განთავსდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების, თუშეთის ეროვნული პარკის და მტირალას ეროვნული პარკის სარეკლამო ბანერები;
  - ✓ დაიბეჭდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისა და თუშეთის ეროვნული პარკის სარეკლამო სტიკერები ქალაქში განთავსებული ბანერისათვის.

დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო (ეკორეგიონული პროგრამა საქართველო, ფაზა III) (KfW) ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა სამეურნეო ტექნიკური დავალების შემუშავება:

## 12.2. გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

- შეიქმნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, ასევე შემუშავდა შესაბამისი ნორმატიული აქტები, დეპარტამენტის ლოგო, თანამშრომელთა უნიფორმები და სხვა;
- განხორციელდა ღონისძიებები ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, გარემოს დაზიანების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით. გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 205 ფაქტი, მათ შორის:
  - ✓ ადმინისტრაციული სამართალდარღვა – 193;
  - ✓ სისხლის სამართლის ნიშნების მქონე დარღვევა – 12.
  - ✓ ინსპექტირების სტანდარტული პროცედურების შესაბამისად, სასწავლო-საჩვენებელი შემოწმებები ჩაუტარდა დეპარტამენტის 7 თანამშრომელს.

## 12.3. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 02)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

- საანგარიშო პერიოდში „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, გაზგამანაწილებელი კომპანია „სოკარ ჯორჯია-ქართლიგაზის“ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, განხორციელდა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის 2012 წლის დეკემბრის და 2013 წლის იანვარ-მაისში მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება, მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობამ შეადგინა 6 248 011 მ<sup>3</sup>.

#### 12.4. ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ინტერრასთან და ენერგო-პროსთან წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმების თანახმად ქ. თბილისში და დანარჩენ საქართველოში (გარდა კახეთის რეგიონისა) განხორციელდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის ტარიფის შემცირება. მომხმარებელთა ყოველთვიური მოხმარების სიდიდის მიხედვით 1 კვტ საათზე 3,54 და 4 თეთრის ოდენობით, ხოლო საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელდა კახეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის სუბსიდირება, საერთო ჯამში 1.5 მლნ ლარის ოდენობით.
- შესაბამის გაზის მოწოდებელ და გაზგამანაწილებელ კომპანიებთან მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება და განხორციელდა საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის ბუნებრივი გაზის ტარიფის 5 თეთრით შემცირება.
- საანგარიშო პერიოდში სამინისტრო აწარმოებდა აქტიურ მოლაპარაკებებს ხუდონჰესის მშენებლობაზე გაფორმებულ მემორანდუმში შესაძლო ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რაზედაც მიღწეულია შეთანხმება და მიმდინარეობს მემორანდუმის პროექტში ცვლილებების შეტანა. კერძოდ, ცვლილებები ითვალისწინებს:
  - ✓ ზამთრის პერიოდში 3-ის ნაცვლად 4 თვის განმავლობაში ელექტროენერჯის მოწოდებას, რომლის შესასყიდი ფასიც არ უნდა აღემატებოდეს 5.84 ცენტზე მეტს.
  - ✓ უკუგების პერიოდის (არაუმეტეს 15 წლისა) გასვლის შემდეგ ელექტროენერჯია უნდა გაიყიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, რაც ითვალისწინებს პირველ რიგში ქვეყნის შიდა ბაზრის დაკმაყოფილებას და შემდეგ გარე ბაზარზე გასვლას.
- მნიშვნელოვანი შეხვედრები იქნა გამართული სხვადასხვა პოტენციურ ინვესტორებთან განახლებადი ენერჯიების (მცირე ჰიდროელექტროსადგურების, ქარის ელექტროსადგურების) ათვისებასთან დაკავშირებით. (საყუნეთიჰესი, აწყურიჰესი, დვირიჰესი, გუბაზეული-6 ჰესი). მიმდინარეობდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების ჩატარება ხელედულა 1, 2, 3 ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით.
- კომპანიებთან ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა არამარტო უწყვეტი, არამედ ხარისხიანი ელექტრო და გაზომომარაგების კუთხით, რაც გამოიხატება ავარიული გათიშვების მონიტორინგით და ქსელში არსებული ტექნიკური ხარვეზების გამოსწორებით.
- ექსპერტების, სამოქალაქო საზოგადოების, მეცნიერების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ენერგეტიკის დარგის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობს. ამ პროცესში ასევე ჩართულნი არიან დონორები, რომლებიც როგორც საექსპერტო ასევე ტექნიკურ დახმარებას უწევენ სამინისტროს.
- ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული შეთანხმებით მიმდინარეობდა ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემუშავება.

#### 12.5. გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

##### პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

- 2013 წლის 6 თვის განმავლობაში გაცემული იქნა 31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის 16 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.
- ეკოლოგიური ექსპერტიზა ჩატარდა და გაიცა დასკვნა სხვადასხვა საქმიანობებზე შემდეგი რაოდენობით: ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა (5), ქიმიური ნივთიერებების წარმოება (1), სახიფათო ნარჩენების გადამუშავება-გაუვნებელყოფა-განადგურება (1), ნავთობის რეზერვუარის მშენებლობა (3), საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობა (2), საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ხიდის აგება (2), ასფალტის წარმოება (6), ცემენტის წარმოება (2), გაჯის წარმოება (1), ჰიდროელექტროსადგურის განთავსება (3), მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა (2), მეტალურგიული წარმოება (2), რკინიგზის მშენებლობა (1).
  - ✓ მიეძღვნა საინფორმაციო კამპანიები სხვადასხვა გარემოსდაცვით თარიღებს, ამასთან დამზადდა და საზოგადოებრივი მაუწყებელი ეთერში განთავსდა საინფორმაციო კლიპი „დარგე შენი მომავალი“;
  - ✓ შემუშავდა, დამზადდა და გავრცელდა პრომო მასალები, თემატური ფლაერები, ბროშურები და ბლოკნოტები, ჩანთები, მაისურები პრეს-ბანერები და დასადგამი ბანერები;
  - ✓ ივნისის თვე გამოცხადდა „მწვანე თვედ“, რომლიც ფარგლებში ჩატარდა მედია ტური/სემინარი ჟურნალისტებისთვის. გაიმართა დასუფთავების აქციები 80-ზე მეტ ადგილას: ბათუმში, ურეკში, ქუთაისში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, თელავში, საგარეჯოში, ზესტაფონში, სიღნაღში, ყვარელში, სტეფანწმინდაში, დუშეთში, გორში, ხაშურში, ქარელში, რუსთავში, მარნეულში, თეთრიწყაროში, წალკაში, ონში, ცაგერში, ლენტეხში, ახალციხეში, ახალქალაქსა და ბორჯომში. აქციას შეუერთდნენ აგრეთვე ბორჯომ-ხარაგაულის, თბილისის, ყაზბეგის, კოლხეთის, აჯამეთის, მტირალას, ქობულეთის, ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ალგეთის დაცული ტერიტორიები.
  - ✓ „მწვანე თვის“ კამპანიის ფარგლებში, კუს ტბაზე გაიმართა ეკო-პიკნიკი, ეკო-დებატები, წყლის ველოსიპედებით გასეირნება და სხვა ღონისძიებები თბილისისა და რეგიონების ხუთი ბავშვთა სახლის 70-მდე აღსაზრდელისათვის;
  - ✓ გაიმართა საერთაშორისო ექსპერტების საბოლოო ანგარიშის პრეზენტაციები ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით;
  - ✓ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ვიზიტის ფარგლებში, გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებით ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

**12.6. გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (პროგრამული კოდი 38 04)**

**პროგრამის განმახორციელებელი:**

- ✓ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

- ჰიდრომეტეოროლოგიის, გეოლოგიისა და გარემოს დაბინძურების მონიტორინგის სფეროში შესრულდა შემდეგი ძირითადი სამუშაოები:
  - ✓ დაკვირვებები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებსა და საგუშაგოებზე;
  - ✓ თოვლის საფარის აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოები საქართველოს მდინარეების ზემო წელში;

- ✓ დაკვირვების მონაცემების კოდირება (მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად), მათი შეკრება და ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გავრცელება;
- ✓ ამინდის მსოფლიო ცენტრებიდან (საფრანგეთი-ტულუზა, ინგლისი-რედინგი) გლობალური სინოპტიკური პროდუქციის (რუქები, დიაგრამები, სურათები) მიღება და ანალიზი;
- ✓ დგებოდა და ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის და ჰიდროლოგიური მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი სტანდარტული და სპეციალიზირებული (მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად) პროგნოზები, მათ შორის გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზი;
- ✓ საქართველოს სამხედრო საავტომობილო გზისთვის რეგულარულად მზადდებოდა და მომხმარებელს მიეწოდებოდა სპეციალიზირებული პროგნოზები და გაფრთხილებები ამ გზის გასწვრივ ან მის ცალკეულ მონაკვეთებზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ;
- ✓ მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ (საანგარიშო პერიოდში გაიცა 24 გაფრთხილება);
- ✓ რეგულარულად ტარდებოდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის მეთოდური ზედამხედველობის სამუშაოები. მოწმდებოდა დაკვირვებების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და ფასდებოდა შესაბამის მონაცემთა ხარისხი. მეთოდური კონსულტაციები უტარდებოდა დაკვირვების ქსელის მუშაკებს;
- ✓ წარმოებდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელში მწყობრიდან გამოსული გამზომი საშუალებების სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები;
- ✓ რეგულარულად ტარდებოდა ისტორიული და მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემთა ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მათი სტატისტიკური დამუშავება.
- ✓ ხორციელდებოდა ქვეყანაში აღრიცხული სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის მიხედვით განაწილების ამსახველი სხვადასხვა სახის ცნობარების მომზადება;
- ✓ დამუშავდა 2012 წელს შესრულებული ბუნებრივი-სტიქიური პროცესების რეგიონალური გეომონიტორიული კვლევების შედეგები და ინფორმაციული ბიულეტენი გადაეცათ შესაბამის უწყებებს – რეგიონალური განვითარების სამინისტროს, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობებს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, როგორც სამოქმედო პროგრამა;
- ✓ სტიქიური-გეოლოგიური პროცესების ექსტრემალურ გააქტიურებებთან დაკავშირებით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მოთხოვნის საფუძველზე, ფორსმაჟორულ სიტუაციებში განხორციელდა ადგილზე გასვლა 91 დასახლებულ პუნქტში, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა გაიცა 423 ოჯახზე, რომელთაგან 104 დაექვემდებარა გასახლებას, ხოლო დანარჩენ მოსახლეებზე გაიცა რეკომენდაციები ადგილზე ღონისძიებების გატარების მიზნით;
- ✓ მდ. რიონის აუზში წყალდიდობების და გეოლოგიური სტიქიის მართვის კლიმატისადმი მედეგი პრაქტიკის შემუშავების პროექტის ფარგლებში, დამუშავებული იქნა მეწყრულ-ღვარცოფული მოვლენების 732 კადასტრი ელექტრონულ ფორმატში; მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების მაპროვოცირებელი მეტეოროლოგიური ელემენტების ისტორიული მონაცემები 6 მეტეოსადგურისათვის; დასკანირდა და დარეფერენსირდა ადრეულ პერიოდში შედგენილი მსხვილმასშტაბიანი (1 : 10 000) საინჟინრო-გეოლოგიური და გეოლოგიური საშიშროების დარაიონების რუკები სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის;

- ✓ ჩატარდა რეგიონალური გეომონიტორინგის პირველი ეტაპი მცხეთა-მთიანეთის, აჭარის, გურიის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისათვის;
- ✓ მომზადდა მოსაზრებები გარემოზე ზემოქმედების 82 ანგარიშზე;
- ✓ საქართველოს ეროვნული აკადემიის მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარების კომისიის თხოვნის საფუძველზე დამუშავდა სტატია - „მთათუშეთის გეოგრაფიული უნიკალობა და მისი დღევანდელი გეოეკოლოგიური პრობლემები” და გადაეცა გამოსაცემად აკადემიას;
- ✓ მომზადდა სალიცენზიოდ შერჩეულ ობიექტებზე გეოსაინფორმაციო პაკეტი – 58 ობიექტზე;
- ✓ მომზადდა წიაღზე დამაგრება/არადამაგრების შესახებ ინფორმაცია – 169 მიწის ნაკვეთზე;
- ✓ დასკანირდა და დარეფერენსირდა 200-მეტრი რუკა;
- ✓ მიმდინარეობდა ზედაპირული წყლის ხარისხის შეფასება, რისთვისაც ხდებოდა სინჯების აღება საქართველოს შემდეგ მდინარეებზე და ერთ ტბაზე: მტკვარი, ლეხურა, სურამულა, ხრამი, ლიახვი, ფარავანი, ფოცხოვი, რიონი, ყვირილა, ოლასკურა, ცხენისწყალი, ჯოჯორა, კინტრიში, ყოროლისწყალი, ქუბასწყალი, ბარცხანა, ჭოროხი, აჭარისწყალი, სუფსა, მაშავერა, არაგვი, ალაზანი და პალიასტომის ტბა და მათში ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზების ჩატარება;
- ✓ ჩატარდა თბილისის ზღვის, ლისის და კუს ტბების წყლის ხარისხის შეფასება;
- ✓ განხორციელდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი და ზესტაფონი); განისაზღვრა ატმოსფერული ნალექების ქიმიური შემადგენლობა შემდეგ 9 ქალაქში: თბილისი, ბოლნისი, ახალციხე, გორი, ზესტაფონი, ქუთაისი, ფოთი, თელავი, აბასთუმანი; ყოველდღიურად ხდებოდა გამა-გამოსხივების ექსპოზიციური დოზის სიმძლავრის განსაზღვრა საქართველოს 12 პუნქტში: თბილისი, ფოთი, საჩხერე, ზესტაფონი, ფასანაური, ახალციხე, გორი, თელავი, ლაგოდეხი, ახალქალაქი, დედოფლისწყარო, ქუთაისი;
- ✓ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს პროექტის „საქართველოში რადიაციის ადრეული გაფრთხილების სისტემის მიწოდება და ინსტალაცია” ფარგლებში დამონტაჟდა რადიაციის გამზომი 7 ავტომატური სადგური შემდეგ ქალაქებში: ქუთაისი, ბათუმი, ბოლნისი, თელავი, მესტია, ახალციხე და თბილისი.

## 12.7. სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

### პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

- შემუშავდა საქართველოს ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სატყეო პოლიტიკას საქართველოს ყველა ტყისათვის, მიუხედავად მათი საკუთრებისა და მართვის ფორმისა და მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში ტყეების მდგრადი მართვის პრაქტიკის დასამკვიდრებლად.
- სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტყის ფონდში (26267 ჰა) გამოვლენილი წიწვოვანი კორომების ხმობის მიზეზის დადგენის უზრუნველსაყოფად განხორციელებული სატყეო პათოლოგიური გამოკვლევის დასკვნების და რეკომენდაციების შესრულებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამოვლენილი მავნებლის (მბეჭდავი ქერქიჭამია - Ips typographus) წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შექმნილი იქნა 5000 (ხუთი ათასი) ერთეული მწერსაჭერი და 10 000 (ათი ათასი) ერთეული ფერომონიანი პრეპარატი (IPSOWIT®), რომლებიც განთავსდა ადიგენის, ასპინძა-ახალქალაქის, ახალციხის და ბორჯომ-ბაკურიანის სატყეო უბნების ტერიტორიაზე. ასევე, დაიწყო მათზე მონიტორინგი, რომელიც გაგრძელდება შემოდგომამდე.
- მერქანზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სატყეო უბნებზე დაიწყო ტყეკაფების გამოყოფის სამუშაოები.

## თავი VI

### 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელები პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით

„საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის კვარტალური განწერის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 6 თვის გეგმა განისაზღვრა 3 543 672.9 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 3 395 583.6 ათასი ლარი, რაც 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 16 343.1 ათასი ლარით მეტია. ამასთან, საანგარიშო პერიოდში ხარჯების მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 2 809 894.2 ათასი ლარი, რაც 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 126 253.6 ათასი ლარით ნაკლებია, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 169 318.1 ათასი ლარი, რაც 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 109 275.1 ათასი ლარით ნაკლებია, ფინანსური აქტივების ზრდის მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 128 892.7 ათასი ლარი, რაც 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 22 600.5 ათასი ლარით მეტია (რაც ძირითადად გამოწვეულია საანგარიშო პერიოდში შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის (KFW, EIB, EBRD) პროექტის შესრულებაზე დონორის მიერ ე.წ. „პირდაპირი წესით“ მიმართული სახსრებით - 64.2 მლნ ლარი), ვალდებულებების კლების მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 287 478.5 ათასი ლარი, რაც 2012 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 229 271.2 ათასი ლარით მეტია. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის SBA პროგრამის (Stand-By Arrangement) ფარგლებში გამოყოფილი ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხის ძირითადი თანხის (84.5 მლნ ლარი), ევრობონდების ძირითადი თანხის (106.8 მლნ. ლარი) გადახდით და საქართველოსა და კომპანია „Karmar Marble Tourism Construction Industry and Commerce LLC“ გაფორმებული მორიგების ხელშეკრულების საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების დაფინანსებით (12.4 მლნ ლარი).

ამასთან, საანგარიშო პერიოდში „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხაზით დაიხარჯა 113.1 მლნ ლარით მეტი ვიდრე 2012 წლის 6 თვეში, რაც ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2012 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებულ იქნა საპენსიო პაკეტი და გაფართოვდა სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლე ბენეფიციართა წრე, ხოლო „სხვა ხარჯების“ მუხლით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით - 39.5 მლნ ლარით მეტი, რაც ძირითადად განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლებაზე მიმართული სახსრებით.



პროგრამული კოდი	დასახელება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის საკასო შესრულება	შესრულება %
<b>00 00</b>	<b>მხარჯავი დაწესებულებები</b>	<b>3,543,672.9</b>	<b>3,395,583.6</b>	<b>95.8%</b>
	ხარჯები	2,957,463.1	2,809,894.2	95.0%
	შრომის ანაზღაურება	560,059.7	549,433.4	98.1%
	საქონელი და მომსახურება	325,687.9	294,749.0	90.5%
	პროცენტი	121,000.7	119,744.9	99.0%
	სუბსიდიები	105,250.2	106,472.9	101.2%
	გრანტები	422,682.3	369,418.0	87.4%
	სოციალური უზრუნველყოფა	929,503.1	923,179.0	99.3%
	სხვა ხარჯები	493,279.2	446,897.0	90.6%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	188,091.8	169,318.1	90.0%
	ფინანსური აქტივების ზრდა	106,541.5	128,892.7	121.0%
	ვალდებულებების კლება	291,576.6	287,478.5	98.6%
<b>01 00</b>	<b>საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები</b>	<b>21,112.0</b>	<b>20,822.3</b>	<b>98.6%</b>
	ხარჯები	20,784.4	20,557.0	98.9%
	შრომის ანაზღაურება	13,656.0	13,631.5	99.8%
	საქონელი და მომსახურება	6,706.9	6,528.3	97.3%
	გრანტები	30.0	22.3	74.2%
	სოციალური უზრუნველყოფა	236.0	223.8	94.8%
	სხვა ხარჯები	155.5	151.1	97.2%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	316.5	254.2	80.3%
	ვალდებულებების კლება	11.1	11.1	100.0%
<b>01 01</b>	<b>საკანონმდებლო საქმიანობა</b>	<b>18,079.5</b>	<b>17,894.7</b>	<b>99.0%</b>
	ხარჯები	17,906.9	17,766.7	99.2%
	შრომის ანაზღაურება	11,358.0	11,357.1	100.0%
	საქონელი და მომსახურება	6,193.9	6,056.5	97.8%
	გრანტები	23.0	22.3	96.8%
	სოციალური უზრუნველყოფა	186.0	185.1	99.5%
	სხვა ხარჯები	146.0	145.9	99.9%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	161.5	116.9	72.4%
	ვალდებულებების კლება	11.1	11.1	100.0%
<b>01 02</b>	<b>საზღვარიანობის საქმიანობა</b>	<b>2,815.5</b>	<b>2,747.3</b>	<b>97.6%</b>
	ხარჯები	2,665.5	2,611.2	98.0%
	შრომის ანაზღაურება	2,155.0	2,135.5	99.1%
	საქონელი და მომსახურება	450.0	434.5	96.6%
	გრანტები	7.0	0.0	0.0%
	სოციალური უზრუნველყოფა	50.0	38.7	77.5%
	სხვა ხარჯები	3.5	2.5	71.4%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	150.0	136.1	90.8%

პროგრამული კოდი	დასახელება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის საკასო შესრულება	შესრულება %
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	217.0	180.2	83.1%
	ხარჯები	212.0	179.0	84.4%
	შრომის ანაზღაურება	143.0	138.9	97.2%
	საქონელი და მომსახურება	63.0	37.3	59.2%
	სხვა ხარჯები	6.0	2.8	46.1%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.0	1.2	24.0%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10,089.2	8,666.0	85.9%
	ხარჯები	9,910.2	8,535.1	86.1%
	შრომის ანაზღაურება	2,336.6	2,137.0	91.5%
	საქონელი და მომსახურება	6,345.8	5,260.8	82.9%
	სოციალური უზრუნველყოფა	450.7	430.4	95.5%
	სხვა ხარჯები	777.1	706.8	91.0%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	158.9	114.8	72.3%
	ვალდებულებების კლება	20.2	16.1	79.8%
03 00	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	910.2	798.8	87.8%
	ხარჯები	899.5	794.3	88.3%
	შრომის ანაზღაურება	589.2	569.6	96.7%
	საქონელი და მომსახურება	299.3	213.7	71.4%
	სხვა ხარჯები	11.0	11.0	100.0%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10.5	4.4	41.9%
	ვალდებულებების კლება	0.2	0.2	97.4%
04 00	საქართველოს მთავრობის კანცელარია	6,267.8	4,306.1	68.7%
	ხარჯები	6,097.8	4,266.1	70.0%
	შრომის ანაზღაურება	2,478.8	2,097.2	84.6%
	საქონელი და მომსახურება	3,502.4	2,131.1	60.8%
	სოციალური უზრუნველყოფა	41.6	29.8	71.7%
	სხვა ხარჯები	75.0	8.1	10.7%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	170.0	40.0	23.5%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	6,257.0	5,158.9	82.5%
	ხარჯები	5,234.8	4,250.1	81.2%
	შრომის ანაზღაურება	2,900.0	2,709.7	93.4%
	საქონელი და მომსახურება	1,709.8	1,002.1	58.6%
	სუბსიდიები	400.0	400.0	100.0%

პროგრამული კოდი	დასახელება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის საკასო შესრულება	შესრულება %
	გრანტები	5.0	2.9	57.6%
	სოციალური უზრუნველყოფა	60.0	58.1	96.8%
	სხვა ხარჯები	160.0	77.3	48.3%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,022.0	908.6	88.9%
	ვალდებულებების კლება	0.2	0.2	100.0%
<b>06 00</b>	<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>	<b>10,419.9</b>	<b>9,680.4</b>	<b>92.9%</b>
	ხარჯები	10,312.3	9,673.6	93.8%
	შრომის ანაზღაურება	4,650.8	4,600.7	98.9%
	საქონელი და მომსახურება	1,785.7	1,440.0	80.6%
	გრანტები	7.2	7.0	97.3%
	სოციალური უზრუნველყოფა	12.2	12.0	98.2%
	სხვა ხარჯები	3,856.3	3,613.8	93.7%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	107.6	6.8	6.3%
<b>06 01</b>	<b>საარჩევნო გარემოს განვითარება</b>	<b>4,166.5</b>	<b>4,127.1</b>	<b>99.1%</b>
	ხარჯები	4,156.5	4,120.3	99.1%
	შრომის ანაზღაურება	3,124.9	3,119.9	99.8%
	საქონელი და მომსახურება	994.2	977.1	98.3%
	გრანტები	7.2	7.0	97.3%
	სოციალური უზრუნველყოფა	11.7	11.5	98.1%
	სხვა ხარჯები	18.5	4.8	25.9%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	10.0	6.8	68.1%
<b>06 02</b>	<b>არჩევნების ჩატარების ღონისძიებები</b>	<b>1,862.8</b>	<b>1,643.4</b>	<b>88.2%</b>
	ხარჯები	1,772.8	1,643.4	92.7%
	შრომის ანაზღაურება	1,300.2	1,264.3	97.2%
	საქონელი და მომსახურება	372.7	294.9	79.1%
	სხვა ხარჯები	100.0	84.2	84.2%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	90.0	0.0	0.0%
<b>06 03</b>	<b>საარჩევნო სისტემების განვითარება და სისტემისათვის მოხელეთა მომზადება-გადამზადება</b>	<b>654.7</b>	<b>385.8</b>	<b>58.9%</b>
	ხარჯები	647.1	385.8	59.6%
	შრომის ანაზღაურება	225.8	216.5	95.9%
	საქონელი და მომსახურება	418.9	168.1	40.1%
